სააკაშვილს სოხუმიდან მიმართავენ A3
მადრიდის ტერაქტის მოწყობისთვის ამერიკელი ადვოკატი დააკავეს A7
ტექნოლოგიები B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ხუთშაბათი, 13 მაისი, 2004 წელი. №112 (661) ფასი 50 თეთრი

მთავრობას დასვენების დღეები არ აქვს

თამარ ხორბალაძე

საქართველოს მთავრობამ გუშინ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისთვის დასვენების დღეები არ არსებობს. მიუხედავად დღესასწაულისა, გუშინ მთავრობის სხდომა "მიმდინარე საკითხებზე" სასაუბროდ შეიკრიბა და "ერთ ძირითად და ოც დამატებით" საკითხზე სამი საათის განმავლობაში იმსჯელა. მთავრობის გუშინდელ სხდომას არ ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა მინისტრი გია ბარამიძე, რომელიც ბათუმში ჟურნალისტებისთვის ბრიფინგს აწყობდა და საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი, რომელიც ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს ვალტერ შვიმერს ხვდებოდა.

გუშინდელი სხდომის მთავარი თემა "რეკეტის წინააღმდეგ" ბრძოლის გამკაცრება გახლდათ, თუმცა ამ თემას სხდომის სულ რამდენიმე წუთი მიეძღვნა - იუსტიციის მინისტრმა წარმოადგინა ინიციატივა იმის თაობაზე, რომ "რეკეტსა" და მსგავს დანაშაულებში ბრალდებულ პირებზე, მათი ქვეყნიდან გაქცევის შემთხვევაში, საქმეები არ შეწყდება.

გაგრძელება A3 გვერდზე

დასვენების დღეს მთავრობამ სამსაათიანი სხდომა გამართა.

ბორის ბახაიის ფოტო

რა ქონებას ფლობს სახელმწიფო აჭარაში?

ცენტრალური ხელისუფლება აჭარის რეგიონში სახელმწიფო ქონების აღწუსხვას იწყებს. ამ დავალების შესასრულებლად პრეზიდენტმა შესაბამის სტრუქტურებს ათი დღის ვადა მისცა. ეს ვადა 21 მაისს იწურება. "24 საათის" ხელთ არსებული ინფორმაციით, რეგიონში მსხვილი და საშუალო საწარმოების რაოდენობა, სადაც აქციების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ სახელმწიფოს საკუთრებაშია, 50-მდე აღწევს. აქედან თითქმის ნახევარში აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელი სახელმწიფოა.

ეთერ მამულაშვილი

წლების განმავლობაში ქონების მართვის ყოფილი სამინისტრო და მისი სამართალმემკვიდრე - საწარმოთა მართვის სააგენტო, რომელსაც კანონით ევალება სახელმწიფო საკუთრების მართვა და კონტროლი, აჭარაში განლაგებული საწარმოების შესახებ დღემდე მწირ ინფორმაციას ფლობდა. ყოფილი მინისტრის ყოფილი მოადგილის გოგიტა ფრუიძის თქმით, სამინისტროს მიერ წერილობით მოთხოვნილ ნებისმიერ ინფორმაციაზე,

გაგრძელება A4 გვერდზე

კანის კინოფესტივალის დღიურები

"24 საათის" სპეციალური კორესპონდენტის რეპორტაჟი კანიდან B2

ჰოლიტიკა

შვიმერის ფორმულირება - "საინფორმაციო გაუგებრობა"

პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ შვიმერის მისამართით გაკეთებული მკვეთრი განცხადებების შემდეგ, ევროსაბჭოს გენმდივანი აღნიშნავს, რომ "არასწორ ინფორმაციას ფლობდა აჭარის მოვლენებთან დაკავშირებით" და მომხდარს "ინფორმაციულ გაუგებრობას" უწოდებს.

A2

ეკონომიკა

ზურაბ სოსელია: "დავითაშვილის სასამართლოში გამოძახება უბრალო გაუგებრობაა და სხვა არაფერი..."

სასამართლოში გამოცხადებულმა დავითაშვილმა განაცხადა, რომ ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის გამოტანის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი სასამართლოში არ წარუდგენია და საოლქო სასამართლოშიც უსაფუძვლოდ არ გამოცხადდა.

A4

უცხოეთი

აშშ სირიის წინააღმდეგ სანქციებს ამკაცრებს

სირიის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების გამკაცრების შესახებ ჯერ კიდევ 2003 წლის 11 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილება, მას შემდეგ, რაც მისი რატიფიცირება პრეზიდენტმა ბუშმა მოახდინა, ოფიციალურად შევიდა ძალაში.

A5

საზოგადოება

არა ცილი სწამო

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირთა წერილი.

არცა ამბორს-გიყო, ვითარცა იუდა

პასუხი სემინარისტებს.

A6

სამართალი

კომანდოსელები ზემდგომის მითითებას ასრულებდნენ

როგორც კახეთის რეგიონის სამხედრო პროკურორმა ილია ოთარაშვილმა განაცხადა, უკვე დაკითხულია 70-მდე პირი, როგორც პოლიციის თანამშრომლები, ისე ბატალიონის წევრები და საბოლოოდ დამნაშავეებად ჯარისკაცები გამოცხადდნენ.

A7

ამინდი

თბილისი	21
ქუთაისი	17
ბათუმი	12
სოხუმი	13
ფოთი	12
თელავი	20
ზუგდიდი	15
გორი	17
ახმეტა	22
ჭიათურა	16
გაგრა	12
სამტრედია	14

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.9500
ევრო	2.3163
გირვანქა სტერლ.	3.4579
რუბლი	0.0673

სერგეი კორტუნოვი:

"აჭარა საქართველოს დიპლომატიური და პოლიტიკური გამარჯვებაა"

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვი

რუსი პოლიტოლოგები აჭარის კრიზისის ირგვლივ მსჯელობას აგრძელებენ და ცდილობენ, გამოიცნონ, რა გავლენას იქონიებს ბათუმის მოვლენები საქართველოს სხვა კონფლიქტურ რეგიონებზე. როგორ მოჩანს "რევოლუციური საქართველო" მოსკოვიდან? - გთავაზობთ ინტერვიუს რუსეთის საგარეო პოლიტიკური დაგეგმარების კომიტეტის თავმჯდომარესთან, რუსეთის ფედერაციათა საბჭოს ექსპერტთა ჯგუფის უფროსის მოადგილესთან, პოლიტოლოგ სერგეი კორტუნოვთან.

გაგრძელება A3 გვერდზე

კომპენსაცია ესტონეთს

ესტონეთში რუსეთისაგან კომპენსაციის მოთხოვნის საკითხი სერიოზულად განიხილება. ესტონელთა აზრით, რუსეთმა, როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრემ, ბალტიისპირა ქვეყანას კომპენსაცია უნდა გადაუხადოს იმ ზიანისათვის, რაც მას 1940-1991 წლებში, ე.წ. საოკუპაციო ხანაში საბჭოთა კავშირისაგან მიადგა. ამისათვის ესტონეთს ევროკავშირის ქვეყნების პოლიტიკური მხარდაჭერის იმედიცა აქვს. შეგახსენებთ, ბალტიისპირეთის პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკები 7 სხვა ქვეყანასთან ერთად ევროპულ თანამეგობრობას 1 მაისს შეუერთდა.

ესტონეთისათვის "საოკუპაციო" პერიოდში მიყენებული ზარალის აღწუსხვა სპეციალურ სახელმწიფო კომისიას ჰქონდა დავალებული. 12-წლიანი მუშაობის შემდეგ, კომისიამ ორი დღის წინ ესტონეთის პარლამენტს საბოლოო დოკუმენტი, ე.წ. "თეთრი წიგნი" წარუდგინა.

გაგრძელება A5 გვერდზე

ჭანდარმერია - ახალი ძალა საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების სისტემაში

ელგუჯა მეძმარიაშვილი

საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების სპექტრმა, შეიარაღებული ბრძოლის წარმოების შესაძლებლობების მხრივ, ბოლო პერიოდამდე, ძირითადად, მოიცვა შეიარაღებული ძალები და, ასევე, ნაკლები საბრძოლო სიძლიერისა და საიარაღო პოტენციალის სხვა სამხედრო ძალებიც.

ერთი შეხედვით, სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის პრინციპების მიხედვით, სამხედრო სტრუქტურული მოდელი სრულ შესაბამისობაში იყო სამხედრო სტრატეგიის მსოფლიოში აღიარებულ ნორმატიულ პარამეტრებთან. მიუხედავად ამისა, საქართველოს სამხედრო სტრატეგიული მოდელი არ იყო მზად სამხედრო უსაფრთხოების ისეთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო პოზიციების რეალიზაციისათვის, როგორებიცაა: ტერიტორიული მთლიანობის, ეროვნული დამოუკიდებობისა და სუვერენიტეტის შეიარაღებული ბრძოლებით დაცვა; საზოგადოებისა და სახელმწიფოებრივი წყობის სტაბილურობის სამხედრო დაცვის გარანტიების შექმნა; ქვეყანაში სამოქალაქო მშვიდობის შენარჩუნება, კრიმინალური და პოლიტიკური ჯგუფების მიერ ტერორისტული და დესტრუქციული მოქმედებების აღკვეთა.

გაგრძელება A8 გვერდზე

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 გამოხმაურება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი
B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ტექნოლოგიები B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

შვიმერის ფორმულირება - "საინფორმაციო გაუგებრობა"

ვალტერ შვიმერი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი გუშინ ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს ვალტერ შვიმერს შეხვდა. პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ შვიმერის მისამართით გაკეთებული მკვეთრი განცხადებების შემდეგ, ევროსაბჭოს გენმდივანი აღნიშნავს, რომ "არასწორ ინფორმაციას ფლობდა აჭარის მოვლენებთან დაკავშირებით" და მომხდარს "ინფორმაციულ გაუგებრობას" უწოდებს. დახურულ კარს მიღმა გამართული შეხვედრის შესახებ ზოგადი კომენტარები გაკეთდა. როგორც აღინიშნა, სალომე ზურაბიშვილმა და ვალტერ შვიმერმა საქართველოსა და ევროპის საბჭოს შორის ბოლო დროს დაძაბული ვითარების თაობაზე იმსჯელეს. პრეზიდენტის მწვავე კრიტიკის შემდეგ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის პლამენ ნიკოლოვის საქართველოდან გაწვევის მიზნით, საჭირო პროცედურების მომზადება უკვე დაიწყო, თუმცა, როგორც გაირკვა, ზურაბიშვილისა და შვიმერის გუშინდელ შეხვედრაზე, რომელიც პროტოკოლით გათვალისწინებულ დროს საკმაოდ გადასცილდა, ნიკოლოვის შესახებ არ უსაუბრიათ.

ნიკოლოვის შესახებ კომენტარი გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემაც გააკეთა: **"ნიკოლოვის საქართველოდან გაწვევის შესახებ შეთანხმება ევროსაბჭოსთან, პრაქტიკულად, მიღწეულია. ევროსაბჭოში ჩვენს წინადადებას საკმაოდ გაგებით მოეკიდნენ. ჩვენ, საქართველოს ხელმძღვანელობამ, ვთქვით ის, რაც უნდა გვეთქვა. ბატონმა შვიმერმა უკვე გამოთქვა საკუთარი მოსაზრება და აღნიშნა, რომ მომავალში ჩვენი ურთიერთობები მოწესრიგდება. იგივეს ვისურვებდით ჩვენც,"** - აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ. თავად პლამენ ნიკოლოვი ამჟამად თბილისში იმყოფება და როგორც თავად აცხადებს, **"ჩვეულებრივად აგრძელებს მუშაობას".**

საქართველო ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ურჩი გადამხდელია. ამ ევროპული ორგანიზაციის მიმართ საქართველოს ვალმა 1999 წლის შემდეგ 1 მილიონ 200 ათასი ევრო შეადგინა. ევროსაბჭოს წევრობა საქართველოს ყოველწლიურად 200 ათასი ევრო უჯდება. ერთ თვეში ევროსაბჭოში გენერალური მდივნის არჩევნები ჩატარდება. გართულებული ურთიერთობის ფონზე, საქართველოს ხმის იმედი ვალტერ შვიმერს არ უნდა ჰქონდეს. სავარაუდოდ, საქართველო საკუთარ არჩევანს ინგლისელ ტერი დევისზე შეაჩერებს.

24 საათი

დააკავეს ავტომანქანის გატაცებასა და ფულის გამოძალვაში ეჭვმიტანილი

პოლიციამ ავტომანქანის გატაცებაში ეჭვმიტანილი, 1978 წელს დაბადებული ნოდარ უნდილაშვილი დაიკავა. თბილისის პოლიციის სამართველოს ცნობით, 11 მაისს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მიმართა მოქალაქე მერაბ ფოჩხიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ 9 მაისს, დინამოს სტადიონთან, 2 უცნობი ჩაუჯდა და ბეჟანიშვილის ქუჩაზე გაყვანა სთხოვა. ბოროტმოქმედებმა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით მას ავტომანქანა "ვაზ 21-07" წაართვეს. მოგვიანებით გამტაცებლებმა მერაბ ფოჩხიძეს ავტომანქანის გამოსასყიდად 700 აშშ დოლარი მოსთხოვეს და შეხვედრა მეტრო სადგურ "ღრმაღელის" მიმდებარე ტერიტორიასთან დაუნიშნეს. გლდანი-ნაძალადევის პოლიციის თანამშრომლებმა მეტრო "ღრმაღელესთან" 25 წლის ნოდარ უნდილაშვილი დააკავეს. იგი წარსულში ნასამართლევი აღმოჩნდა. უნდილაშვილმა ჩადენილი დანაშაული აღიარა. ამოღებულია გატაცებული ავტომანქანა. ამჟამად მიმდინარეობს ოპერატიული ღონისძიებები დანაშაულში ეჭვმიტანილი მეორე პირის დასაკავებლად.

ინტერ-პრესი

ბათუმში სტრუქტურები ყალიბდება

ბათუმში გამართულ დროებითი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე, აჭარის მთავრობის სტრუქტურაზე, მინისტრობის და აჭარის ტელევიზიის ხელმძღვანელის შესაძლო კანდიდატურებზე იმსჯელეს. აჭარაში პრეზიდენტის რწმუნებულ ლევან ვარშალომიძის განცხადებით, საბჭო იზრუნებს წესრიგის დამყარებაზე ყველა სფეროში, აღრიცხავს რეგიონში არსებულ ქონებას და ასევე იმსჯელებს რეგიონის პერსპექტივებზე, კერძოდ, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებზე. აჭარაში სამინისტროების რიცხვი, შესაძლოა, ოთხიდან ექვსამდე გაიზარდოს, ხოლო რაც შეეხება აჭარის ტელევიზიის ხელმძღვანელის კანდიდატურას, საბჭოს წევრების გადაწყვეტილებით, მის კანდიდატურას უშუალოდ პრეზიდენტის რწმუნებული შეარჩევს და ტელევიზიის ხელმძღვანელად დროებით დაინიშნება.

მედია-ნიუსი

გასწორება

გაზეთ "24 საათის" 11 მაისის რეპორტაჟში, "ძეგვის ბავშვთა სახლი", ნაცვლად მცხეთის მე-2 გიმნაზიისა, უნდა იყოს თბილისის მე-2 გიმნაზია. ძეგვის ბავშვთა სახლის დირექცია კიდევ ერთხელ გამოთქვამს მადლიერებას იმ დამოკიდებულებისათვის, რასაც ეს სკოლა ძეგვის ბავშვთა სახლის აღსაზრდელების მიმართ იჩენს.

საარჩევნო ბიულეტენების გამტაცებელმა პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს დღევანდელი გადაწყვეტილებით, ქვემო ქართლის პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის ლევან მამალაძის დაცვის წევრს - შოთა თინიკაშვილს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეეფარდა. შოთა თინიკაშვილი თბილისის პოლიციამ 9 მაისს დააკავა. მას ბრალად წაუყენეს პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა. როგორც ცნობილია, 2002 წლის 2 ივნისის არჩევნების შემდეგ სამართალდამცველებმა შოთა თინიკაშვილი სკანდალური ბრალდებით - ქვემო ქართლის საოლქო საარჩევნო უბნიდან იმ საარჩევნო ბიულეტენების გატაცების გამო დააკავეს, რომლებიც ლევან მამალაძის გადეპუტატებას აყენებდა ეჭვქვეშ. თუმცა, მაშინ შოთა თინიკაშვილის პატიმრობა დიდ ხანს არ გაგრძელებულა - მისი გათავისუფლების საქმეში, ცხადია, თავად ლევან მამალაძე ჩაერია და სასამართლომაც გაითვალისწინა დაცვის მხარის არგუმენტები იმის თაობაზე, რომ თინიკაშვილის დაკავება პროცესუალური ნორმების დარღვევით, ხოლო დაკითხვა და აღიარების მოპოვება კი ფიზიკური ზეწოლის გამოყენებით მოხდა.

ამჯერად თინიკაშვილს, ახალ ბრალდებასთან ერთად, ძველ ცოდვებსაც გაუხსენებენ და საარჩევნო ბიულეტენების გატაცების გამოც დააკისრებენ პასუხისმგებლობას.

24 საათი

"შრომის" პარტია განათლების მინისტრის წინააღმდეგ

გუშინ "ლეიბორისტი" ჯონდი ბაღათურია ქართველი მშობლების სახელით გამოვიდა და განათლების მინისტრს ულტიმატუმი წაუყენა. იგი ორი დღის ვადაში განათლების მინისტრისაგან ბოდიშის მოხდასა და თანამდებობის დატოვებას ითხოვს. "შრომის" პარტიის ლიდერი ალექსანდრე ლომაიას განცხადებით შეურაცხყოფილია.

იმ შემთხვევაში, თუკი ალექსანდრე ლომაია ბოდიშს არ მოუხდის ქართველ ხალხს და დაუყოვნებლივ არ დატოვებს დაკავებულ თანამდებობას, "ლეიბორისტები" სპროტესტო აქციების გამართვასა და სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავენ. **"ბოლომდე ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ კახა ლომაია ჩამოშორდეს ამ უწყებას,"** - აცხადებს ბაღათურია.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში აცხადებენ, რომ კონტექსტიდან ამოგლეჯილ ფრაზებზე ბოდიშის მოხდას არ აპირებენ. **"ჩვენ "ლეიბორისტების" მოთხოვნებს უპასუხოდ ვტოვებთ. მინისტრს არც ჰაგიოგრაფიის ამოღებაზე ულაპარაკია და არც შეურაცხმყოფელი განცხადება გაუკეთებია. საუბარი იყო ჰაგიოგრაფიული ტექსტების ადაპტირებულ თარგმანზე. ვაპირებთ, შევცვალოთ სწავლის მეთოდი და ორიგინალთან ერთად ბავშვებს გაადვილებული ტექსტებიც მივაწოდოთ. რაც შეეხება საქართველოს ისტორიას, იგი მეხუთე კლასიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით ისწავლება. ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან მუშაობის სამსახურის უფროსმა ლევან გახელაძემ.

თამარ დვალი

პრეზენტაცია "მარიოტში"

გუშინ "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ" სასტუმრო "მარიოტში" მოაწყო პროექტის - "გამჭვირვალე ბიუჯეტის" ფარგლებში განხორციელებული 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და ზუგდიდის რაიონული ბიუჯეტის I კვარტლის მონიტორინგის შედეგების პრეზენტაცია. ახალგაზრდა ეკონომისტების განაგარიშებით, სახელმწიფო ბიუჯეტის I კვარტლის გეგმის გადაჭარბებით (114 პროცენტით) შესრულება ორმა ფაქტორმა განაპირობა; კერძოდ, სპეციალური შემოსავლების საბიუჯეტო შემოსავლებში გაერთიანებამ და გენერალური პროკურატურის თავდაუზოგავმა მუშაობამ უკანონოდ მითვისებული შემოსავლების ბიუჯეტში მობილიზების საკითხზე, რომლებიც არასაგადასახადო შემოსავლებში აღირიცხება. მონიტორინგის შედეგების მიხედვით, ასევე გაუმჯობესებულია პენსიების გაცემა, თუმცა ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ დასაქმების პროგრამების განხორციელება I კვარტლის ბიუჯეტის ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

დასაქმების პროგრამების ქვეკომპონენტებს შორის მხოლოდ 37 პროცენტით დაფინანსდა უმუშევართა შემწეობებისათვის განკუთვნილი ხარჯები და მხოლოდ 57 პროცენტით დაიფარა წინა წლის დავალიანება, ხოლო სხვა პროგრამებზე სახსრები საერთოდ არ გამოყოფილა. ახალგაზრდა ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ უნდა შენარჩუნდეს და მთელი წლის განმავლობაში გაუმჯობესდეს ასეთი დინამიკა, რათა შესაძლებელი იყოს სიტუაციის გამოსწორებაზე საუბარი.

მედია-ნიუსი

ერთი ბანდიტური დაჯგუფების წევრებს ქართველებიც აკავებენ და აფხაზებიც

წალენჯიხის პოლიციამ გალის ადმინისტრაციულ საზღვართან ახლოს, ლეკუხონა-ქალაღალის ტერიტორიაზე, წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანში დააკავა ძებნილი, 2003 წელს რუსთავის მეორე კოლონიიდან გაქცეული, მკვლელობისთვის ნასამართლევი ლაშა ქარდავა. დაკავებისას იგი ნარკოტიკული საშუალების ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა და მანვე აღიარა, რომ ნარკოტიკულ ნივთიერება "მარიხუანას" სახლშიც ინახავდა. კოლონიიდან გაქცევის შემდეგ ქარდავა იმ ბანდიტური დაჯგუფების წევრი იყო, რომელიც გალისა და წალენჯიხის რაიონების სოფლების მოსახლეობას აწიოკებდა. ამ დანაშაულებრივი ჯგუფის კიდევ ერთი წევრი ლექსო წულაია აფხაზურმა მილიციამ გალის რაიონის ტერიტორიაზე გუშინწინ დააკავა. ქართული მხარე მის გადმოცემას მოითხოვს, თუმცა ამასთან დაკავშირებით აფხაზი სამართალდამცავების პოზიცია ჯერჯერობით გაურკვეველია.

როგორც წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიას პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსი პაატა გაბუნია აცხადებს, ლაშა ქარდავას დაკავება ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად გახდა შესაძლებელი.

ინტერ-პრესი

ორი სიტყვით

თბილისი. ქალაქის პრემიერის ბიძინა ბრეგაძის განცხადებით, 26 მაისთან დაკავშირებით, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მონაკვეთი - 300 არაგველების სახელობის მონუმენტის მიმდებარე ტერიტორიამდე გადაიკეტება, სადაც გაიმართება საკონცერტო ღონისძიებები და მოეწყობა სახალხო სეირნობა. გარდა ამისა, 26 მაისს რესპუბლიკის მოედანზე საზეიმო-სამხედრო აღლუმის გამართვა იგეგმება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პარლამენტი წინა მოწვევის პარლამენტის მიერ დატოვებული კანონპროექტების განხილვაზე მორატორიუმის გამოცხადებას აპირებს. აღნიშნული ინიციატივა საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს ხათუნა გოგორიშვილს ეკუთვნის. მისი თქმით, საპროცედურო საკითხთა კომიტეტი წინა მოწვევის პარლამენტისგან დატოვებული 11 კანონიდან მხოლოდ ერთის განხილვას აპირებს, დანარჩენს კი იწუნებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ გუშინ გერმანია-კავკასიის საპარლამენტო მეგობრობის ბუნდესტაგის დელეგაცია მიიღო, რომელსაც კრისტოფ ვერგნერი ხელმძღვანელობდა. გერმანელ მეგობართა ჯგუფმა პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისინი მოხარულნი არიან საქართველოში მიმდინარე რევოლუციური მოვლენების გამო, რომელსაც ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების გაღრმავება უნდა მოჰყვეს. საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია გერმანელმა დეპუტატებმა ბუნდესტაგში მიიწვიეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

მოსკოვი. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ ბათუმიდან მიღებული ინფორმაციით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დაიწყო იმ პირების დაჭერები, რომლებიც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიმართ არალოიალურ დამოკიდებულებაში ეჭვმიტანილნი არიან. რუსეთის საგარეო უწყების განცხადებაში აღნიშნულია, რომ აჭარაში უსაფუძვლოდ იქნა დაკავებული ამიერკავკასიაში რუსეთის საჯარისო დაჯგუფების რუსი სამხედრო მოსამსახურე, მიმდინარეობს "არასასურველი ელემენტების" კუთვნილი საწარმოებისა და სამეურნეო ობიექტების კონფისკაციისათვის მზადება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სოხუმში ვიზიტით მყოფმა, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია "საერთაშორისო განგაშის" წარმომადგენელმა აფხაზ პარლამენტარებსა და სოხუმის ხელისუფლებას კვიპროსზე შექმნილი ვითარება გააცნო. სოხუმში ვიზიტის ფარგლებში "საერთაშორისო განგაშის" გენერალურმა მდივანმა დენ სმიტმა და ამავე ორგანიზაციის ევრაზიის პროგრამის ხელმძღვანელმა გევორქ ტერ-გაბრიელიანმა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივები სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი შამბასთან შეხვედრაზე განიხილეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. არასამთავრობო ორგანიზაცია "განათლების ეროვნული კავშირის" გამგეობა ტელედებატებში იწვევს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძეს, რომლისგანაც ოკუპირებულ ერაყში ქართული სამხედრო კონტინგენტის ყოფნის აუცილებლობის სათანადო არგუმენტებით დასაბუთებას მოითხოვენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ცხინვალი. უახლოეს ხანში ცხინვალში სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკისა და ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა ალანიას მთავრობათა ერთობლივი სხდომა გაიმართება. როგორც ცხინვალის დე ფაქტო მთავრობის ვიცე-პრემიერი ზურაბ კოკოევი აცხადებს, "ორი მეგობარი რესპუბლიკის თანამშრომლობის პირველი დადებითი შედეგები უკვე სახეზეა და ერთობლივი სხდომა პარტნიორობის კიდევ უფრო გაღრმავების მიზნით ჩატარდება". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ბლოკი "ედპ-ტრადიციონალისტების" ერთ-ერთი ლიდერი გუბაზ სანიკიძე მიიჩნევს, რომ რამდენიმე წევრის მიერ საპარლამენტო ფრაქცია "ნაციონალ-დემოკრატების" დატოვება უმრავლესობის დაშლის მიზეზი ვერ გახდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პოლიციამ დააკავა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფი ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში მცხოვრებნი - 48 წლის ზაურ ლაზიშვილი, რომლის სახლიდან ამოიღეს 0.45 გრ ჰეროინი; 43 წლის ომარ ბლადაძე, რომლის სახლიდან ამოიღეს 0.38 გრ ჰეროინი; 30 წლის გელა ერიმიძე, რომლის სახლიდან ამოიღეს 0.458 გრ ჰეროინი და ქობულეთში მცხოვრები, ნასამართლევი, 42 წლის გენადი გოგიტიძე, რომლის სახლიდან ამოიღეს 0.135 გრ ჰეროინი. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის ქობულეთის განყოფილება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სამართალდამცავებმა დააკავეს მარნეულის რაიონის სოფელ ყიზილ-აჯლოში მცხოვრები, 34 წლის არიფ აზიზოვი, რომელიც სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე თავს დაესხა მარნეულში მცხოვრებ, 24 წლის ჯაბა ორიაულს, რომელსაც დანის მუქარით და ფიზიკური ძალის გამოყენებით გასტაცა ავტომანქანა "ვაზ-2106". ავტომანქანა და დანა ამოღებულია. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის მარნეულის განყოფილება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სამართალდამცავებმა საგარეჯოში დააკავეს 53 წლის თემურ მამისაშვილი, რომელმაც სანადირო თოფიდან გასროლით თავში დაჭრა მეუღლე, 46 წლის მარიამ მამისაშვილი. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, დაჭრილი მარიამ მამისაშვილი საავადმყოფოშია მოთავსებული. გამოძიებას აწარმოებს პროკურატურა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

მოსკოვი. ჩეჩნეთის რესპუბლიკაში საპრეზიდენტო არჩევნები 2004 წლის სექტემბრის პირველ კვირა დღეს გაიმართება. ამის შესახებ სამხრეთის ფედერალურ ოლქში პრეზიდენტის რწმუნებულმა ვლადიმირ იაკოვლევმა განაცხადა. მისი თქმით, ჩეჩნეთის საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ცვლილებები არ განხორციელებულა და უახლოეს მომავალში კომისია მუშაობას განაახლებს. თუმცა, კომისიის დაფინანსების საკითხი, ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არ არის. ამისათვის აუცილებელი იქნება ბიუჯეტიდან სახსრების გამოძებნა. ხოლო დაფინანსების გარკვეული ნაწილი კი საქველმოქმედო ფონდების საშუალებითაც მოხდება.

სოხუმი წინასწარ ზომებს იღებს

გუშინ მოსკოვიდან დაბრუნებულმა სოხუმის ხელისუფლების პრემიერ-მინისტრმა რაულ ხაჯინბამ, აჭარაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით და საქართველოს პეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადებების გამო, აფხაზეთის რესპუბლიკის ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებთან საგანგებო თათბირი გამართა და სოხუმის ხელისუფლების შს სამინისტროსა და უშიშროების სამსახურისაგან, ხელისუფლებისათვის არასასურველი პროცესებისა და გაუთვალისწინებელი მოვლენების თავიდან ასაცილებლად, პოლიტიკურ პროცესებზე კონტროლის გამკაცრება მოითხოვა. ხაჯინბას განკარგულებით, გამკაცრდება კონტროლი საქართველო-აფხაზეთის საზღვისპირა ზონასა და მდინარე ენგურის მთელ პერიმეტრზე. მისივე თქმით, პოლიტიკურ პროცესებზე სრული კონტროლის განსახორციელებლად, საჭიროების შემთხვევაში, ხელისუფლება აფხაზეთის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის რეჟიმს აღადგენს, რომელიც აფხაზეთში რამდენიმე წლის წინ იქნა შემოღებული და რომელიც მოქალაქეთა გადაადგილებაზე განსაკუთრებულ რეჟიმს აწესებს.

ინტერ-პრესი

ნინო ბურჯანაძე სტრასბურგში გაემგზავრება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე 17 მაისს სტრასბურგში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პარლამენტის თვითმმართველობის კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრება. კონფერენციას, რომელსაც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი პიტერ შიდერი გახსნის, ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში დემოკრატიის განვითარების ხარისხზე იმსჯელებენ. ევროსაბჭოს კონფერენციის პარალელურად, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე სამხრეთ კავკასიის რეგიონის პარლამენტის თავმჯდომარეთა და სუუამის სპიკერების შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას. დაგეგმილია ნინო ბურჯანაძის შეხვედრა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტთან პიტერ შიდერთან, საფრანგეთის სენატის თავმჯდომარესთან კრისტიან პონსლესთან, ბუნდესტაგის თავმჯდომარე ვოლფანგ ტიესთან, რუმინეთის, ლატვიის პარლამენტის თავმჯდომარეებთან.

ინტერ-პრესი

ოფიციოზი

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №154

2004 წლის 11 მაისი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - "საქართველოს სახელმწიფო საინფორმაციო სამსახურის" ლიკვიდაციის შესახებ.

"საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტისა და "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად:

1. გაუქმდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - "საქართველოს სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური" (შემდგომში - სამსახური).
2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს "საქართველოს სახელმწიფო საინფორმაციო-საგამომცემლო სახელმწიფო კორპორაციის (საქინფორმი) რეორგანიზაციის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 1 ივლისის №284 ბრძანებულება.
3. შეიქმნას სამსახურის სალიკვიდაციო კომისია (შემდგომში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:
   ავთანდილ ფავლენიშვილი - საქართველოს სახელმწიფო საინფორმაციო სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე
   დავით ოსეფაშვილი - საქართველოს სახელმწიფო საინფორმაციო სამსახურის მთავარი რედაქტორის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
   ონისე ბერიძე - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბუღალტრო აღრიცხვის მეთოდოლოგიის სამსახურის კონსულტანტი
   ერემია გრიგალაშვილი - საქართველოს სახელმწიფო საინფორმაციო სამსახურის სამეურნეო საქმიანობის სპეციალისტი
   მირიან მდივანი - საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების დეპარტამენტის განყოფილების უფროსი
   ნინო ყუშიტაშვილი - საქართველოს სახელმწიფო საინფორმაციო სამსახურის მოლარე-ბუღალტერი
   ავთანდილ ხარატი - საქართველოს სახელმწიფო საინფორმაციო სამსახურის იურისტი
   ნინო ხოსროშვილი - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.
4. კომისიამ (ა. ფავლენიშვილი) უზრუნველყოს:
   ა) სამსახურის ბალანსზე რიცხული ქონებისა და დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების სრული ინვენტარიზაცია და სალიკვიდაციო ბალანსის შედგენა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
   ბ) თანამშრომელთა გათავისუფლება კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად.
5. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ზ. ნოღაიდელი) უზრუნველყოს სალიკვიდაციო ბალანსისა და დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების დამტკიცება კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად.
6. საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ (ი. რეხვიაშვილი) უზრუნველყოს სამსახურის ბალანსზე რიცხული სახელმწიფო ქონების შემდგომი განაწილების თაობაზე წინადადებების წარმოდგენა.
7. კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს მისთვის დაკისრებული ამოცანის შესრულებამდე, მაგრამ არა უგვიანეს 17 ივლისისა.
8. კომისია საქმიანობას ახორციელებს სხდომის მეშვეობით, რომელიც იმართება ორ კვირაში ერთხელ მაინც. კომისიის თავმჯდომარე საჭიროების შემთხვევაში იწვევს რიგგარეშე სხდომას.
9. სხდომას უძღვება კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - თავმჯდომარის მოადგილე.
10. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომაზე გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.
11. ამ ბრძანებულების პირველი და მე-2 პუნქტები ამოქმედდეს 2004 წლის 17 ივლისიდან.

მიხეილ სააკაშვილი

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

სერგეი კორტუნოვი: "აჭარა სააკაშვილის დიპლომატიური და პოლიტიკური გამარჯვებაა"

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

- "მოსკოვმა შეასრულა მისთვის გამოყოფილი როლი თბილისის მიერ გათამაშებულ ბრწყინვალე პარტიაში," რუსულ პრესაში ასეთმა შეფასებამაც გაიელვა. რამდენად ეთანხმებით მას?

- ვერ დავეთანხმები საკითხის ასე დაყენებას, რადგანაც აჭარის კრიზისის განმუხტვა მოსკოვ-ვაშინგტონს შორის ნარმოებული ინტენსიური მოლაპარაკებების შედეგი იყო. პოლიტიკაში მხოლოდ შედეგებით მსჯელობენ. აი, როგორ მოხდა ყველაფერი: იმ დღეს პირველ რიგში პუტინი და ბუში შეთანხმდნენ. როცა ვითარება საქართველოს პროვინციაში სახიფათოდ დაიძაბა, მოსკოვში ცხადი გახდა, რომ ასლან აბაშიძე კონფლიქტის ხელოვნურ ესკალაციას ეწეოდა. უცებ ყველამ გათვალა თავისი ინტერესი: ჩვენ ვხედავდით, რომ აბაშიძეს ვითარება აშკარა სისხლისღვრისაკენ მიჰყავდა. ფაქტია, კრემლისთვის ეს არავითარ შემხთვევაში არ იყო ხელსაყრელი. ამიტომაც შედგა პუტინ-ბუშის ოპერატიული კონსულტაციები, რომელშიც ასევე აქტიურად ჩაერთო მიხეილ სააკაშვილი. სამმხრივი მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა ბათუმში იგორ ივანოვის მივლინება. ივანოვი პუტინის ემისარი იყო. მას ჰქონდა ადგილზე მოქმედების უფლებამოსილება და კონკრეტული დავალება, გადაეცა ასლან აბაშიძისათვის მიხეილ სააკაშვილის მიერ მიცემული გარანტიები. მოსკოვისათვის ვაშინგტონს აქ მეორეხარისხოვანი როლი არ გამოუყვია. ყველაფერი ურთიერთშეთანხმების შედეგად გადაწყდა და წაგებული არავინ დარჩენილა. აჭარის კრიზისის განმუხტვა - ეს იყო საქართველოს პრეზიდენტის მორიგი დიპლომატიური და პოლიტიკური გამარჯვება. მიმაჩნია, რომ აჭარა სააკაშვილის პირადი გამარჯვებაა და ეს მომენტი სათანადოდაა დასაფასებელი.

სერგეი კორტუნოვი

- გააკეთებს თუ არა აბაშიძე განცხადებას გადადგომაზე, ხომ არ გადაინახა მოსკოვმა რაღაც გარკვეული მომენტისათვის "აბაშიძის ლეგიტიმურობის" ვერსია? არის ინფორმაცია, რომ მოსკოვი აბაშიძის შრომითი მოწყობისათვის ზრუნავს და აჭარის ყოფილი ლიდერისათვის მოსკოვის ხელისუფლებაში სპეციალური სტრუქტურაც კი იქმნება.

- განცხადებების გაკეთებას არავითარი აზრი არ აქვს - ეს იქნება კინო. იური ლუჟკოვი, თუკი საპენსიო ასაკის თავის ძმაკაცზე მართლაც ზრუნავს, ეს ნაკლებად ეხება დიდ პოლიტიკას და რუსეთის ოფიციალურ სტრუქტურებს. დიახ, მოსკოვმა აბაშიძე წამოიყვანა. იმედია, კრემლი არ ჩაიდენს რაიმე სისულელეს და აჭარის ყოფილ ლიდერს რაიმე პოლიტიკურ პოსტს არ შესთავაზებს. აბაშიძე კრემლისათვის უკვე გადამუშავებული მასალაა. ლუჟკოვი ალბათ აბაშიძეს რაიმე საპენსიო თანამდებობას მოუძებნის მოსკოვის კომერციულ სტრუქტურებში, რადგანაც არსებობს აჭარასა და მოსკოვის ხელისუფლებას შორის მთელი რიგი ეკონომიკური, ბიზნეს-პროექტები. ამ ამბავმა თბილისი არ უნდა გააღიზიანოს, რადგანაც აბაშიძის მოსკოვში წამოყვანა სამმხრივი შეთანხმების შედეგი იყო.

- როგორ უყურებენ მოსკოვის პოლიტიკური წრეები საქართველოს ურთიერთობების პერსპექტივას სხვა ურჩ რეგიონებთან?

- გინდათ მითხრათ, რომ "მანდარინების რევოლუციისათვის" ვემზადებით? თბილისს ჯერ ამის ძალა არ აქვს. თუმცა, ვიცით, რომ სააკაშვილი ამაზე მუშაობას უკვე შეუდგა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იქ სუბეთნოსთან გვაქვს საქმე და არძინბას გარემოცვა თბილისის შემხვედრ ნაბიჯებს არ გადადგამს. სიტუაციას ართულებს აფხაზეთში ოპოზიციის არყოფნა. ომით აფხაზეთის დაბრუნება შეუძლებელია. ამიტომ აქ სხვა გზა უნდა მოიძებნოს. თბილისმა აფხაზეთი ძლიერი ეკონომიკით უნდა დააინტერესოს - ესაა ერთადერთი გამოსავალი. საქართველოში ყოფნა აფხაზეთისთვის ეკონომიკურად, მატერიალურად მიმზიდველი უნდა გახდეს. იურიდიულად ყველა თამაში წაგებულია, რადგანაც აფხაზეთში საქართველოს ხელისუფლებას არც ერთხელ არ ჩაუტარებია არჩევნები. ასლან აბაშიძეს რომ განეხორციელებინა არჩევნების ბოიკოტი, დღესაც ბათუმში იჯდებოდა. ამდენად, აფხაზეთში ბევრად განსხვავებული სიტუაციაა. მოსკოვი ხედავს, რომ იქ სრული იურიდიული ჩიხია, ამიტომ სტაბილურობის შენარჩუნებას ეცდება ერთადერთი გზით - მხოლოდ ეკონომიკური ინვესტიციებით. კრემლი აფასებს სააკაშვილის სწრაფვას, აფხაზეთის ეკონომიკის გაჯანსაღებაში ჩართოს რუსული კაპიტალი. ეს ყველაზე გონივრული გზაა.

ვინ გახდება ჩეჩნეთის პრეზიდენტი

რუსეთის საინფორმაციო საშუალებების მიმოხილვა

ვლადიმირ პუტინმა პირადად მიუსამძიმრა რამზან კადიროვს.

რუსეთის საინფორმაციო საშუალებების უდიდესი ნაწილი, ჩეჩნეთის პრეზიდენტის ახმად კადიროვის მკვლელობის შემდეგ, ფედერალური ცენტრის მიერ ურჩ რესპუბლიკაზე მართვის ბერკეტების დაკარგვას ვარაუდობს.

ჩეჩნეთის კონსტიტუციის მიხედვით, საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს არა უგვიანეს ამა წლის 5 სექტემბრისა. როგორც ცნობილია, არჩევნებამდე პრეზიდენტის მოვალეობას შეასრულებს ჩეჩნეთის მთავრობის თავმჯდომარე სერგეი აბრამოვი. ექსპერტთა აზრით, იგი "დროებითი კაცია" და კრემლის მიერ მასზე დაკისრებული მთავარი ამოცანა იქნება არჩევნების მომზადება.

საკმაოდ გააქტიურდა საუბარი იმის თაობაზე, რომ არ არის გამორიცხული, კრემლმა კადიროვის მემკვიდრედ დაასახელოს მისი ვაჟიშვილი რამზან კადიროვი. მით უფრო, რომ პუტინმა მას პირადად მიუსამძიმრა და მეორე დღესვე დანიშნა ჩეჩნეთის პირველ ვიცე-პრემიერად, თუმცა აღნიშნული სცენარის რეალიზებაში არსებობს ერთი სერიოზული პრობლემა - ჩეჩნეთის კონსტიტუციიდან გამომდინარე, პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნას მხოლოდ 30 წელს მიღწეული ადამიანი. რამზან კადიროვი კი 27 წლისაა. ასე რომ, თუკი კრემლში გადაწყვეტენ მის გაპრეზიდენტებას, აუცილებელი გახდება ჩეჩნეთის კონსტიტუციის შეცვლა. ეროვნული სტრატეგიის ინსტიტუტის პრეზიდენტის სტანისლავ ბელკოვსკის აზრით, არც ეს არის გამორიცხული.

11 მაისს გაზეთ "ვრემია ნოვოსტეისათვის" მიცემულ ინტერვიუში, რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ, გენერალმა გენადი ტროშევმა განაცხადა, რომ ჩეჩნეთის პრეზიდენტობის ყველაზე ღირსეული კანდიდატია, ასევე, რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე ასლამბეკ ასლახანოვი. რუსეთის მედიამ არც ეს ვარიანტი გამორიცხა, რადგანაც, ჯერ ერთი, აზრი გააჟღერა პრეზიდენტის თანაშემწემ და მეორეც - ჩეჩნეთის წინა საპრეზიდენტო კამპანიის დროს, ასლამბეკოვს გამარჯვების საკმაოდ მაღალი შანსები გააჩნდა, მაგრამ მან მოხსნა საკუთარი კანდიდატურა. მაგრამ, აღნიშნული ვარიანტიც, ჯერჯერობით, საკმაოდ სათუოა, რადგანაც 12 მაისს "ინეტრ-ფაქსში" ჩატარებულ პრესკონფერენციაზე თავად ასლამბეკოვმა განაცხადა, რომ არ აპირებს საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას. ექსპერტთა აზრით, მსგავსი განცხადებები არაფერს ნიშნავს, რადგანაც სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი იმოქმედებს ისე, როგორც მას კრემლი უკარნახებს.

ყურადსაღებია, რომ რუსეთის რამდენიმე წამყვანი გაზეთი აქვეყნებს ინტერვიუს ჩეჩნეთის პრეზიდენტობის ექსკანდიდატთან მალიქ საიდულაევთან (2003 წლის 11-16 ოქტომბერს ჩეჩნეთში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მოსახლეობის მხრიდან ნდობის ყველაზე მაღალი კოეფიციენტი ჰქონდა სწორედ მალიქ საიდულაევს, მეორე ადგილზე იყო ახმად კადიროვი. საიდულაევი აცხადებს, რომ მონაწილეობას მიიღებს მომავალ არჩევნებში, მაგრამ თითქმის დარწმუნებულია, რომ ჩეჩნეთში კვლავ წინა არჩევნების სცენარი გათამაშდება).

რუსეთის საინფორმაციო საშუალებების აზრით, სერიოზულ კანდიდატებად შეიძლება ჩაითვალონ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დოკუ ზავგაევი და რუსეთის უმაღლესი საბჭოს ექსსპიკერი რუსლან ხასბულატოვი. ჯერჯერობით ხასბულატოვი აცხადებს, რომ არ აპირებს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას; ხოლო ზავგაევის ნაცვლად აღნიშნული შესაძლებლობა უარყო მისმა ძმამ, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა ახმარ ზავგაევმა.

ექსპერტთა აზრით, სერიოზულ კანდიდატთა შორისაა აგრეთვე გროზნოს ყოფილი მერი ბისლან განტამიროვი.

რუსეთის მთავრობის ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო - "როსიისკაია გაზეტა" - ჩეჩნეთის პრეზიდენტობის კიდევ ერთ რეალურ კანდიდატად ასახელებს სამხრეთ ფედერალურ ოკრუგში რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენლობის ჩინოსანს საიდ-სელიმ პეშხოევს, რომელიც "ძლიერი და ავტორიტეტული ხელმძღვანელია და, რაც მთავარია, მასზე არ არსებობს კომპრომატი.

რუსეთის საინფორმაციო საშუალებების აზრით, მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები ჩეჩნეთში საკმაოდ დაძაბული იქნება. ჩეჩნეთის პრეზიდენტობის შესაძლებელი ფიგურები თითქმის თანაბარ პირობებში იმყოფებიან და, თუ რუსეთის პრეზიდენტი კვლავ აშკარად არ გამოხატავს საკუთარ ნებას, სავარაუდოდ, შეიქმნება სერიოზული პრობლემები. ჩეჩნეთის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი აბრამოვიც ფიქრობს, რომ არჩევნები საკმაოდ რთული იქნება იმის გამო, რომ დღესდღეობით აშკარა ლიდერი არ არსებობს.

ლელა ანჯაფარიძე
რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოს საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახური

მთავრობას დასვენების დღეები არ აქვს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

გარდა ამისა, მათ მიერ ქვეყნის დატოვების შემთხვევაშიც მოხდება მათი და მათი ოჯახის წევრების კუთვნილი, "უკანონოდ მოპოვებული ქონების" კონფისკაცია. იუსტიციის მინისტრი აკონკრეტებს, რომ მსგავსი უფლება არსებობდა სახელმწიფო მოხელეებთან მიმართებაში, თუმცა ამჯერად არეალი ფართოვდება და კანონი ე.წ. მაფიოზური დაჯგუფებების წარმომადგენლებსაც შეეხება.

გადაწყვეტილება მთავრობის სხდომაზე მოწონებულია და საკანონმდებლო ცვლილებებს უახლოეს პერიოდში საქართველოს პარლამენტიც განიხილავს. თუმცა, ცხადია, ქონების ჩამორთმევამდე აუცილებლად უნდა დამტკიცდეს, რომ ქონება "დაუსაბუთებელია", ანუ - რეკეტით და სხვა უკანონო გზებით არის მოპოვებული.

მთავრობის სხდომის მეორე და არანაკლებ მთავარი თემა წალკაში შექმნილი სიტუაცია გახლდათ. მართალია, საქართველოს ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი არ ადასტურებს, რომ საქმე ეთნიკურ კონფლიქტთან გვაქვს, მაგრამ პრობლემის სერიოზულობაზე თავად ამ საკითხის მთავრობის სხდომაზე განხილვის ფაქტი, მასთან დაკავშირებით სპეციალური კომისიის ჩამოყალიბება და ისიც მეტყველებს, რომ ხვალ აჭარიდან გამომგზავრებული შინაგან საქმეთა მინისტრი პირდაპირ წალკაში ჩავა.

და კიდევ ერთი - გუშინ მთავრობის სხდომამ ხე-ტყის ჭრაზე ერთთვიანი მორატორიუმის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. სავარაუდოა, რომ ამ გადაწყვეტილებას ვადა გაუგრძელდება, ყოველ შემთხვევაში - სამცხე-ჯავახეთში მაინც.

ქუთაისის მერიის ჩინოსანთა მანქანები - აუქციონზე

ᲑᲔᲥᲐ ᲡᲘᲡᲐᲣᲠᲘ
ქუთაისიდან

გიორგი გიორგაძემ ქუთაისის მერიის რეფორმა დაიწყო.

ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი გიორგაძე ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურულ რეორგანიზაციას შეუდგა. მან ჟურნალისტების წინაშე უკვე წარმოადგინა თვითმმართველობის რეფორმის პროექტი, რომელიც ქუთაისის მერიის უსასრულოდ გაბერილი შტატების შემცირებას, ხელფასების ზრდას და მმართველობის ეფექტურობის ამაღლებას ითვალისწინებს.

პროექტის მიხედვით, ქალაქს ექვსი ვიცე მერის ნაცვლად მხოლოდ სამი ეყოლება. ერთ სფეროდ გაერთიანდება კულტურა, სპორტი და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური. ასევე გაერთიანდება ჯანდაცვა და სოციალური სფერო. **"სქტრუქტურული ცვლილების მთავარი მიზანი იყო, შეგვექმნა ეფექტური მთავრობა, ქმედითუნარიანი სამსახურები და შეგვეჩერებინა ქალაქის უკუსვლა, რომელიც წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. მოცდის დრო აღარ არის,"** - განაცხადა ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლმა. გიორგაძის მიერ იგეგმება კიდევ ერთი სიახლე - ქუთაისში ფუნქციონირებას დაიწყებს ადმინისტრაციული ინსპექცია, რომელსაც ქალაქის იერსახეზე ზრუნვასთან ერთად, ბიუჯეტში ადგილობრივი მოსაკრებლების მოზიდვაც დაევალება. ქალაქის ხელმძღვანელობა აღნიშნულ სამსახურზე დიდ იმედებს ამყარებს. **"ვიმედოვნებთ, რომ ეს სამსახური გახდება ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ერთ-ერთი ძირითადი დონორი,"** - აცხადებს გიორგაძე. სტრუქტურული ცვლილებების შედეგად, მერიაში მინიმალური ხელფასი 150 ლარით განისაზღვრება, ხოლო თვითმმართველობის თანამშრომელთა რაოდენობა 436-დან 323-მდე შემცირდება. **"ჩემი მუშაობის პირველივე დღესვე შემოვიარე მერია და გაოცებული დავრჩი. ერთ კაბინეტში, ფაქტობრივად, 4-5 ადამიანი ერთ სკამზე მორიგეობით ჯდებოდა. მათ ელემენტარული სამუშაო პირობები არ გააჩნდათ. მინიმალური ხელფასი კი 50 ლარი იყო, რომელიც პირდაპირ უბიძგებდა ადამიანს კორუფციისკენ,"** - მიაჩნია ქალაქის ახალ ხელმძღვანელს. გიორგაძე აცხადებს, რომ მერიის თანამშრომლების მიერ ჩადენილი ორი დანაშაულებრივი ფაქტი გამოსაძიებლად პროკურატურაში უკვე გადაიგზავნა. ერთი მათგანი მერიიდან მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის დაკარგვას შეეხება, მეორე კი, ქუთაისის საოლქო სასამართლოში გაგზავნილი, დოკუმენტის გაყალბებას. რომლის მიხედვითაც მერია უარს ამბობდა ერთ-ერთი კერძო ფირმის მიმართ წაყენებულ პრეტენზიებზე და, შესაბამისად, დიდ თანხასაც აგებდა. **"უკვე დამთავრდა მერიაში ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვა, ყოველი კაპიკი აღრიცხვაზე მყავს აყვანილი, რამაც საშუალება მომცა, რომ მასწავლებლებისთვის ხელფასები დროულად მიმეცა... როდესაც ამ თანამდებობაზე მოვედი, უამრავი ვალი დამხვდა. ქუთაისში, ფაქტობრივად, ნისიად სრულდებოდა სამუშაოები და წლების განმავლობაში ვალმა კოლოსალურ თანხებს მიაღწია. წელს 800 000 ლარის ოდენობით საბანკო კრედიტის გასტუმრება მოგვიწევს. მიუხედავად არსებული ვალებისა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მერიას საკუთარი თანამშრომლებისთვის ძალიან ძვირადღირებული ავტომობილები აქვს შეძენილი. ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება, რომ ავტომობილები აუქციონზე გაიყიდება და შემოსული თანხა სოციალურად დაუცველი ფენების პირობების გაუმჯობესებას მოხმარდება,"** - აცხადებს გიორგაძე. იგი აუქციონზე გაყიდვას უპირებს ქუთაისის ყოფილი მერის ნუგზარ ფალიანის ძვირადღირებულ "მერსედესს", საკრებულოს თავმჯდომარის "ჰიუნდაის" და კომუნალური სამსახურის უფროსის "ბმვ"-ს. მერიის ახალი სტრექტურის დამტკიცებას ქალაქის საკრებულო ხუთშაბათს აპირებს.

საავკაშვილს სოხუმიდან მიმართავენ

"მიშა, შეგვარიგე!" - ამ ლოზუნგით სოხუმიდან სხვადასხვა ეროვნების ადამიანებმა საქართველოს პრეზიდენტს მიმართეს. სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, 11 მაისს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა სოხუმის ცენტრში საქართველოს სახელმწიფო ხუთჯვრიანი დროშებითა და პრეზიდენტ სააკაშვილის სურათებით გამართული აქციის მონაწილე - სხვადასხვა ეროვნების 16 მოქალაქე დააკავეს. იმავე წყაროს ცნობით, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში შეკრებილ მცირერიცხოვან მოქალაქეთა ჯგუფმა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისაგან ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების დაჩქარება, აფხაზებისა და ქართველების და აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების შერიგება მოითხოვა. "მიშა, შეგვარიგე!" - ამ ლოზუნგით, სოხუმის ორახელაშვილის ქუჩაზე შეკრებილ მოქალაქეთა 16-კაციანი ჯგუფი, რომელთა შორის სომეხი ეროვნების წარმომადგენლები სჭარბობდნენ, აფხაზმა პოლიციელებმა მაშინ დააკავეს, როცა მათ პრეზიდენტ სააკაშვილის სურათები იმავე ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, მინერალური წყლების მაღაზიის კედლებზე გააკრეს და მათი მოწოდებების გამო გამვლელებმა შეკრება დაიწყეს.

ინტერ-პრესი

რა ქონებას ფლობს სახელმწიფო აჭარაში?

ჰირველი გვერდიდან

რომელიც სახელმწიფო ქონებას ეხებოდა, აჭარის ადგილობრივი ხელისუფლება ყოველთვის იგნორირებას ახდენდა.

დღეს გოგიტა ფრუიძე სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილეა. ის ამბობს, რომ ამ მხრივ ურთიერთობა აბაშიძის რეჟიმის ბოლო წუთამდე არ შეცვლილა. **"ერთადერთი ინფორმაცია, რასაც ადგილობრივი ქონების მართვის სამინისტრო მუდმივად გვაწვდიდა, ეს იმ მცირე ობიექტებს ეხებოდა, რომლის პრივატიზებას ჩვენთან შეთანხმებას ითხოვდა,"** - აღნიშნა ფრუიძემ "24 საათთან" საუბრის დროს.

დღეს უკვე ირკვევა, რომ აბაშიძის მმართველობის დროს რეგიონში მასობრივი პრივატიზაცია არ მომხდარა. მსხვილი და საშუალო საწარმოების დიდი ნაწილი დღესაც სახელმწიფო საკუთრებაშია. აბაშიძე არც ამ შემთხვევაში ღალატობდა ტრადიციას და ამ საწარმოებში პირველ პირებად საკუთარ ნათესავებს ნიშნავდა.

წლების განმავლობაში, როგორც წესი, რეგიონამდე უცხოური ინვესტიციები თითქმის ვერ აღწევდა. მიზეზი მარტივია, ნებისმიერი პოტენციური ინვესტორისთვის აბაშიძის რეჟიმი და "მის" საწარმოებში არსებული მენეჯმენტი მიუღებელი და წამგებიანი იყო.

1996 წლიდან დღემდე გასხვისებული ობიექტების რაოდენობა სამასს აღწევს. მათი აბსოლუტური უმრავლესობა არასაცხოვრებელი ფართი, სავაჭრო ობიექტი და სამედიცინო დაწესებულებაა. ერთადერთი მსხვილი ობიექტი, რომლის პრივატიზება უკანასკნელი წლების განმავლობაში მოესწრო, ბათუმის ნავთობტერმინალი იყო.

პრივატიზაციიდან ცენტრალურ ბიუჯეტში გადარიცხული თანხების ოდენობა წლების განმავლობაში მიზერული იყო; მაგალითად - დღემდე პრივატიზირებული ობიექტების მნიშვნელოვნი ნაწილის განსახელმწიფოებრიობა 1998-1999 წლებში მოხდა. "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" აჭარის ფილიალის თავმჯდომარის როინ ლამაპარაძის ინფორმაციით, ამ დროს პრივატიზაციიდან შემოსული თანხის ოდენობამ 16 მილიონ ლარს გადააჭარბა, საიდანაც ცენტრალურ ბიუჯეტში მხოლოდ 102 ათასი ლარი ჩაირიცხა.

უმნიშვნელო იყო აჭარაში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოებიდან ცენტრალურ ბიუჯეტში გადარიცხული სახელმწიფოს კუთვნილი დივიდენდების ოდენობაც. მოქმედი კანონმდებლობით, საწარმოს წმიდა მოგებიდან ამოღებული დივიდენდის 35 პროცენტი - ცენტრალურის, 65 კი ადგილობრივი ხაზინის კუთვნილება იყო; თუმცა აბაშიძის ხელისუფლება ამ კანონის იგნორირებას შევარდნაძის მმართველობის ხანაში იოლად ახერხებდა. როგორც ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ქონების ფინანსური მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ელგუჯა ექსეელიძე განმარტავს, უკანასკნელი წლების განმავლობაში ცენტრალურ ბიუჯეტში აჭარიდან დივიდენდის სახით გადმორიცხული თანხა მიზერულია.

როინ ლამაპარიძე ირწმუნება, რომ აჭარაში სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი საწარმოები, რამდენიმეს გამოკლებით, დღესაც რენტაბელურია და პრივატიზაციას ჯერ კიდევ ექვემდებარება. მაგალითად, ბათუმში ფუნქციონირებს "მშენებელი 98", რომელიც, ძირითადად, ქვის ფილებს ამზადებს. საწარმოში, რომელსაც აბაშიძის ერთ-ერთი ნათესავი ხელმძღვანელობს, აქციების 99 პროცენტის მფლობელი სახელმწიფოა. როინ ლამაპარიძე ირწმუნება, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში, სხვა რამდენიმე საწარმოსთან ერთად, "მშენებელი 98" რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კომპანიაა.

პრეზიდენტის დავალებით შექმნილი სპეციალური კომისია, რომელიც აჭარაში არსებულ სახელმწიფო ქონებას სწვალობს, მუშაობის დასრულების შემდეგ რეგიონში საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხას მოამზადებს. არ არის გამორიცხული, რომ აჭარაში საწარმოთა განსახელმწიფოებრიობის პროცესი წლის ბოლომდე დაიწყოს, თუმცა მანამდე საწარმოთა მართვის სააგენტო, სავარაუდოდ, ამ საწარმოებში დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარებას მოითხოვს.

სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი, სამშენებლო დარგი, წყალმომარაგება-კანალიზაციის სისტემა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" განცხადებით, აჭარაში ის სფეროებია, რომელიც რესტუქტურიზაციასა და პრივატიზაციას პირველ რიგში საჭიროებს. ასოციაციის წევრების შეფასებით, ამაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რეგიონის ეკონომიკის განვითარება.

ექსპერტები ხელისუფლებისგან, მომავალი პრივატიზაციის პროცესის გამჭირვალობის გარდა, "აბაშიძისეული პრივატიზაციის" გადახედვას მოითხოვენ.

მოსალოდნელია ზოგიერთი საწარმოს სამართლებრივი ფორმის შეცვლა. პირველ რიგში, ეს ბათუმის პორტს შეეხება. სავარაუდოდ, ის სააქციო საზოგადოებად გადაიქცევა, რომელსაც სამეთვალყურეო საბჭო ეყოლება. გარკვეული მინიშნებები ამასთან დაკავშირებით ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრმა სამი დღის წინათ, ბათუმში ვიზიტის დროს გააკეთა. **"ბათუმის პორტს უნდა ჰქონდეს ისეთი სტატუსი, რომელიც მას სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების მოზიდვის საშუალებას მისცემს",** - აღნიშნა მინისტრმა. ბათუმის პორტი ამჟამად მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაშია.

აქვე გთავაზობთ აჭარაში განლაგებული სახელმწიფო საწარმოების იმ არასრულ ჩამონათვალს, რომელიც "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" აჭარის ფილიალმა ერთი წლის მუშაობის შედეგად შეადგინა.

დასახელება	სახელმწიფო მფლობელობაში დარჩენილი აქციების რაოდენობა %	სულ ბიუჯეტისა და სოციალური დაზღვევის გადასახადის ვადაგადაცილებული დავალიანება		
		სულ	მათ შორის	
			ძირითადი	საურავი
ბათუმის ქიმიური ქარხანა	30.48	127.500	127.500	0.0
აჭარაპური	53.5	271.800	271.800	0.0
ავტომობილისტი	28.33	19.700	12.200	7.500
ავტოტურისტი	53.03			
კაუჩუკი (რეზინა-ტექნიკური ქარხანა)	46.43			
ავტომობილისტი№1	37.25	62.000	31.500	30.500
ბათუმსპეცმონტაჟი	41.91	60.200	60.200	0.0
ბათ-ტრანსფორმატორი	73.2			
სააეროჯო ბამბუკის ფაბრიკა	28.4			
ბათუმის ხორცკომბინატი	51.71			
გურმანი (სასადილოების ტრესტი)	25.16			
ბათუმის ხის დამამუშავებელი კომბინატი	24.98			
ტურისტული კომპლექსი "მესხეთი"	41.7	212.200	212.200	0.0
ბათუმის ავტოსადგური	31			
ქობულეთის ტუნგოს ქარხანა	51.26	28.400	23.300	5.100
ბათავტოტრანსსერვისი	33			
აჭარპაკმშენი	50.3			
აჭარწიგნი	6.64			
პოლიგრაფისტი	38.35			
ხელვაჩაურის ცირკულის გადამამუშავებელი კომბინატი	75.38			
ბათუმის ქიმფარმაცევტული ქარხანა	76.85			
გამომცემლობა"აჭარა"	34.84			
ვაჭრობტრანსი	19.88			
ბათუმის სტამბა №2	13.2			
"მშენებლობა გარანტიით"	97.7			
მშენებელი 98	99			
"აჭარგაზი"	90			
იბერია-შიპინგი	100			
საზღვაო სანაოსნო	100	7.254.600	2.771.400	4.483.200
ბათუმის აეროპორტი	100			

შენიშვნა: ცხრილში მოცემული დავალიანების ცარიელი გრაფა უმრავლეს შემთხვევაში ნიშნავს, რომ საწარმოს დავალიანება 10.000 ლარზე ნაკლებია, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებად არ ითელება და საგადასახადო დეპარტამენტში არ აღირიცხება.

საქართველოში "პოპულარული ბიზნესსტრუქტურები" დაასჯილდოვეს

გუშინ "შერატონ მეტეხი პალასში" 2003 წლის ყველაზე პოპულარული ბიზნესსტრუქტურებისა და საქმიანი ადამიანების დავჯილდოების პირველი ცერემონიალი გაიმართა. ინიციატორი გახლდათ კონსორციუმი "ქართული ბიზნესის ლობი". გამარჯვებულები გამოვლინდნენ ექვს ნომინაციაში - ყველაზე პოპულარული სახალხო პროდუქტი, ყველაზე პოპულარული კვების პროდუქტების მწარმოებელი კომპანია, ყველაზე პოპულარული ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელი კომპანია, ყველაზე პოპულარული ქართული კავშირგაბმულობის კომპანია, ყველაზე პოპულარული ქართული კომპანია, ყველაზე პოპულარული ბიზნესმენი. გამარჯვებულებს დიპლომები და სამახსოვრო სუვენირები გადაეცათ. გამარჯვებულები ორი სახის - სახალხო და ექსპერტული - გამოკითხვის საფუძველზე გამოავლინეს.

სოფიკო ოხანაშვილი

2003 წლის ყველაზე პოპულარულ ბიზნესმენად (როგორც სახალხო, ასევე ექსპერტული ვერსიით) ბადრი პატარკაციშვილი დასახელდა. პოპულარული ბიზნესმენი კი აცხადებს, რომ მისთვის უცნაურია ამ წოდების მიღება, რადგან მას, როგორც ბიზნესმენს, საქართველოში სერიოზული პროექტების განხორციელება ჯერ არ დაუწყია და მისი საქმიანობა, ძირითადად, სოციალურ სფეროს უკავშირდება.

"ყველაზე პოპულარული სახალხო პროდუქტისა" და "ყველაზე პოპულარული კვების პროდუქტების მწარმოებელი კომპანიის" წოდება "ნიკორამ" მოიპოვა.

ყველაზე პოპულარული ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელ კომპანიად "ღვინისა და ალკოჰოლური სასამელების მარმოებელი კომპანია GWS" დასახელდა. "ყველაზე პოპულარული კავშირგაბმულობის კომპანიისა" და "ყველაზე პოპულარული ქართული კომპანიის" ნომინაციების გამარჯვებულები სხვადასხვა კომპანიები გახდნენ: სახალხო ვერსიით, ყველაზე პოპულარული კავშირგაბმულობის კომპანიის წოდება "მაგთი GSM"-მა დაიმსახურა, ექსპერტული ვერსიით კი, "ჯეოსელმა" მოიპოვა. რაც შეეხება "ყველაზე პოპულარული ქართული კომპანიის" ნომინაციაში გამარჯვებულებს, ექსპერტებმა უპირატესობა "მინისა და მინერალური წყლების კომპანიას", ხოლო საზოგადოებამ - "კოკა-კოლა ბოთლერზ ჯორჯიას" მიანიჭა.

პატარკაციშვილს საკუთარი პოპულარობა უკვირს.

გამარჯვებულები მხოლოდ ერთი კრიტერიუმით - პოპულაროზით გამოავლინეს. კონსორციუმის მიერ ჩატარებული გამოკვლევა არ ითვალისწინებდა საუკეთესო კომპანიის, საუკეთესო მომსახურების ან საუკეთესო ხარისხის გამოვლენას. კონსორციუმის წარმომადგენლების განმარტებით, ეს სარეიტინგო ბაზარზე მოქმედი სხვა კომპანიების პრეროგატივაა.

მომავალი წლიდან ეს ცერემონიალი იანვარში გაიმართება. კონსორციუმის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ამ სახის რეიტინგები ხელს შეუწყობს ქართული ბიზნესის პოპულარიზაციას.

ცნობისთვის, კონსორციუმის დამფუძნებლები არიან ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია, სოციალური და მარკეტინგული კვლევების ცენტრი "რეიტინგი-კავკასია", "მცირე და საშუალო ბიზნესის კონფედერაცია" და საკონსულტაციო ჯგუფი "ჯეპრა".

ზურაბ სოსელია: "დავითაშვილის სასამართლოში გამოძახება უბრალო გაუგებრობაა და სხვა არაფერი..."

გუშინ საოლქო სასამართლოში კობა დავითაშვილის გამოძახებასთან დაკავშირებულ გაუგებრობაზე პრესკონფერენცია გამართა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ზურაბ სოსელიამ. სასამართლოში გამოცხადებულმა დავითაშვილმა განაცხადა, რომ ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის გამოტანის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი სასამართლოში არ წარუდგენია და საოლქო სასამართლოშიც უსაფუძვლოდ არ გამოცხადდა.

დიანა ჩაჩუა

საქმე ეხება "ვარდების რევოლუციამდე" ნაციონალური მოძრაობის მიერ ქვეყნის სხვადასხვა რაიონულ სასამართლოში მოგებულ პროცესებს, რომლებიც ფინანსთა სამინისტროს საპენსიო დავალიანებების გადახდას ავალდებულებდა. შემდგომ ფინანსთა სამინისტრომ რაიონული სასამართლოების გადაწყვეტილებები საოლქო სასამართლოებში გაასაჩივრა. მოგვიანებით კი ახალმა ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა, პრეზიდენტის დავალებით, სარჩელებზე უარის თქმის გადაწყვეტილება მიიღო.

სოსელიას განცხადებით, ფინანსთა სამინისტრომ სააპელაციო საჩივრების სასამართლოდან გამოტანის შესახებ წერილები საოლქოს ჯერ კიდევ 23 აპრილს გაუგზავნა; ამიტომ, მინისტრის მოადგილის განცხადებით, მისთვის გაუგებარია დავითაშვილის ბრალდება. სოსელიამ იგი "აბსურდად" მონათლა და ჟურნალისტებს დამამტკიცებელ საბუთად სამინიტროს მხრიდან საოლქოს სახელზე სააპელაციო სარჩელების გამოტანის შესახებ დაწერილი წერილების ასლები წარუდგინა.

როგორც ზურაბ სოსელიამ პრესკონფერენციის მსვლელობისას აღნიშნა, სამინისტროს სასამართლოში გამოცხადების შესახებ არანაირი უწყება არ მიუღია **"და, წესით, ასეც უნდა ყოფილიყო - ჩვენ ხომ სასამართლოდან სააპელაციო საჩივრებზე წერილობითი უარი კარგა ხნის წინ, დაახლოებით 23 აპრილს გავაგზავნეთ. ჩემთვის გაუგებარია, რატომ მიიღო დავითაშვილმა უწყება. ეს, ალბათ, სასამართლოს შეცდომაა, სხვა ვერაფრით ავხსნი ამ ფაქტს,"** - თქვა სოსელიამ.

ცნობისათვის, სწორედ ამ საქმეს შეეწირა ფინანსთა მინისტრის მოადგილის ნოდარ ხადურის თანამდებობა. **"მას სარჩელები სასამართლოდან უფრო ადრე უნდა გამოეთხოვა. სწორედ ეს გახდა მისი გათავისუფლების მთავარი მოტივი,"** - დასძინა სოსელიამ.

სარჩელით გათვალისწინებული 3,5 მილიონი ლარი მოსახლეობას მიმდინარე საპენსიო დახმარებებთან ერთად დაურიგდება. ყოველ შემთხვევაში, **"შევეცდებით, რომ ბიუჯეტის საბოლოოდ მიღების შემდეგ აღნიშნული თანხის გაცემა ერთიანად მოხდეს,"** - იმედოვნებს ზურაბ სოსელია. მისივე თქმით, აღნიშნული თანხების გაცემისას, პირველ რიგში, ის 10 რაიონი დაკმაყოფილდება, რომელმაც სასამართლოში სარჩელი მოიგო.

"ტოიოტას" მოგებამ ტრილიონ იენს გადააჭარბა

თორნიკე შარაშენიძე

"ტოიოტა" პირველ იაპონურ ავტომწარმოებლად იქცა, რომლის წლიურმა მოგებამ ტრილიონ იენს გადააჭარბა. გასულ ფინანსურ წელს (2003 წლის მარტი 2004 წლის მარტი) კომპანიამ 1,16 ტრილიონი იენი (10,2 მილიარდი დოლარი) შეადგინა. გაყიდვები მნიშვნელოვნად გაიზარდა მსოფლიოს ყველა რეგიონში. იაპონურმა გიგანტმა კიდევ უფრო გაიმყარა პოზიციები ბაზარზე და ახლა მტკიცედ უჭირავს მსოფლიოში სიდიდით მეორე ავტომწარმოებლის ადგილი, რომელიც გასულ წელს "ფორდს" ჩამოართვა. ეს ისტორიული გამარჯვება იყო "ტოიოტასათვის" იმის გათვალისწინებით, რომ ავტომანქანების მრეწველობის განვითარებიან 2003 წლამდე მეორე ადგილი ყოველთვის "ფორდს" ეკავა. რაც შეეხება პირველ ადგილს, იგი ტრადიციულად "ჯენერალ მოტორსს" უპყრია.

"ტოიოტა" მიმდინარე ათწლეულში ბაზრის წილის 15 პროცენტამდე გაყიდვას ელის. კომპანიის პროგნოზებით წელს იგი დაახლოებით 7 მილიონ ცალ ავტომანქანას გაყიდის. ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალი იქნება, თუკი შეიცვლება ვითარება სავალუტო ბაზარზე - ბოლო დროს დოლარის დაცემამ სერიოზული დარტყმა მიაყენა იაპონურ ექსპორტს აშშ-ში. გარდა ამისა, შეიმჩნევა ამერიკაში "ტოიოტას" ჰიბრიდულ მოდელზე - "პრიუსზე" მოთხოვნილების დაცემა.

მიუხედავად ამისა, "ტოიოტას" წინსვლა აუცილებლად გაგრძელდება. ჯერჯერობით, იაპონური გიგანტი "ჯენერალ მოტორსს" ვერ გაუტოლდება, მაგრამ მისი მოგებები მნიშვნელოვნად გაიზრდება სხვა კონკურენტების - "ფორდისა" და "დაიმლერ კრაისლერის." ხარჯზე.

ეს უკანასკნელი ბოლო ხანს ერთობ სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. კომპანიის წლიური მოგებები 33 პროცენტით დაეცა. კრახი განიცადა "დაიმლერ კრაისლერის" პოლიტიკამ აზიაში.

"მიცუბიში მოტორსი," რომლის 37 პროცენტსაც გერმანული გიგანტი აკონტროლებს, ღამის გაკოტრების პირასაა მისული და "დაიმლერ კრაისლერი" მის გამოხსნაზე უარს აცხადებს (პირველ რიგში, ალბათ, ფინანსური პრობლემების გამო).

პრობლემები გაჩნდა კორეულ გიგანტთან - "ჰიუნდაი მოტორსთან" ურთიერთობებში, რომლის 10 პროცენტსაც "დაიმლერ კრაისლერი" ფლობს. მკვეთრად დაეცა მოგებები აშშ-ში. აქ "დაიმლერ კრაისლერმა" შარშან ერთობ შეღავათიანი განვადების პირობები შესთავაზა მომხმარებლებს და ახლა დიდძალი ვალები აქვს ამოსაღები.

არაა გამორიცხული, რომ შექმნილ ვითარებაში გერმანული გიგანტის ხელმძღვანელობაში ცვლილებები მოხდეს.

აქვე უნდა გავიხსენოთ ერთი საინტერესო ფაქტიც: ორიოდ წლის წინათ "დაიმლერ კრაისლერი" ერთობ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა "კრაისლერის" შტოს გამო. ეს უკანასკნელი დიდ წაგებას ნახულობდა და საქმე იქამდე მივიდა, რომ სპეციალისტები "დაიმლერ კრაისლერის" გაყიდვაზე ალაპარაკდნენ. შესაძლო მყიდველად კი ტოიოტა" სახელდებოდა.

რაც შეეხება "ტოიოტას" კიდევ ერთ კონკურენტს - "ფორდს," მას დიდი ხანია სერიოზული პრობლემები აქვს - დაწყებული მოდელების მოძველებით და დამთავრებული საბურავების სკანდალით, რომლის გამოც ამერიკულ გიგანტს ასი ათასობით ავტომანქანის უკან გახმობა და გარემონტება მოუხდა.

ტერორისტებმა კიდევ ერთი მძევალი მოკლეს

ერაყში მოქმედმა ისლამისტმა მებრძოლებმა კიდევ ერთი მძევალი სიკვდილით დასაჯეს. გავრცელებულმა ვიდეო-კადრებმა, რომელიც ერთ-ერთი ისლამისტური ორგანიზაციის საიტზე გამოქვეყნდა, შეერთებულ შტატებში და მთელ მსოფლიოში საყოველთაო შოკი გამოიწვია. ამერიკელ მძევალს - ნიკ ბერგს, რომელიც სამოქალაქო პირი იყო, ისლამისტებმა თავი მოაჭრეს. პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ უკვე გაავრცელა განცხადება, სადაც პირობა დადო, რომ ნიკ ბერგის მკვლელებს უმოკლეს დროში მოძებნის და დასჯის. ვიდეოჩანაწერი საკმაოდ უხარისხოა და მასზე მძევლის სახე კარგად არ ჩანს. თუმცა, აღბეჭდილია, თუ როგორ აჭრიან თავს დანით ნიღბიანი ტერორისტები. მანამდე კი ნიკ ბერგი აცხადებს, რომ ის ამერიკელია და ფილადელფიაში ცხოვრობს. ისლამისტური დაჯგუფების წევრები აცხადებენ, რომ ისინი დაკავშირებულნი არიან "ალ-ქაიდასთან." შეერთებული შტატების ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ ამ დაჯგუფებას ბინ-ლადენის თანამებრძოლი და საერთაშორისო ძებნილი აბუ ზარქავი მეთაურობს.

ნიკ ბერგის მკვლელობის ამსახველი უხარისხო კადრი "მუნთად ალ-ანსარის" საიტზეა განთავსებული. კადრზე აღბეჭდილია წითელ კომბინეზონში ჩაცმული ნიკ ბერგი, რომლის უკანაც ხუთი ნიღბიანი ტერორისტი დგას. ვიდეოჩანაწერს კი სათაური აქვს წამძღვარებული: "აბუ მუსაბ ალ-ზარქავი ამერიკელებს ხოცავს." ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ანალიტიკოსები დეტალურად ამოწმებენ ამ ვიდეო-ფაილს და ცდილობენ დაადგინონ, აღბეჭდილია თუ არა მართლაც ამ კადრზე აბუ ზარქავი, რომელსაც ერაყში მომხდარ რამდენიმე ტერაქტზე ეკისრება პასუხისმგებლობა. კომბინეზონში ჩაცმული მძევალი კი ამბობს, რომ მისი სახელია ნიკ ბერგი. ეს არის ამერიკელი კონტრაქტორი, რომლის გვამიც ბაღდადის სიახლოვეს დაგდებული იპოვეს. ვიდეოფირზე ჩანს, თუ როგორ კითხულობს ტექსტს ერთ-ერთი ნიღბიანი, სადაც ამბობს, რომ მათმა დაჯგუფებამ ამერიკელებს "აბუ-ღრაიბის" ციხეში დაპატიმრებულ ერაყელებში ბერგის გაცვლა შესთავაზა, რაზეც კოალიციის სარდლობამ უარი განაცხადა.

"ამერიკელი ჯარისკაცების დედებს და ცოლებს ჩვენ ვეუბნებით, რომ აშშ-ს ადმინისტრაციას ამ მძევლის აბუ-ღრაიბის პატიმრებზე გაცვლა შევთავაზეთ და მათ უარი თქვეს. ასე რომ, ჩვენ გეუბნებით: აბუ-ღრაიბის ციხეში დატყვევებული მუსლიმი კაცების და ქალების შელახულ ღირსებას მხოლოდ თქვენი სულებით და სისხლით გამოისყიდით. თქვენ ჩვენგან ვერაფერს მიიღებთ, კუბოების გარდა," - აცხადებენ ტერორისტები.

ტერორისტები რიტუალური მკვლელობის მერეც აცხადებენ, რომ ამერიკელები ერაყიდან უფრო და უფრო მეტ კუბოს მიიღებენ. ისინი მუქარას უთვლიან ჯორჯ ბუშს, ხოლო პაკისტანის პრეზიდენტს ფერვეზ მუშარაფის "მტრის აგენტს" უწოდებენ. ამის შემდეგ კი მკვლელები ერთხმად ყვირიან "ალაჰ აქბარ" და ვიდეო-კამერის წინ მოჭრილ თავს აჩვენებენ.

თეთრი სახლის პრეს-მდივანმა სკოტ მაკლელანმა ამ ფაქტის კომენტირებისას განაცხადა, რომ ეს ნათლად აჩვენებს თავისუფლების მტრების რეალურ სახეს. **"ისინი არავითარ პატივს არ ცემენ უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლეს. ჩვენ დამნაშავეებს მართლმსაჯულებას გადავცემთ,"** - განაცხადა მან. აშშ-ს ადმინისტრაციამ აბუ ზარქავის შეპყრობის ან ლიკვიდაციისათვის ჯილდოდ ათი მილიონი ამერიკული დოლარი დააწესა.

ტერორისტებმა მუქარა სისრულეში მოიყვანეს.

ნიკ ბერგის მამა და ძმა.

ნიკ ბერგი მხოლოდ 26 წლის იყო. ის საკომუნიკაციო ფირმას ხელმძღვანელობდა და ერაყშიც სწორედ კომუნიკაციების აღდგენის მისიით იყო ჩასული. მამამისის განცხადებით, მისი შვილის მკვლელობაზე ტერორისტებთან ერთად პასუხისმგებლობა კოალიციის სარდლობასაც ეკისრება.

ამასობაში კვლავ უცნობი რჩება ორი დღის წინ გატაცებულ რუს სპეციალისტთა ბედი. რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების ცნობით, ისინი ცოცხლები არიან, თუმცა მათი ადგილსამყოფელი უცნობია. გუშინ რუსეთის სახელმწიფო დუმამ ხმათა უმრავლესობით მიიღო სპეციალური რეზოლუცია ერაყში მყოფი რუსი სპეციალისტების შესახებ. რეზოლუციის თანახმად, არ გამოირიცხება რუსეთის მოქალაქეების ევაკუაცის დაწყება ერაყიდან. სახელმწიფო დუმა მოუწოდებს რუსეთის მთავრობას და კოალიციის სარდლობას, რათა განხორციელდეს ღონისძიებები ერაყში მყოფი მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო დუმა მოითხოვს, დაუყოვნებლივ დაიწყოს რუსი სპეციალისტების ევაკუაცია.

პარალელურად, ბრძოლები მიმდინარეობს ერაყის ქალაქ ქერბელაში, სადაც ამერიკელებმა გუშინ ოცამდე შიიტი ამბოხებული მოკლეს. ქალაქ ნეჯეფში გამაგრებული, ამბოხებულთა ლიდერის მოქთად ალ-სადრის ნდობით აღჭურვილმა პირმა კი განაცხადა, რომ ისინი მზად არიან, დატოვონ ქალაქი იმ შემთხვევაში, თუკი ამერიკელებიც შესაბამისად ალყას მოხსნიან ნეჯეფს და შემოგარენიდან შეიარაღებულ ძალებს გაიყვანენ.

აშშ სირიის წინააღმდეგ სანქციებს ამკაცრებს

სირიის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების გამკაცრების შესახებ ჯერ კიდევ 2003 წლის 11 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილება, მას შემდეგ, რაც მისი რატიფიცირება პრეზიდენტმა ბუშმა მოახდინა, ოფიციალურად შევიდა ძალაში.

თეთრი სახლის ოფიციალური წარმომადგენლის სკოტ მაკლელანის განცხადებით, აღნიშნულ გადაწყვეტილებას დიდი ხანია ელოდნენ და დღეს მისი მიღება მთელი რიგი ფაქტორებით იყო განპირობებული. **"ჩვენ აქამდეც გამოვთქვამდით შეშფოთებას (სირიის მიერ) მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად სამუშაოების გაგრძელების, ტერორიზმის მხარდაჭერისა და ერაყთან საზღვრის გაკონტროლების უუნარობაზე,"** - აღნიშნავს მაკლელანი.

სირია ტერორიზმის სპონსორი სახელმწიფოების სიაში ამგვარი სიის შექმნის დღიდან, 1979 წლიდან ფიგურირებს. ამ დროიდან მოყოლებული, სირიასთან ვაჭრობაზე გარკვეული შეზღუდვები იყო დაწესებული. დამატებითი შეზღუდვები 1986 წელს შემოიღეს, როდესაც ისრაელის თვითმფრინავის ჩამოგდების მცდელობაში სირიის მონაწილეობის უეჭველი მტკიცებულებები გამოჩნდა.

ახალი სანქციები ძალიან მკაცრია და, ერთგვარად, კუბის წინააღმდეგ დაწესებულ ემბარგოსაც ჰგავს. ისინი უფლებას აძლევს აშშ-ს, გაიყინოს სირიელთა ანგარიშები და, სავარაუდოდ, დიდ დარტყმას მიაყენებს დამასკოს საბანკო სისტემას. პრეზიდენტმა ბუშმა, დაასახელა რა სირია, როგორც "უჩვეულო და განსაკუთრებული საფრთხის" წყარო, მის ტერიტორიაზე, საკვებისა და მედიკამენტების გარდა, ყველა სახის პროდუქტის ექსპორტი აკრძალა. ორ ქვეყანას შორის საჰაერო მიმოსვლაც გაუქმდება. ჯერჯერობით უცნობია, შეეხება თუ არა აკრძალვები ამერიკულ ინვესტიციებს არაბულ ქვეყანაში. სირიაში კი ამერიკული ენერგოკომპანიების დიდი ინტერესებია ჩადებული.

ახალი კანონის მიხედვით, აკრძალულია სირიაში მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტი, რომელსაც, ჩვეულებრივ, სამოქალაქო დანიშნულება აქვს, თუმცა სამხედრო მიზნებითაც შეიძლება იქნას გამოყენებული. სამშაბათს სირიულ პრესაში გამოქვეყნებულ, პრემიერ-მინისტრ ნაჯი ოტრის განცხადებაში ნათქვამია, რომ ეს სანქცია ქვეყანას არანაირ ზიანს არ მიაყენებს. მან, აგრეთვე, დასძინა, რომ ისინი უარყოფით შედეგებს მოიტანს მხოლოდ მათთვის, ვინც დააწესა, ანუ, სხვა გარად რომ ვთქვათ, სირიაში მომუშავე ამერიკული კომპანიებისთვის.



სირიის პრეზიდენტი ფარ-ხმალს არ ჰყრის

სირიას სანქციების ამოქმედების შემდეგ კიდევ რჩება შანსი, ევროპასთან ურთიერთობა გააქტიუროს და ამერიკული სანქციების განეიტრალება ამით მოახდინოს. მას ამ სანქციებით, თითქოს, დიდი ეკონომიკური ზიანი არ ემუქრება და ამას ამერიკელებიც აღნიშნავენ - სანქციებს უფრო მეტად სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ქვეყნის ხელისუფლებაში მაინც უნდა ჰქონდეთ შეშფოთების საფუძველი - აშშ-ს ამ ნაბიჯს, ეკონომიკურზე მეტად, პოლიტიკური და მორალური ზემოქმედების ძალა ექნება.

შესაძლოა, აპრილის თვეში დამასკოში განხორციელებული ტერაქტი ამ შიშის გამოვლინება იყო. სირიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ვერსიით, ინციდენტს ორი თავდამსხმელი, პოლიციელი და შემთხვევითი გამვლელი შეეწირა. დასავლეთში ბევრი იზიარებს მოსაზრებას "ტერაქტის" ინსცენირების თაობაზე. ვარაუდობენ, რომ მას უფრო საჩვენებელი ეფექტი ჰქონდა. მთელი მსოფლიოსათვის უნდა ეჩვენებინათ, რომ სირიის ხელისუფლებაც ტერორის სამიზნეშია.

აღსანიშნავია, რომ სირია, მეზობელი საუდის არაბეთისა და იორდანიისაგან განსხვავებით, ტერორისტების დარტყმის ქვეშ არასოდეს აღმოჩენილა. ვაშინგტონი ამ გარემოებას ბაშარ ასადის მხრიდან რადიკალური ისლამისტური დაჯგუფებების მიმართ ლმობიერი დამოკიდებულებით ხსნის. ცნობილია, რომ ახლო აღმოსავლეთის თითქმის ყველა ტერორისტი დროის სხვადასხვა მონაკვეთში უსაფრთხოდ გრძნობდა თავს სირიის ტერიტორიაზე. ასევე არავისთვის არის საიდუმლო, რომ დღემდე ერაყში დივერსიული ჯგუფების შეღწევა სირიის ტერიტორიიდან ხდება. შესაძლოა, თავის ქვეყანაში ტერორისტული ორგანიზაციებისათვის ყოფნის უფლების მიცემით, ბაშარ ასადი ერთგვარ გარანტიას იღებს, რომ თავად სირიის სტაბილურობას ისლამისტთა მხრიდან არაფერი დაემუქრება. უკანასკნელი მოვლენები გვაფიქრებინებს, რომ ბაასისტური რეჟიმის ტოლერანტულობას ამ დაჯგუფებების მიმართ ბოლო მოელება.

არსებობს ვარაუდი, რომ სირიის წინააღმდეგ სანქციების შემოღებით აშშ ცდილობს, საერთაშორისო ყურადღება ერაყიდან დამასკოს მისამართით გადაიტანოს. ვაშინგტონისათვის დღეს ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როცა ერაყში პატიმრების წამებასთან დაკავშირებით საერთაშორისო სკანდალი მძვინვარებს.

კომპენსაცია ესტონეთს

ჰირველი გვერდიდან

"ჩვენ წარმოვადგინეთ ანგარიში იმ ზიანის შესახებ, რომელიც ესტონეთს როგორც საბჭოთა მმართველობის პერიოდში, ასევე გერმანიის მიერ ოკუპაციის დროს მიადგა. მაგრამ, რადგანაც გერმანული ოკუპაციის პერიოდი შედარებით ხანმოკლე იყო, ძირითადი ადგილი საბჭოთა პერიოდს ეთმობა," - ამბობს კომისიის თავმჯდომარე პროფესორი ველო სალო. გამოძიების შედეგებით ირკვევა, რომ საბჭოთა რეჟიმის დროს რეპრესიების შედეგად ესტონეთმა 180 ათასი ადამიანი დაკარგა, ხოლო ქვეყნის ტერიტორიაზე საბჭოთა არმიის ყოფნამ ბუნებას აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა. პროფესორის აზრით, რუსეთს თითოეულ ადამიანზე კომპენსაციის გადახდა უნდა მოეთხოვოს. ამის მაგალითად მას გერმანიის შემთხვევა მოჰყავს, რომელიც ნაცისტური რეჟიმის შედეგად დაზარალებულთათვის თანხებს დღესაც იხდის. პარლამენტის წინაშე წარდგენილი იქნა საბჭოთა პერიოდში გარემოსათვის მიყენებული ზიანის დეტალური ანგარიშიც. ზარალი, რომელიც საბჭოთა ჯარებმა ესტონეთს მიაყენა, 4 მლრდ. დოლარს აღწევს. ესტონელების თქმით, ეს ციფრი შემთხვევითი არ არის და რამდენიმე წლის მანძილზე ჩატარებული კვლევების შედეგად არის მიღებული.

"რუსეთს - საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრეს - დღემდე ჩვენთვის ბოდიშიც არ მოუხდია, - ხაზი გაუსვა ველო სალომ, - ამიტომ ესტონეთი, პირველ რიგში, რუსეთისაგან საბჭოთა კავშირის დანაშაულებრივი ოკუპაციის აღიარებას უნდა ცდილობდეს. უსამართლობის დაფიქსირება ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ესტონეთისათვის, არამედ ევროპისა და მთელი მსოფლიოსთვისაც."

რასაკვირველია, თავად მოხსენების ავტორს რუსეთისაგან რაიმე თანხის მიღება ძალიან რთულ საქმედ მიაჩნია, ამიტომ ის, ერთგვარი ხუმრობით, ესტონეთისათვის ნოვოსიბირსკის ოლქის სარგებლობაში გადაცემის იდეას აყენებს.

სწორედ ბოლო გამონათქვამმა აღაშფოთა რუსული ისტებლიშმენტი და ესტონელებს ანტირუსული კამპანიის გაღვივებაში დასდო ბრალი. ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მიხაილ მარგელოვი ესტონეთის მოთხოვნას სკეპტიკურად აღიქვამს და ცუდად დაფარული მუქარით აცხადებს: "ხვალ მე შევხვდები მარკო მიხელსონს, ესტონეთის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს და გავარკვევ, თუ რას ნიშნავს ეს ყველაფერი." იგი რაიმე საერთოს რუსეთის ფედერაციასა და ყოფილ საბჭოთა კავშირს შორის უარყოფს. მარგელოვი ამტკიცებს, რომ დღეს რუსეთი სრულიად სხვა ქვეყანაა და მისგან საბჭოთა კავშირის დანაშაულებზე პასუხის მოთხოვნა აბსურდულია. რუსი პოლიტიკოსი ესტონელებს წარსული ცოდვების გახსენებისათვის საყვედურობს და მომავლის იმედით ცხოვრებას ურჩევს. "ბალტიისპირეთის ქვეყნების ევროკავშირში შესვლასთან ერთად, დროა ბალტიისპირელმა პოლიტიკოსებმაც თქვან უარი რაღაც ფანტომური ტკივილის კომპენსირების მცდელობაზე. რა საჭიროა ძველი იარების გახსენება? მომავლისკენ უნდა იყურო და არა წარსულისკენ. ესტონეთის განზრახვას კი სწორედ წარსულისკენ მზერად ვაფასებ," - აცხადებს მარგელოვი.

ირანი ისრაელს შურისძიებით დაემუქრა

საერთაშორისო ასპარეზზე ირანის წარმომადგენელმა ბირთვულ საკითხებში ჰასან როვჰანიმ ისრაელი გააფრთხილა, რომ თეირანი შურს იძიებს, თუ ისრაელი ირანის ბირთვულ საწარმოებს დაბომბავს.

ისრაელისა და შეერთებული შტატების მთავრობები ეჭვობენ, რომ ირანი, საერთაშორისო საზოგადოებისაგან მალულად, ბირთვულ იარაღს ამზადებს და ამას ბირთვული ენერგიის პროგრამებით ნიღბავს.

ისრაელს მსგავსი აქციების განხორციელების გამოცდილება აქვს: 1981 წელს, ისრაელის ბომბდამშენებმა ბაღდადის მახლობლად მშენებარე ბირთვული რეაქტორები გაანადგურეს. ისრაელს ეშინოდა, რომ სადამ ჰუსეინი ბირთვულ იარაღს დაამზადებდა და ებრაელების წინააღმდეგ გამოიყენებდა.

გასულ თვეს ისრაელის პრემიერ-მინისტრმა უკვე განაცხადა, რომ ირანი ისრაელისათვის საფრთხეს წარმოადგენს, "შესაძლოა, ერთადერთ საფრთხეს, რომელიც ჩვენს არსებობას ემუქრება".

როვჰანი ისრაელში შექმნილ ამგვარ განწყობას გამოეხმაურა, როდესაც განაცხადა, რომ დაბომბვას ისრაელისათვის მძიმე შედეგები მოჰყვება.

"ისრაელმა კარგად უწყის, რომ ჩვენ კარგად აღჭურვილები ვართ, - აღნიშნა როვჰანიმ, - თუ ამგვარი რამ მოხდება, ჩვენი მხრიდან ამას გადამწყვეტი ნაბიჯები მოჰყვება."

"ირანის კარგად აღჭურვაში" რას გულისხმობდა, როვჰანის არ დაუკონკრეტებია. თუმცა, დეკემბერში ირანის თავდაცვის მინისტრმა ალი შამხანიმ უკვე განაცხადა, რომ ირანი შორ მანძილზე მოქმედ რაკეტებს გამოიყენებს, თუ ისრაელი მის ბირთვულ საწარმოებს დაბომბავს.

შამხანის თქმით, ირანის "შაჰიბ-3" ტიპის რაკეტები, რომლებიც 810 მილის რადიუსში ანადგურებს სამიზნეს, აუცილებლად იქნება გამოყენებული.

ირანში ისრაელის მიმართ უნდობლობა სუფევს. შაბათს ირანის შეიარაღებულმა ძალებმა იმამ ხომეინის სახელობის ახლადაშენებულ აეროპორტს მუშაობის დაწყების საშუალება არ მისცეს, რადგან, მათი თქმით, თურქულ ფირმას, რომელიც აეროპორტის მენეჯმენტს განაგებს, სავარაუდოდ, ისრაელის ფირმებთან აქვს კავშირი. თურქულმა ფირმამ ეს "ბრალდებები" უარყო.

ირანის პირველი ბირთვული რეაქტორი მომავალ წელს დაიწყებს მუშაობას. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო ცდილობს, რომ ბუშერში მშენებარე ამ რეაქტორს დეტალური ინსპექტირება ჩაუტაროს. ცოტა ხნის წინ, ირანი სააგენტოსთან სრულმასშტაბიან თანამშრომლობაზე დათანხმდა. თეირანი დაჟინებით ამტკიცებს, რომ მის ბირთვულ პროგრამას მხოლოდ სამოქალაქო დანიშნულება აქვს.

მოკლედ

მეორე სამრეწველო რევოლუცია

მსოფლიო ისტორიაში ყველაზე დიდი მიგრაცია ჩინეთში მიმდინარეობს და, ზოგიერთების აზრით, მეორე სამრეწველო რევოლუციის შედეგია. ჩინეთში სამშენებლო ბუმია. შარშან მსოფლიოში ათვისებული სამშენებლო მასალის ნახევარი მხოლოდ ჩინეთის ქალაქებში იქნა გამოყენებული. მოთხოვნა უზარმაზარ ცათამბჯენებზე, საოფისე ფართსა და ბინებზე ქვეყნის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქებში სოფლებიდან ხალხის მასობრივი მიგრაციით არის განპირობებული. "მომავალი 25 წლის მანძილზე სოფლიდან ქალაქებში, დაახლოებით, 345 მილიონი ადამიანი გადასახლდება, რაც მსოფლიოს ისტორიაში მასობრივი მიგრაციის ყველაზე მასშტაბური შემთხვევაა, - აღნიშნა უძრავი ქონების აგენტმა გაი ჰოლისმა "ბიბისისთან" ინტერვიუში, - სწორედ ეს განაპირობებს მასობრივ მშენებლობებს." "სამრეწველო რევოლუციის დროს ევროპაშიც იგივე ხდებოდა, მაგრამ ამ პროცესს 150 წელი დასჭირდა. ჩვენ კი აქ ამის გაკეთებას 15-20 წელიწადში ვცდილობთ." ჩინეთში 22 ქალაქია, რომლის მოსახლეობაც 2 მილიონს აღემატება. მათი უმეტესობა აღმოსავლეთ სანაპიროზეა განლაგებული. სწორედ ამ ქალაქებში მიმდინარეობს გამალებული მშენებლობა, რასაც მთავრობა და უცხოელი ბიზნესმენები აფინანსებენ. ქვეყნის დედაქალაქში, პეკინში მშენებლობებისა და გარდაქმნის მთავარი მამოძრავებელი ძალა ოლიმპიური თამაშები გახდა, რომელიც 2008 წელს ჩატარდება. ჰოლისის თქმით, პეკინში მასობრივი მშენებლობები მხოლოდ ოლიმპიური თამაშების გამო არ მიმდინარეობს. "მიზანს ნორმალური დედაქალაქის შექმნა წარმოადგენს," - თქვა მან. მშენებლობის ბუმმა ქვეყნის ეკონომიკას ახალი სტიმული შემატა. მართალია, ჩინეთი ოფიციალურად კომუნისტური ქვეყანაა, მაგრამ რეალურად იქ კაპიტალისტური სისტემა მოქმედებს. ცოტა ხნის წინ, ჩინეთის ახალი მმართველების ინიციატივით, ხალხს უძრავი ქონების 70 წლით დაკანონების უფლება მიეცა.

ნატო ტერორიზმის წინააღმდეგ

დასავლური სახელმწიფოების სამხედრო ხელმძღვანელები და აფრიკული სახელმწიფოების მაღალი თანამდებობის პირები გზების გამონახვას ცდილობენ, რათა ალ-ქაიდასა და მისი მსგავსი ჯგუფების ჩრდილოეთ აფრიკაში დაფუძნება არ დაუშვან. შეერთებული შტატების სპეცდანიშნულების ძალები რამდენიმე ქვეყნის სამხედროებს, მათ შორის - საქართველოსას, ტერორისტების წინააღმდეგ საბრძოლველად სპეციალურად წვრთნიან. ამჟამად, ნატო-ელი მაღალჩინოსნები მოლაპარაკებების საწარმოებლად მავრიტანიაში იმყოფებიან. ნატო-ს მთავარ მიზანს ამ სახელმწიფოს საზღვრების გამაგრება წარმოადგენს, რათა ტერორისტებმა იქ შეღწევა ვერ შეძლონ.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ალ-ქაიდას ქსელი ჩრდილოეთ აფრიკაში უკვე მოქმედებს. წელს შეერთებულმა შტატებმა მავრიტანიის შეიარაღებული ძალების გაწვრთნა უკვე დაიწყეს. ნატო-ელების მიზანს მხოლოდ საზღვრის დაცვა წარმოადგენს. მართალია, მავრიტანიის მთავრობა პროდასავლურია, მაგრამ ქვეყანაში გარკვეული რაოდენობის ხალხი არსებობს, რომელიც ექსტრემისტ ისლამისტებს უჭერს მხარს.

აშშ-ს სტრატეგია

ამერიკელმა სამხედროებმა "ნიუ-იორკ ტაიმსს" განუცხადეს, რომ ჩრდილოეთ და დასავლეთ აფრიკის ზოგიერთი ნაწილი, სავარაუდოდ, ალ-ქაიდას ახალი ბაზა გახდება. გაზეთის ცნობით, სპეცდანიშნულების რაზმები ცდილობენ, რომ ავღანეთიდან გამოდევნილი ტერორისტები მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში აიყვანონ. "ჩვენ გვინდა, რომ პრევენციული ნაბიჯები გადავდგათ და ფართომასშტაბანი ბრძოლების წარმოება, ავღანეთის მსგავსად, ჩრდილოეთ აფრიკაშიც არ მოგვიხდეს", - განაცხადა აშშ-ს ევროპული სარდლობის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ხელმძღვანელმა პაულ სმიტმა. მისი თქმით, ადგილობრივი მთავრობების დახმარების გამო, ამერიკელები ადგილობრივი მოსახლეობის ზოგიერთ სეგმენტში აგრესიას აღარ გამოიწვევენ. ესპანეთის პოლიციამ, რომელიც 11 მარტის მადრიდის ტერაქტის გამოძიებას აწარმოებს, განაცხადა, რომ კვალი ჩრდილოეთ აფრიკაში მიდის. ევროპელები შიშობენ, რომ ახალი თავდასხმები გამორიცხული არ არის. 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, ამერიკა სამხედრო დახმარებას უწევს მავრიტანიას და მის მეზობელ სახელმწიფოებს - ჩადს, მალის და ნიგერს. ვაშინგტონი განსაკუთრებით შეშფოთებულია შეიარაღებული ჯგუფებით, რომლებიც ამ ოთხი სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფ საჰარას უდაბნოში მოძრაობენ. ამერიკული პროგრამა აღნიშნული ქვეყნების არმიებს სპეციალური აღჭურვილობითაც ამარაგებს.

არცა ამბორს-გიყო, ვითარცა იუდა

პასუხი სემინარისტებს

ა.წ. 30 აპრილის გაზეთ "24 საათში" №101 სემინარია-აკადემიის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა (შემდგომში - სემინარისტები) გამოაქვეყნეს წერილი "მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავრების შეურაცხყოფის გამო", რომელშიც მოგვევლინენ მეუფეების - აბრაამის (გარმელია) და ზენონის (იარაჯულის) დამცველებად. იმავე წერილში ისინი იცავენ დასახელებული მღვდელმთავრების მიერ პირდაპირ თუ შეფარულად ქადაგებულ ეკუმენიზმს და ამართლებენ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში (შემდგომში - ემს) მართლმადიდებელი ეკლესიების მონაწილეობას. წერილში უგულებელყოფილია ეკლესიის სწავლება, სახარებისეული სულიერება და წმ. მამათა სულისკვეთება. მადლობა ღმერთს, რომ მრავალთაგან მხოლოდ თექვსმეტი აღმოჩნდა წერილზე ხელისმომწერი. ჩვენთვის ასევე ცნობილი გახდა, რომ ამ საქციელის გამო მათ მოეთხოვათ პასუხი სასულიერო აკადემიის ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა მიერ - ახალგაზრდებმა აღიარეს ცდომილება და ითხოვეს შენდობა. ამისთვისაც მადლობა ღმერთს.

დარწმუნებულები რომ ვიყოთ იმაში, რომ ხსენებული წერილი მათი შეთხზულია, მაშინ მის შინაარსს საყმაწვილო სენის გამოვლინებად ჩავთვლიდით და პასუხის გაცემისაგან თავს შევიკავებდით. მაგრამ წერილი სავსეა ცილისწამებით, სიყალბით, ღვარძლით, ირონიითა და ცინიზმით, ეკლესიისა და წმიდა მამათა სწავლების დამახინჯებით, მასში გამოსჭვივის ეკლესიისა და მართლმადიდებლობის მოძულეთა მიზანმიმართულობა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ახალგაზრდათა ზურგს უკან შეფარულან ჩვენი ეკლესიის მტრები და აცდუნებენ მათ.

ამასვე გვაფიქრებინებს პროეკუმენისტური, ანტიმართლმადიდებლური და ანტიეკლესიური გამოცემა, ჟურნალი "ზღვარი", რომლის მთავარი რედაქტორიც დასახელებულ წერილზე ერთერთი ხელმომწერთაგანია. ჟურნალი თავისი შინაარსით მართლაც მართლმადიდებლობის ზღვარს მიღმა მდგომი გამოცემაა და მიზნად ისახავს ეკლესიის საწინააღმდეგო სწავლების გავრცელებას, ეკუმენისტური აზროვნებისა და ცნობიერების ფორმირებას. მისი გამომცემლობა და პოლიგრაფიის ხარისხი გვაფიქრებინებს, რომ ეკუმენიზმის პროპაგანდითა და ემს-ში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაბრუნებით სერიოზული ძალებია დაინტერესებული. ისინი ხომ არ ფუთფუთებენ ახალგაზრდების ზურგს უკან? სწორედ მათ და მათ მიერ ცდუნებულ ახალგაზრდებს უნდა გაეცეს პასუხი მართლმადიდებლური გადმოცემის შეურაცხყოფის გამო.

დავუბრუნდეთ სემინარისტთა წერილში ჩვენი მისამართით გაკეთებულ ბრალდებებს. ისმის კითხვა: მართლაც არიან თუ არა შეურაცხყოფილნი მღვდელმთავრები აბრაამი და ზენონი? დიახ, არიან. მათ თავადვე მიაყენეს საკუთარ თავს განუზომელი შეურაცხყოფა ანტიეკლესიური და ეკუმენისტური გამონათქვამებისა და მოწოდებების გამო. როდესაც ეკლესიას უმაღლეს სამღვდელო ხარისხში აჰყავს თავისი რომელიმე რჩეული შვილი, მას ავალებს საეკლესიო სწავლების, წმ. გადმოცემის - დოგმატებისა და კანონების - შეურყვნელად დაცვასა და შემდეგი თაობისათვის უცვალებლად გადაცემას. თუ ის ამ გზას გადაუხვევს და მსოფლიო კრებათა მიერ აღსარებულ სწავლებას არასწორ მოსაზრებებს შეურევს, ამით ღალატობს თავის უმაღლეს მოწოდებას, ღალატობს ქრისტეს და ჩრდილს აყენებს თავსაც და ეკლესიასაც, ჩრდილს, რომელშიც ილანდება იუდას აჩრდილი.

თავის წერილში სემინარისტები, ფაქტობრივად, იცავენ ეკუმენისტურ ე.წ. განშტოებათა თეორიას. ამიტომ, კიდევ ერთხელ განვმარტოთ, თუ რა არის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მიუღებელი ეკუმენიზმსა და ემს-ში. ემს-ს კონსტიტუციასა და ემს-ს სპეციალური კომისიის დასკვნით ანგარიშში, რომლებშიც გადმოცემულია ეკუმენიზმისა და ემს-ს იდეოლოგია, მიზნები და ამოცანები, აღიარებულია ეკლესიათა სიმრავლე, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი შესაძლებლობები და უფლებები, აღიარებულია ჭეშმარიტების პლურალიზმი და ქრისტეს სხეულის მრავლობითობა, ანუ ერთიანი სხეულის ნაწილებად დანაწევრება, რაც წარმოადგენს მართლმადიდებლური ეკლესიოლოგიის უარყოფას. ემს-ის იდეოლოგიის თანახმად, ეკლესიათა ერთობა მიიღწევა ურთიერთშემხვედრი მოძრაობის, მართლმადიდებლური ცნობიერების ლიბერალიზაციის გზით, ანუ მართლმადიდებლური სწავლების უცვლელობა უნდა დაირღვეს და შევიდეს მასში კომპრომისული ხასიათის ცვლილებები.

ემს-ს ხსენებული კომისია შეეცადა, გამოსავალი ეპოვა იმ დაუძლეველი პრობლემიდან, რასაც ეწოდება ეკუმენისტური ღვთისმეტყველება, ანუ საღვთისმეტყველო ცნებების ინტერპრეტაციათა მრავალსახეობა და შეუსაბამობა, რაც, ეკუმენიზმის მამათა სრულიად მართებული აღიარებით, შეუძლებელს ხდის დიალოგის გაგრძელებას მართლმადიდებლებსა და არამართლმადიდებლებს შორის. კომისიის მიერ მოძებნილი "გამოსავალი" გულისხმობს, არც მეტი, არც ნაკლები, ეკუმენისტური ღვთისმეტყველებისათვის დოგმატური საფუძვლის გამოცვლას, ანუ ადოგმატური "ღვთისმეტყველების" შექმნას. მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებით კი ეკლესია, მისი ღვთისმეტყველება, დოგმატიკა და კანონიკა ეფუძნება ღვთის გამოცხადებას, ანუ ღვთიური წარმომავლობისანი არიან და მათი შეცვლა დაუშვებელია.

ეკუმენისტები თვლიან, რომ ემს-ის ფარგლებში შესაძლებელია ეკლესიათა გაერთიანება, რომელთაც ექნებათ ერთი სარწმუნოება, ერთი ნათლობა და ერთი ევქარისტია (სპეციალური კომისიის დასკვნითი ანგარიში, განყოფილებები A და B). მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლების დაცვა და იმავდროულად "ერთიანი ქრისტიანული სარწმუნოების" დადასტურება შეუთავსებელია ერთმანეთთან. ამის მიღწევა წარმოადგენს ეკუმენიზმის მწვალებლურ მიზანს, რისკენაც მიისწრაფის ემს.

ჩვენ ბრალს ვდებთ ემს-ს იმაში, რომ იგი ამახინჯებს დოგმატს ეკლესიის შესახებ. ქრისტეს ეკლესია უკვე არსებობს - ეს არის ერთი, წმიდა, კათოლიკე (ე.ი. საყოველთაო და არა "კათოლიკური") და სამოციქულო ღმრთის მართლად მადიდებელი - წმ., მოციქულთა, მამათა, მოწამეთა და ახალმოწამეთა ეკლესია. ღვთითაღთქმული ქრისტიანული ერთობა უკვე 20 საუკუნეა არსებობს ეკლესიაში! რომელი დებულებით აღიარებს ამ ჭეშმარიტებას ემს? არც ერთით! იქნებ ამ ჭეშმარიტებაში შეაქვს ეჭვი ჩვენს სემინარისტებს! ნუ იყოფინ! მაშ რატომ სახელდებენ ისინი ყოველგვარი განმარტების გარეშე მწვალებლურ ორგანიზაციებს ეკლესიებად? მიუღებელია საერთაშორისო სამართლის ტერმინოლოგიის აღრევა საღვთისმეტყველო ცნებებსა და ტერმინოლოგიაში. პაპიზმს, პროტესტანტიზმს და ათასი ჯურის მწვალებლურ კონფესიებს (340-ზე მეტს) მხოლოდ შინაარსისაგან დაცლილი ტერმინოლოგიაღა შემორჩა ქრისტიანული.

სემინარისტებს არ მოსწონთ გამონათქვამი, რომ ეკუმენიზმი ერესთა ერესია. XX საუკუნის უდიდესი მართლმადიდებელი ღვთისმეტყველი, ღირსი იუსტინე (პოპოვიჩი) განმარტავს, რომ ემს "263 (დღეს მეტია - მთ.შენ.) ერესისაგან შედგება, რომელთაგან თითოეული სულიერი სიკვდილია (წერილი სერბეთის წმ. სინოდის მიმართ, გაზეთი "ორთოდოქსოს ტიპისი", 1975 წ. 1 ივნისი). რომელი მათგანი აღიარებს მართლმადიდებლობას ერთადერთ ჭეშმარიტ ეკლესიად და თავის თავს - მისგან გარეთ მდგომად? არც ერთი! ეკუმენიზმი, ემს და მისი აპოლოგეტები არ აღიარებენ მართლმადიდებლობას ერთადერთ ჭეშმარიტ ეკლესიად. სამწუხაროდ, სემინარისტთა წერილშიც შეინიშნება ამგვარი აზროვნების კვალი. ეს არის საღმრთო ჭეშმარიტების შერყვნა, ანუ სემინარისტებისათვის არასასურველი ტერმინი - ერესი.

ემს-ში შესვლის ძირითად არგუმენტად ხსენებულ მეუფეებსა და ყველა პროეკუმენისტს მოყავს ემს-ს ტრიბუნიდან ქადაგების შესაძლებლობის გამოყენების აუცილებლობა. ეს შეგნებული თუ შეუგნებელი ტყუილია. არავითარი ქადაგება ემს-ში არ ხდება. მეტიც, პროზელიტიზმი (ქადაგება და ჭეშმარიტებაზე მოქცევა) ემს-ში აკრძალულია. იქ რომელი იერარქი გაბედავს (ან გაუბედია) და იტყვის, რომ პაპისტები და იქ მონაწილე სხვა ერეტიკოსები დიდი ხანია ანათემას არიან გადაცემულნი წმ. მამების მიერ? პირიქით, ემს-ში მკვიდრდება ერთობლივი ლოცვებისა და ზიარების პრაქტიკა. მწვალებლებთან ერთობლივი ზიარება მათთან მწვალებლობაში თანაზიარობაა და დაუშვებელია ეკლესიის ნებისმიერი წევრისათვის. ასევე აკრძალულია ერთობლივი ლოცვები, რომლის შემთხვევები უკვე ჩვენს დედაქალაქშიც გვხვდება და რაზეც ჩვენი სემინარისტები კრინტსაც არ ძრავენ. ნუთუ იზიარებენ ასეთ პრაქტიკას? ნუთუ მათ არ იციან მოციქულთა მე-10, მე-11, 45-ე და 65-ე, ასევე ლაოდიკიის 32-ე, 33-ე, 37-ე და სხვა კანონები, რომლებიც კატეგორიულად კრძალავენ ნებისმიერ ლოცვით-რიტუალურ ერთობას ერეტიკოსებთან?

სემინარისტები და პროეკუმენისტები ჩვენ ხშირად ბრალს გვდებენ რადიკალიზმში და გვიწოდებენ ფანატიკოსებს, ბნელებს და გაუნათლებლებს. მაგრამ ჩვენი "ფანატიზმი" ხომ არ სცილდება საეკლესიო სწავლების დაცვის ფარგლებს? ნუთუ მოციქულებიც და წმიდა მამებიც ფანატიკოსები იყვნენ? ნუთუ ფანატიზმსა და უსიყვარულობაში უნდა დავადანაშაულოთ სიყვარულის მოციქული იოანე ღვთისმეტყველი, რომელიც სხვა სარწმუნოების მიმდევრებისთვის სალმის მიცემასაც გვიკრძალავს, ვინაიდან ამბობს: "რომელი მოვიდეს თქუენდა და ესე მოძღვრებაი არა მოაქუნდეს, ნუ შეიწყნარებთ მას სახლთა თქუენთა და "გიხაროდენ" ნუ ეტყვით მას. რამეთუ რომელმან ჰრქუას მას "გიხაროდენ" ეზიარების საქმეთა მისთა ბოროტთა" (2 ინ. 1, 10-11). ხოლო პავლე მოციქული უმკაცრესად განსაზღვრავს "დაღათუ ჩვენ, გინათუ ანგელოზი ზეცით გახარებდეს თქუენ გარეშე მისსა, რომელი იგი გახარეთ თქვენ, შეჩვენებულ იყავნ!" (გალ. 1,18). ჩვენ ხომ არც ერთი ეკუმენიზმის მქადაგებელთათვის არ გვითქვამს "შეჩვენებულ იყავ", არამედ ქრისტესმიერი სიყვარულით, თუმცა კი პირდაპირობითა და პირუთვნელობით, ვამხელთ მათ ცდომილებას და ყოველი პირადი შეხვედრის დროს ვემუდარებით და ვთხოვთ, რათა დაუბრუნდნენ ეკლესიის სწავლებას. განა ცოდვაში მყოფისათვის დაყვავებაა სიყვარულის გამოვლინება, ხოლო მხილება - ფანატიზმი და სიძულვილი?

პროეკუმენისტები ავითარებენ მოსაზრებას, რომ თუ ეკუმენიზმს მივიჩნევთ მწვალებლობად, მაშინ მართლმადიდებელ ეკლესიათა უმრავლესობა მწვალებლური ყოფილა. ეს მცდარი ლოგიკაა. გამონათქვამი ამ თუ იმ მართლმადიდებელი ეკლესიის ემს-ს წევრობის შესახებ შეეხება და ასახავს მხოლოდ იურიდიულ მხარეს და არა ეკლესიოლოგიურს. მათ შევახსენებთ, რომ თვით ეკლესიის ისტორიაში იყო შემთხვევები, როდესაც მწვალებლობის შემწყნარებელი უმრავლესობის გვერდით იყვნენ მისი მოწინააღმდეგენიც და ამიტომ ეკლესია რჩებოდა მადლმოსილად და არ იწოდებოდა მწვალებლურად. მეორე მხრივ, ემს-ში მონაწილე მართლმადიდებელ იერარქთა ეკუმენისტური მსოფლმხედველობა და მოსაზრებები მათი პირადი ცოდვაა და არა მათი ეკლესიებისა, რომელთაგან ყოველში არსებობენ ეკუმენიზმის მოწინააღმდეგენი, მართლმადიდებლობისა და ეკლესიის სწავლების დამცველნი. ამიტომ არ არის მართებული გავწყვიტოთ კავშირი იმ ადგილობრივ ეკლესიებთან, რომელთა ზოგიერთი (თუნდაც უმრავლესი) წარმომადგენელი მონაწილეობს ეკუმენისტურ მოძრაობაში.

მაგრამ ემს-სა და ეკუმენისტთა სიცრუე აქ არ მთავრდება. დღევანდელი ეკუმენიზმი დიდი ხანია, გაცდა "ქრისტიანთა ერთობის" იდეას და იქცა პანეკუმენისტურ მოძრაობად, რომელშიც მართლმადიდებლებთან და ქრისტიანულად წოდებულ კონფესიებთან ერთად რელიგიურ ვაკხანალიასა და ორგიებში მონაწილეობენ წარმართნი, ბუდისტები და მუსულმანები, იუდეველები და სატანისტები, ჰომოსექსუალთა ორგანიზაციები და შამან-ჯადოქრები. აქ ერთობლივ "ქრისტიანულ" ლოცვებს მოსდევს "განმწმენდელი ბოლით" დაბოლილ-დაბანგული აბორიგენების რიტუალური როკვა, ჯადოქართა სულის გამოძახების სეანსები, ჰომოსექსუალთა მსვლელობები და გალობად წოდებული ჯაზ-როკ მუსიკის ერთობლივი შესრულებები. აქ არის არა დიალოგი და მართლმადიდებელთა ჭეშმარიტებაზე მომაქცეველი ქადაგებები, არამედ საერთო მსახურება სატანისადმი. თავისი არსით ემს ანტიქრისტეს ეკლესიის შექმნისათვის გენერალურ რეპეტიციას წარმოადგენს და მასში საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მონაწილეობა ქრისტეს ეკლესიისა და საქართველოს ეკლესიის მოწამებრივი ისტორიის შეურაცხყოფაა.

წერილში სემინარისტები გვევლინებიან მღვდელმთავართა დამცველებად, მაგრამ თვითვე შეურაცხყოფენ ხელაღებით ყველა მღვდელმთავარს, წმინდა სინოდს, როდესაც იზიარებენ აზრს, რომ თურმე საქართველოს ეკლესიის ემს-დან გამოსვლის გადაწყვეტილება წმინდა სინოდმა მიიღო არა საეკლესიო სწავლების შესაბამისად, არამედ ზეწოლითა და შიშით. გამოდის, რომ ჩვენი მღვდელმთავრები უპრინციპონი, სუსტნი და მშიშარანი არიან. საბედნიეროდ ეს ასე არ არის. წმინდა სინოდის 8.X.1998 წლის სხდომაზე მიღებული განჩინება წარმოადგენს ეკლესიის სწავლებისადმი ერთგულების გამოვლინებას და სიმამაცეს, რაც შემდგომ პერიოდში არაერთხელ დაამტკიცა ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობელმა, რომელზეც მსოფლიო ანტიქრისტიანული ძალების მხრიდან ხორციელდება ზეწოლა და მუქარა, მოწოდება, რათა საქართველოს ეკლესია დაუბრუნდეს ემს-ს.

ერთ-ერთ ეკუმენისტურ შეხვედრაზე ეკუმენისტი ბასილ კობახიძე, რომელიც, სავარაუდოდ, ხელმომწერ სემინარისტების თანამებრძოლი თუ არა, რიგ საკითხებში თანამოაზრე მაინც არის, ხელაღებით ყველა მღვდელმთავარს ადანაშაულებდა ვერცხლისმოყვარეობაში. ჩვენ ადგილზევე, დამსწრე საზოგადოების წინაშე ვამხილეთ იგი ცილისწამებასა და ეკლესიის მტრობაში. სემინარისტები კი დუმდნენ და დუმან ამაზე. ასეთ შემთხვევაში დუმილი ხომ თანხმობის ნიშანია? მაშ ვინ შეურაცხყოფს მღვდელმთავრებს, ჩვენ თუ ისინი?

ნიშანდობლივია, რომ მეუფეების მისამართით გამოთქმული ჩვენი მამხილებელი არგუმენტები ხელაღებით არავის უარუყვია. პრეტენზიები ძირითადად იმას შეეხება, რომ ჩვენ, მრევლის წარმომადგენლებს, არა გვაქვს უფლება მივმართოთ იერარქს და მოვთხოვოთ პასუხი ანტიეკლესიური გამონათქვამებისა და ქმედებების გამო. ასეთი მიდგომა უცხოა მართლმადიდებლობისათვის და დამახასიათებელია პაპიზმისათვის. ეკლესიის ისტორია და წმიდა მამების სწავლება საპირისპიროზე მიგვითითებს. მრევლი, სხეული ეკლესიისა და მისი სისავსის განუყოფელი ნაწილი, არამცთუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა ამხილოს ნებისმიერი წევრი ეკლესიისა არაეკლესიურ ქმედებაში. მრევლს ყოველთვის ჰქონდა და ჩვენც ვიტყვებთ უფლებას, უკიდურეს შემთხვევაში გამოვიყენოთ შეძახილი "ანაქსიოს!", ვინაიდან ჩვენთვის ნებისმიერ პიროვნებაზე ძვირფასი თავად ეკლესია და მისი სწავლებაა, ვინაიდან გვმართებს მონება ღმრთისა და არა კაცთა.

როგორც ხედავთ, პროეკუმენისტთა და ემს-ს აპოლოგეტთა იდეოლოგია ეწინააღმდეგება ეკლესიის სწავლებას და არ გააჩნია ჭეშმარიტი საფუძველი. მაგრამ ამ უსაფუძვლო იდეოლოგიის დამცველი სემინარისტები სხვაშიც სცოდავენ - მათი პუბლიკაცია სავსეა ცილისწამებითა და შეურაცხყოფით. ისინი ჩვენ გვიწოდებენ რუსოფილებს და დასავლეთოფობებს. მოიყვანონ თუნდაც ერთი ერთი ჩვენი გამონათქვამი, რომელიც ამას ადასტურებს. ეკლესიის შიგნით ჩვენ მიუღებლად მიგვაჩნია ეროვნებებად დაყოფა და "ფილია-ფობიზმები". ჩვენთვის არსებობს მართლმადიდებელი ერი და ნებისმიერი ეროვნების წარმომადგენელი, რომელიც იცავს საეკლესიო სწავლებასა და მართლმადიდებლობას, ძვირფასია ჩვენთვის, ისევე, როგორც მიუღებელია ნებისმიერი, თუნდაც თანამემამულე, რომელიც უარყოფს ეკლესიის სწავლებას. ჩვენ არა ვართ მოწინააღმდეგენი დასავლეთთან ურთიერთობისა ეკონომიკის და ნებისმიერ სხვა სფეროში, რომელიც არ შერყვნის ჩვენს მართლმადიდებლურ ცნობიერებასა და სულიერებას. მაგრამ თუ დასავლეთი ეკონომიკური და მატერიალური დახმარების სანაცვლოდ ჩვენი და ჩვენი შვილების სულებს მოითხოვს და ჩვენს კანონზომიერ მართლმადიდებლურ უფლებებს შეზღუდავს, ანუ მოითხოვს: მწვალებლური კონფესიების გავრცელების ხელშეწყობას საქართველოში, რელიგიურ და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის საბაბით უმრავლესობის უფლებების უგულებელყოფას, მოზარდი თაობის და ახალგაზრდობის ზნეობრივ გახრწნას, სასკოლო სწავლებიდან საქართველოს ისტორიის საკითხებისა და ჰაგიოგრაფიული ტექსტების ამოღებასა თუ შემცირებას, მათ სანაცვლოდ კი სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სექსუალური განათლებისა და უსაფრთხო სექსის ელემენტების სწავლების შეტანას, ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას, პროსტიტუციის ლეგალიზაციას, ქრისტიანობისთვის და ქართული ტრადიციებისთვის მიუღებელი ქორწინებების პროპაგანდას და ა.შ., მაშინ ასეთი ინტეგრაციის მოწინააღმდეგენი ვიქნებით. ჩვენთვის მიუღებელია დასავლეთის ფსევდოღირებულებები, "თავისუფლების", სინამდვილეში კი საკუთარი ვნებებისადმი დამონების (მაგ., სექსუალური თავისუფლების) პროპაგანდა.

სემინარისტები ვერ გრძნობენ ეკლესიის ისტორიის, საქართველოს ისტორიის სულისკვეთებას, რომელიც ცალსახად ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ისტორიულად ქვეყნის წარმატება თუ წარუმატებლობა უშუალოდ იყო და არის დაკავშირებული ეკლესიის წევრთა და ქვეყნის ხელისუფალთა მართლმკვეთელობასთან. ეს ბიბლიური სიბრძნე უცხოა მათთვის და კაცობრიობის ისტორიას შეჰყურებენ ობივატელისა თუ უნიჭო პოლიტიკოსების თვალებით, რომელთათვის წარმატება-წარუმატებლობა მხოლოდ ამქვეყნიურს, მატერიალურ ფასეულობებს უკავშირდება. ისინი ვერ ხედავენ ბრიტანეთის, გერმანიის და ევროპის სხვა "წარმატებული" ქვეყნების სულიერ სიღატაკესა და ნანგრევებს. ჩვენს გაკვირვებას ინვევს ევროპის ქვეყნების გვერდით, ჩამონათვალში, მათ მიერ სომხეთის მოხსენიებაც, თუმცა ამის გამო (მათივე წამხედურობით) არ დავდებთ მათ ბრალს სომხოფილიაში.

ჩვენი რუსოფილობის დასადასტურებლად სემინარისტები, სამწუხაროდ, არ ერიდებიან აშკარა ტყუილს. მათ გაზეთ "მრევლის" ოთხი წლის წინანდელი პუბლიკაციიდან ციტატის სახით მოყავთ გაყალბებული ტექსტი, კონტექსტის უგულებელყოფით, ახალმოწამეთა შეურაცხმყოფელი გამონათქვამები და დასკვნები.

მაგრამ ჩვენს განქიქებაზე მეტად ჩვენთვის სამწუხაროა სემინარისტების მიერ წმ. მამა მარკოზ ეფესელის შეურაცხყოფა, მისი ტექსტის დამახინჯებულად და კონტექსტიდან ამოგლეჯილად მოყვანა, რის გამოც მათ მიერ წმ. მამა გამოყვანილია რომის პაპის მადიდებელ პიროვნებად, ხოლო მართლმადიდებელი ეკლესია - განხეთქილებაში მყოფ ეკლესიად. ამას კი ვერავითარი საყმაწვილო სენითა და უმწიფრობით ვერ გავამართლებთ. რომის ეკლესიის, პაპიზმის ერესი ეკლესიის მიერ მკაფიოდაა განმარტებული და სასულიერო განათლების პრეტენზიის მქონე სემინარისტებს ელემენტარული ცოდნა მაინც უნდა გააჩნდეთ ამის შესახებ. რომის ეკლესიის ძველ ღირსებებზე მეტყველ და მისი უფლებების დამცველ სემინარისტებს რატომ ავიწყდებათ, რომ აღმოსავლეთის (მართლმადიდებელი) ეკლესია მე-9 საუკუნიდან მოყოლებული მთელი ორი საუკუნის განმავლობაში შეაგონებდა მწვალებლობაში შთავარდნილ რომის ეკლესიას, თუ სიყვარულით, თუ ხვეწნა-მუდარით, უარეყო ცდომილება და დაბრუნებულიყო ქრისტეს ეკლესიაში, მაგრამ უშედეგოდ. ამ სიყვარულის წილ ისტორიის მთელი შემდგომი პერიოდი წარიმართა რომის ეკლესიის დაუძინებელი მტრობით მართლმადიდებლობისადმი, რომელიც სავსეა მართლმადიდებელთა სისხლითა და ხოცვა-ჟლეტით, მართლმადიდებელი ეკლესიების დარბევითა და ღვთისმსახურთა განადგურებით. ნუთუ ისიც არ ახსოვთ სემინარისტებს, რომ ათონის მთის მონასტრების დარბევისა და ბერ-მონაზონთა მოწყვეტის დროს ლათინთა მიერ მოოხრდა ქართველი ივერონის მონასტერი და დახოცილ იქნა ქართველი ბერ-მონაზვნები? ნუთუ მათ სულსა და გულში არ მოძრაობს არც ცნება და არც გრძნობა?

მათ ცილი დასწამეს წმ. მარკოზ ეფესელს, რომლის მთელი ცხოვრება არის შეურიგებელი, უკომპრომისო ბრძოლა პაპისტებთან, რომელიც ეუბნებოდა ლათინებს, რომ რაც მეტად გშორდებით, მით უფრო ვუახლოვდები ღმერთსო, უწოდებდა მათ სქიზმატებსა და ერეტიკოსებს. ნუთუ არ სმენიათ სემინარისტებს სხვა პაპიზმისა თუ ეკუმენიზმის მამხილებელი მამების სახელები, წმ. ნექტარიოს პენტაპოლელი, ნეტარი ფილოთეოსი (ზერვაკოსი), ღირსი იუსტინე (პოპოვიჩი), ნეტარხსენებული მღვდელ-მონაზონი სერაფიმე როუზი, დიდი ათონელი ბერი, ნეტარხსენებული პაისი, რომელიც ეკლესიის მტრებზე საუბრისას ეკუმენიზმს სიონიზმსა და სატანიზმთან ერთად ერთ მწკრივში აყენებს?

დღეს მრავალი მართლმადიდებელი ალბათ კარგად ხვდება, რომ ჩვენი ეკლესია დიდი საშიშროების წინაშე დგას. ავანსცენაზე გამოჩნდნენ სასულიერო თუ არასასულიერო პირები, ვინც აშკარად ემტერება ჩვენი ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობელის მიერ არჩეულ მართლმკვეთელურ კურსს. ცილისმწამებლობენ ისინიც, ვისაც თავისი დუმილისა და უმოქმედობის გამართლება სურს. დუმან, ვინაიდან შეიყვარეს წუთისოფელი. დღეს დუმილი კი ღალატის ტოლფასია. მათი მისამართით ამბობს წმ. მოციქული: "სიცოცხლის ამას მუძღურებასა არა თავს-იდებენ. არამედ გულის თქუმისაებრ თავისა თვისისა შეიკრებდენ მოძღუართა ქავილითა ყურისაითა: და ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი თვისნი გარემოიქცნენ და ზღაპრებსა მიექცნენ" (2 ტიმ. 4,3-4).

სემინარისტების წერილი მთავრდება მოწოდებით - "ყველაფერში სიყვარული", რაც სავსებით არ ეთანადება მათივე წერილის შინაარსს, სავსეს ღვარძლით, სიძულვილითა და ცილისწამებით. ამბორისთვის გამზადებულებს, გვინდა მოვუწოდოთ, რომ გულისხმა ყონ და უარყონ პროეკუმენისტური და ანტიეკლესიური მოსაზრებები, რათა გავერთიანდეთ ქრისტეს სარწმუნოებაში, რომლის გარეშეც არ არსებობს არც ერთობა და არც სიყვარული. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ამბორი ეკლესიას ექცევა იუდას ამბორად, ხოლო სიყვარული - ფარისევლობად და სიძულვილად.

წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახ. მართლმადიდებელი მრევლის კავშირის სახელით:
ა. უნგიაძე
ლ. მრელაშვილი

არა ცილი სწამო

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირთა წერილი

ბოლო პერიოდში პრესაში გამოქვეყნდა შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური სტატიები საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის წმიდა სინოდის წევრი მღვდელმთავრების: დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტის აბრაამის (გარმელია) და დმანელი ეპისკოპოსის ზენონის (იარაჯული) მიმართ. მართლმადიდებელ მრევლში ვრცელდება პროკლამაციები, რომლებშიც გამოთქმულია სრულიად აბსურდული და უსაფუძვლო ბრალდებები აღნიშნული იერარქების მიმართ. ყველაფერი ეს ხორციელდება "საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის" და "წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის მართლმადიდებელი მრევლის კავშირის" სახელით.

მიტროპოლიტ აბრაამისა და ეპისკოპოს ზენონის მოღვაწეობა ფართოდაა ცნობილი ქართული საზოგადოებისათვის. დასავლეთ ევროპის ეპარქიის შექმნამდე მეუფე აბრაამი თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი და საქართველოს საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების თავმჯდომარე იყო. მეუფე ზენონი კი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი და საქართველოს საპატრიარქოს საფინანსო-ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარე; ჯერ კიდევ სამღვდელო ხარისხში ყოფნისას იგი აქტიურად მონაწილეობდა არამარტო საეკლესიო, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ორივე მღვდელმთავარი, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, მჭიდროდ ასოცირდება საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელთან უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-სთან.

ჩვენი ეკლესიის უმაღლესი მმართველი ორგანოს - წმიდა სინოდის წევრი იერარქების მიმართ ცილისწამება, უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა და მისი მწყემსმთავრის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესის ილია II შეურაცხყოფას.

საეკლესიო სამართლის მიხედვით არც ერთ დაჯგუფებას არა აქვს უფლება, ისაუბროს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის სახელით, მეტადრე ამ "სტატუსით" "ბრალდებები" წაუყენოს მღვდელმთავრებს. საეკლესიო სამართლის ნორმების მიხედვით არ არსებობს არანაირი "წმ. მეფე დავით აღმაშენებელის სახელობის მართლმადიდებელი მრევლის კავშირი", რადგან ამგვარი ორგანიზაციების არსებობას ეკლესიაში სჭირდება მმართველი მღვდელმთავრის ლოცვა-კურთხევა და ნებართვა.

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ზოგიერთი პიროვნება ცდილობს, მორწმუნეთა გულებში მღვდელმთავართა მიმართ ეჭვი და უნდობლობა შეიტანოს, ხოლო მართლმადიდებელ ეკლესიაში კი შფოთი და არეულობა.

ჩვენ, საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები, დარწმუნებულნი ვართ, რომ ყოველი მართლმადიდებელი მორწმუნისათვის სრულიად მიუღებელია ყოველგვარი ცილისწამება დედა ეკლესიის იერარქთა მიმართ, ხოლო ზემოთაღნიშნული სტატიებისა და პროკლამაციების ავტორებს კი მოვუწოდებთ და შევაგონებთ: ნუ ცდილობენ მრევლის დაბრკოლებას, სახარებისეული უძღები შვილის დარად "მოეგონ თავსა თვისსა" და სიმდაბლით შეინანონ ყოველად მოწყალე უფლის მიმართ.

1. **დეკანოზი გიორგი ჩაჩავა**
   თბილისის წმ. დიდმოწამე პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ტაძრის წინამძღვარი
2. **მღვდელი დავით ხიმშიაშვილი**
   თბილისის წმ. დიდმოწამე პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური
3. **დეკანოზი მიქაელ ასათიანი**
   თბილისის გლდანის წმ. დიდმოწამე გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარი
4. **მღვდელი აკაკი ქიქავა**
   თბილისის წმ. დიდმოწამე გიორგის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური
5. **არქიმანდრიტი ლაზარე (სამადბეგიშვილი)**
   ბერლინის ქართული სამრევლოს წინამძღვარი (გერმანია)
6. **მღვდელი მიქაელ ბურდული**
   ბრიუსელის ქართული სამრევლოს წინამძღვარი (ბელგია)
7. **მღვდელ-მონოზონი აბიბო (ქურციძე)**
   ანტვერპენის ქართული სამრევლოს წინამძღვარი (ბელგია)
8. **მღვდელი მიქაელ გალდავა**
   თბილისის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის წინამძღვარი
9. **მღვდელი გიორგი კობაიძე**
   თბილისის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური
10. **მღვდელი ზურაბ გრიგალაშვილი**
    დმანისის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის წინამძღვარი
11. **მღვდელი ანტონ გელაშვილი**
    თბილისის წმ. ილია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური
12. **მღვდელ-მონოზონი დავითი (თოდუა)**
    თბილისის წმ. ილია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური
13. **მღვდელი მელქისედეკ ხაჩიძე**
    ათენის უნივერსიტეტის მართლმადიდებელი ღვთისმეტყველების ფაკულტეტის დოქტორანტი (საბერძნეთი)
14. **დეკანოზი ბესარიონ გულაშვილი**
    თბილისის წმ. დიდმოწამე გიორგის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური
15. **დეკანოზი ალექსანდრე გალდავა**
    თბილისის წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ტაძრის წინამძღვარი
16. **მღვდელი ზაზა თევზაძე**
    თბილ

ბონდო შალიკიანის მეუღლემ ევროსასამართლოს მიმართა

სტრასბურგის სასამართლომ საქართველოდან მის კანცელარიაში შესული კიდევ ერთი სარჩელი მიიღო და ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატის - ბონდო შალიკიანის მეუღლის - ეკა მინდაძის განცხადებას გამოეხმაურა.

განცხადებაში შალიკიანის მეუღლე პატივისა და ღირსების შელახვისათვის საქართველოს ხელისუფლებას ბოდიშის მოხდასა და მორალურ კომპენსაციას სთხოვს. მან მიმართა საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციას - "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" და ორგანიზაციამ შალიკიანისა და მისი ოჯახის შელახული უფლებების დაცვის საქმეში ევროპის სასამართლო ჩართო.

საქმე ისაა, რომ ბონდო შალიკიანის დასაკავებლად საქართველოს ხელისუფლებასა და ქართველ სამართალდამცველებს სპეცოპერაციის ჩატარება დასჭირდათ. შალიკიანი გამთენიისას, საკუთარ სახლში აიყვანეს. მას ბრალად ედება იარაღის უკანონო ტარება და შენახვა. სპეცოპერაციის კადრები სატელევიზიო ეთერით გადაიცა. სწორედ ამ ფაქტს მიიჩნევს ეკა მინდაძე ღირსების შელახვად, რადგან, როგორც თავად აცხადებს, რამდენიმე დღის განმავლობაში მას "ლამის დედიშობილას უჩვენებდნენ".

"დაპატიმრების ასეთი ფორმით ხელისუფლებამ შელახა შალიკიანის ოჯახის ღირსება და პატივი, რომლის აღდგენასაც ეს ქალბატონი ითხოვს ევროპის სასამართლოს საშუალებით," - განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაცია - "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" წევრმა.

ჯერჯერობით, ევროსაბჭოდან საჩივრის ფორმები ჩამოვიდა, რომლებიც სათანადო ნორმების დაცვით უნდა შეივსოს. ამ ფორმებში

ბადრი გელეგებულის ფოტო

შალიკიანის ოჯახს ევროსასამართლო შეეხმიანა.

ევროპის სასამართლო მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის იმ მუხლებზე, რომლებიც ამ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლებამ შელახა.

შეგახსენებთ, რომ საპარლამენტო არჩევნებში ტყიბულის რაიონში გამარჯვებული მაჟორიტარი დეპუტატი, ქუთაისის საკრებულოს წევრი, ადგილობრივი ტელეკომპანია "ქუთაისის" მფლობელი და იმერეთში ყველაზე გავლენიან ბიზნესმენად ცნობილი ბონდო შალიკიანი 5 მარტს, გამთენიისას, ქუთაისში, საკუთარ სახლში დააპატიმრეს. შალიკიანის სახლის ჩხრეკა, რომლის დროსაც ორი ავტომატი და ერთი ხელყუმბარა აღმოაჩინეს, გენერალური პროკურორის ბრძანებით განხორციელდა, მოტივად კი დასახელდა, რომ არსებობდა ინფორმაცია ქუთაისში სპეცოპერაციის დროს გაქცეული ორი ბოროტმოქმედის შალიკიანის სახლში დამალვის თაობაზე. როგორც გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები აცხადებდნენ, იარაღისა და ფეთქებადი საბრძოლო მასალის უკანონო შენახვის ბრალდებით დაპატიმრებულ ბონდო შალიკიანს, სავარაუდოდ, ბრალდება დაუმძიმდებოდა, ანუ პროკურატურამ წლების წინ ადამიანის გატაცების, მკვლელობისა და ეკონომიური დანაშაულების თაობაზე აღძრულ იმ საქმეებს გადახედა, რომლებშიც შალიკიანის გვარი ფიგურირებდა; თუმცა შალიკიანს ბრალდების კვალიფიკაცია არ შეცვლია.

სხვათა შორის, შალიკიანის დაპატიმრების კადრების ტელევიზიით გადაცემის გამო თავის პროტესტი საქართველოს პრეზიდენტმა კატეგორიულად გამოხატა. მან დაუშვებლად მიიჩნია საძინებელ ოთახში გადაღებული კადრების სატელევიზიო ეთერით ჩვენება.

24 საათი

გოგი ჩიქოვანის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება

9 მაისს სოლოლაკში, საკუთარ სახლში დაკავებული "კანონიერი ქურდის" გოგი ჩიქოვანის ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა. მისი ადვოკატის შალვა შავგულიძის თქმით, 78 წლის ჩიქოვანს გაკეთებული აქვს გულის სამი ოპერაცია, აწუხებს თირკმელები, დიაბეტით არის დაავადებული და, შესაბამისად, სპეციალურ მედიკამენტოზურ მკურნალობასა და დიეტას საჭიროებს. თუმცა, პატიმარს უკვე მეოთხე დღეა, მშრალი შიმშილობა აქვს გამოცხადებული და წამლების მიღებაზეც კი უარს ამბობს. შავგულიძის თქმით, ჩიქოვანის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის საკითხი მან უკვე დასვა, მაგრამ საოლქო სასამართლოში, ჯერჯერობით, დოკუმენტები გადაცემული არ არის.

"კანონის თანახმად, 65 წელს ზემოთ ხანდაზმული ადამიანისთვის აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენება მხოლოდ გამონაკლის, მძიმე ბრალდების შემთხვევაში არის შესაძლებელი. ჩიქოვანს კი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვის ედავებიან. სასამართლომ სასწრაფოდ უნდა მოახდინოს რეაგირება ჩემს საჩივარზე, წინააღმდეგ შემთხვევაში უკვე გვიან იქნება", - განაცხადა ადვოკატმა.

გოგი ჩიქოვანი გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში გადაიყვანეს, სადაც იგი გუშინ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ზურაბ აბაშიძემაც ინახულა. აბაშიძის თქმით, სწორედ იუსტიციის სამინისტროს ნებართვით მოხდა პატიმრის საავადმყოფოში გადაყვანა. იგი ჩიქოვანის ნახვის შემდეგ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმეში დარწმუნდა.

სავარაუდოდ, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და დანაშაულის კატეგორია სრული საფუძველი გახდება საიმისოდ, რომ საოლქო სასამართლომ ჩიქოვანის ადვოკატის საჩივარი დააკმაყოფილოს და იგი გაათავისუფლოს. მოვლენათა ასეთი განვითარება მოსალოდნელია იმ შემთხვევაშიც, თუ სიმართლეს შეესაბამება მოარული ხმები იმის თაობაზე, რომ კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტებმა 10 წლის წინათ მუზეუმიდან მოპარული კრანახისა და რეისდალის ტილოები სამართალდამცველებს სწორედ გოგი ჩიქოვანის თავისუფლებაში გაუცვალეს.

24 საათი

კომანდოსელები ზემდგომის მითითებას ასრულებდნენ

თელავის 111-ე ბატალიონის წევრებსა და ამავე რაიონის პოლიციის თანამშრომლებს შორის 27 აპრილს მომხდარი ინციდენტის გამოძიება, სავარაუდოდ, სამ კვირაში დასრულდება. როგორც კახეთის რეგიონის სამხედრო პროკურორმა ილია ოთარაშვილმა განაცხადა, უკვე დაკითხულია 70-მდე პირი, როგორც პოლიციის თანამშრომლები, ისე ბატალიონის წევრები და საბოლოოდ დამნაშავეებად ჯარისკაცები გამოცხადდნენ.

თამარ კავთიტაძე

ინციდენტი, რის გამოც თელავის სამხედრო პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე ხულიგნობისა და სამხედრო ძალაუფლების უკანონოდ ხელში ჩაგდების მუხლებით არის აღძრული, წინა საღამოს დაიწყო და მეორე დღეს კომანდოსელების მხრიდან თელავის რაიონის პოლიციის შენობის დარბევის მცდელობით დასრულდა.

ინციდენტი კი ასე დაიწყო. თვითმხილველთა თქმით, "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის" ფარგლებში მომზადებული, თავდაცვის სამინისტროს მე-11 ბრიგადის თელავის 111-ე ბატალიონის რამდენიმე ნასვამ ჯარისკაცს თელავის ერთ-ერთ კაფეში თავდაპირველად სიტყვიერი შეკამათება მოუვიდათ მოქალაქეებთან, რომელიც შემდეგ იქვე მყოფ სამ პოლიციელთან დაპირისპირებაში გადაიზარდა. გავრცელებული ინფორმაციით, ჯარისკაცებმა ის სამართალდამცველები სცემეს, რომლებმაც წესრიგის დამრღვევი კომანდოსელების დაპატიმრება სცადეს. ინციდენტიდან მეორე დღეს, მომხდარის გამო "შეურაცხყოფილმა" 200-მდე ჯარისკაცმა ბატალიონის ტერიტორია დატოვა და თელავის პოლიციის შენობისკენ გაემართა. მოსალოდნელი ინციდენტის თავიდან აცილების მიზნით, პოლიციამ შენობის კარები დაკეტა, მაგრამ სამართალდამცველებთან ანგარიშსწორების მსურველი ჯარისკაცები 10-15 წუთის განმავლობაში პოლიციის შენობის ფანჯრებს ამტვრევდნენ და პოლიციელებს სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. საბოლოოდ კი, ინციდენტი მას შემდეგ განიმუხტა, როცა საქმეში სამხედრო პროკურატურა, კახეთის რეგიონის პოლიციის უფროსი და თავად ბატალიონის ხელმძღვანელობა ჩაერთო.

"ინციდენტის დროს, ჯარისკაცების მხრიდან ხულიგნობას რომ ჰქონდა ადგილი, ფაქტია. მაგრამ, ამასთან, არსებობს ვარაუდი, რომ ბატალიონში მოხდა სამხედრო ძალაუფლების უკანონოდ ხელში ჩაგდებაც. თუმცა, ამ ეტაპზე ეს ვერსია ბოლომდე დამტკიცებული არ არის, ამიტომ ვერ გამოვრიცხავთ, რომ ძიების პროცესში ეს მუხლი ან საერთოდ გაუქმდეს, ან უფრო მეტად დამძიმდეს," - განაცხადა ჩვენთან საუბარში ილია ოთარაშვილმა.

პროკურორის სიტყვებიდან გამომდინარე, ბატალიონს არაუფლებამოსილი პირი ხელმძღვანელობდა, ეს კი უშუალოდ ბატალიონის მეთაურის, კაპიტან ლაშა ბერიძის სახელს ნამდვილად არ უკავშირდება. არადა, როგორც უკვე ცნობილია, ბერიძის თანამდებობიდან შესაძლო გათავისუფლებაზე საუბარი ინციდენტის დღესვე დაიწყო. მაგრამ, როგორც ჩანს, სიტუაცია მეთაურის სასარგებლოდ რადიკალურად შეიცვალა. თელავის სამხედრო პროკურორი ორკვირიანი გამოძიების შემდეგ მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე ბატალიონის მეთაურის ბრალეულობა გამოკვეთილი არ არის. მეტიც, როგორც ილია ოთარაშვილი ირწმუნება, ინციდენტი მაშინ მოხდა, როცა ბერიძე ადგილზე არ იმყოფებოდა და სამხედრო შენაერთის წევრები სხვა ზემდგომის მითითებებს ასრულებდნენ. მაგრამ ვინ არის ეს ზემდგომი თუ ზემდგომები, ვისი ბრძანებაც ორასმა ჯარისკაცმა დაუფიქრებლად შეასრულა და რაიონის სამართალდამცველებს დაუპირისპირდა, ამ ეტაპზე პროკურორი არ ასახელებს. არც ის არის ცნობილი, არსებობდა თუ არა წარსულში რამე მიზეზი, რის გამოც შესაძლებელი გახდა პოლიციელები და ჯარისკაცები ერთმანეთს ასე ღიად დაპირისპირებოდნენ.

ერთი სიტყვით, გამოძიება გრძელდება და არ არის გამორიცხული, რომ საბოლოოდ ჯოხი, როგორც წესი, რიგით ჯარისკაცებზე გადატყდეს. არადა, როგორც კახეთის სამართალდამცველები აცხადებენ, ბოლო პერიოდში ადგილობრივ მოსახლეობასა და "კომანდოს" ჯარისკაცებს შორის კონფლიქტები საგრძნობლად გახშირდა, რაც, ადგილობრივ მცხოვრებთა მოთხოვნით, სერიოზულ რეაგირებას საჭიროებს.

მადრიდის ტერაქტის მოწყობისთვის ამერიკელი ადვოკატი დააკავეს

ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ორეგონის შტატში დააკავეს ადამიანი, რომლის თითის ანაბეჭდებიც თავის დროზე აღმოჩენილ იქნა 11 მარტს, მადრიდის ტერაქტის შემდეგ ნაპოვნი ბომბის შესაფუთის ფრაგმენტებზე. ეს თითის ანაბეჭდები ამერიკელის აღმოჩნდა.

FBI-ის აგენტებმა ორეგონის შტატის ქალაქ პორტლენდში იქაური ადვოკატი - ბრენდონ მეიფილდი დააკავეს. გამოძიებას სრული საფუძველი აქვს, რომ იგი 11 მარტს მადრიდში მომხდარი ტერაქტის მონაწილედ მიიჩნიოს.

Newsweek-ის ინფორმაციით, ამ ადვოკატის თითის ანაბეჭდები აღმოჩნდა იმ ასაფეთქებელი ნივთიერების შესაფუთის ფრაგმენტებზე, რომელმაც 191 ესპანელი იმსხვერპლა.

ბრენდონ მეიფილდის შესახებ ცნობილია, რომ მან ცოტა ხნის წინათ ისლამი მიიღო. აგრეთვე ცნობილია მისი კავშირის შესახებ "პორტლენდის შვიდეულის" ახლახან გასამართლებულ ერთ-ერთ ლიდერთან. ეს დაჯგუფება ორეგონის შტატის მაცხოვრებლებისგან შედგებოდა და მათ ტერორიზმსა და ავღანეთში, "თალიბანის" დაჯგუფებასთან მებრძოლი ამერიკელი ჯარისკაცების წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა ბრალდებოდათ. როგორც Newsweek-ის ამერიკული სპეცსამსახურებიან იტყობინებიან, მეიფილდი გარკვეული დროის მანძილზე FBI-ის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. ხუთშაბათს კი ის მაინც დააკავეს და ახლა იგი დიდი ჟიურის გამომძიებლების წინაშე წარდგება. თუმცა, ჯერჯერობით, მხოლოდ მნიშვნელოვანი მოწმის სახით. დაკავებულის ეს სტატუსი კი ამერიკის იუსტიციის სამინისტროს საშუალებას აძლევს, მეიფილდი მკაცრ იზოლაციაში, ოფიციალური ბრალდების წარდგენის გარეშე საკმაოდ ხანგრძლივად ამყოფოს.

მიუხედავად მისი თითის ანაბეჭდების აღმოჩენისა, გამოძიება აღიარებს, რომ ტერაქტში მეიფილდის კონკრეტული როლი დაუდგენელია. მისი ძველი კავშირები "პორტლენდის შვიდეულთან" კი მისი ბრალეულობის დამადასტურებლად ნამდვილად ვერ გამოდგება. სხვათა შორის, ბრენდონ მეიფილდი ამ დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერის - ჯეფრი ბეტლის ადვოკატი გახლდათ. და თავად პორტლენდული საქმეც ექსპერტებს მეტად წინააღმდეგობრივად ეჩვენებათ, თუმცა ყველა აღიარებს, რომ ის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მათგან, რომლებიც იუსტიციის სამინისტრომ გამოიძია 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ. იუსტიციის მინისტრმა და გენერალურმა პროკურორმა ჯონ ეშკროფტმა ამ საქმეს თავის დროზე "ანტიტერორისტულ ბრძოლაში ამერიკის შემობრუნების წერტილი" უწოდა, რადგანაც FBI-იმ მოახერხა "ტერორისტული ჯგუფის დაპატიმრება, რომელიც ქვეყნის შიგნით მოქმედებდა". თუმცა მოგვიანებით სკეპტიკოსები აღნიშნავდნენ, რომ იუსტიციის სამინისტრომ ვერ შეძლო ვერც ერთი ბრალდებულისთვის ტერორისტული აქტების მზადებაში მონაწილეობის დამტკიცება. დადასტურდა მხოლოდ ის, რომ ექვსი დაკავებული 2001 წელს ცდილობდა ჩინეთის საზღვრის გავლით პაკისტანში გადასვლას. მათი მიზანი გახლდათ, შეერთებოდნენ ავღანელ თალიბებს და დახმარებოდნენ "მუსულმან ძმებს" ამერიკელი ჯარისკაცების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჯგუფის მეშვიდე წევრის დაკავება ბოლომდე ვერ მოხერხდა. მოგვიანებით კი პროკურატურამ განაცხადა, რომ ის ავღანეთის ტერიტორიაზე გამართული ბრძოლებისას დაიღუპა.

ეჭვმიტანილთა ბრალეულობის ყველაზე უტყუარი მტკიცებულება, რომელიც გამოძიებამ მოიპოვა, მათი სატელეფონო საუბრების ჩანაწერები იყო. ეს საუბრები ჯერ კიდევ მათ აზიაში გამგზავრებამდე იყო ჩაწერილი. ჩანაწერებში დაფიქსირებულია ამერიკელი რეზერვისტის - ბეტლის საუბარი, როცა იგი იმ ომის წინააღმდეგ გამოდის, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ავღანეთში აწარმოებდა და ამბობს, რომ სურს, თავს დაესხას ადგილობრივ ებრაულ სკოლას ან სინაგოგას და დაცხრილოს იგი. ამ ფაქტის შემდეგ ბეტლი და მისი თანამზრახველი პატრის ლუმუმბა ფორდი გასამართლებულ იქნენ ამერიკის წინააღმდეგ ომის წარმოების მიზნით შეთქმულების მოწყობაში.

სხვათა შორის, Newsweek-ის ცნობით, ამერიკის სპეცსამსახურები მეიფილდის დაპატიმრებას ახლაც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეულ დიდ გამარჯვებად აფასებენ.

24 საათი

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა მამალაძე თანამდებობიდან გათავისუფლდა. ამავე ბრძანებულებით, მამუკა მამალაძე საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრად დაინიშნა. იუსტიციის საბჭო პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს წარმოადგენს და მას იუსტიციის მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილე გია გეწაძე ხელმძღვანელობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

სამტრედია. სამტრედიის პოლიციამ, იმერეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად, სოფელ ნიგორგვაში მცხოვრები, 21 წლის გრიგოლ გაგუა დააკავა, რომელსაც პირადი ჩხრეკის დროს "რგდ"-ს ტიპის ხელყუმბარა თავისი ფაილით და 1 ცალი "აკმ"-ის სისტემის ავტომატის ვაზნები აღმოაჩნდა.

საბრძოლო მასალების უკანონო შენახვის ბრალდებით მის მიმართ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, რომელიც 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. შს სამინისტრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღის ნუსხას აქვეყნებს. აჭარიდან ამოღებულია 48 დასახელების სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი და საბრძოლო მასალა. ამოღებულია: 2593 ერთეული ავტომატი, ხელის ტყვიამფრქვევი - 53 ცალი, ხელის ყუმბარმტყორცნი - 54 ცალი, ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი - 52 ცალი, ავტომატზე მისაბმელი ყუმბარმტყორცნის ყუმბარა - 80 ცალი, ავტომატის ვაზნები 138 000 ცალი, ხელყუმბარა - 140 ცალი, ელექტროდეტონატორი - 60 ცალი, ავტომატის ვაზნები - 113 ყუთი და სხვა დასახელების ცეცხლსასროლი იარაღი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინწინ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ღამის საათებში ჩატარებული რეიდების დროს, რომელიც უზედამხედველო არასრულწლოვანების გამოვლენას ისახავდა მიზნად, პოლიციის განყოფილებაში 30-მდე მოქალაქე იქნა მიყვანილი. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის ცნობით, წარმოდგენილთაგან უმრავლესობა პიროვნების დადგენის იდენტიფიკაციის დროს სრულწლოვანი აღმოჩნდა, ხოლო რამდენიმე უზედამხედველო არასრულწლოვანს გასაუბრება ჩაუტარდა. ყველა მათგანი გათავისუფლებულები არიან. ერთ-ერთი არასრულწლოვანი ვაჟი ქარელის რაიონის მაცხოვრებელი აღმოჩნდა, რომელიც მისამართის დადგენამდე გლდანის არასრულწლოვანთა ორიენტაციისა და პროფილაქტიკის ცენტრში იქნა გადაყვანილი. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში გუშინწინ, ღამით, ფართომასშტაბიანი რეიდი განხორციელდა, რომლის მიზანიც უზედამხედველო, სამართალდამრღვევი მოზარდების გამოვლენა და მათთან სათანადო მუშაობის ჩატარება გახლდათ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია ყაზახეთში გამართულ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციაში (სახელწოდებით - "სამოქალაქო უფლებების დაცვა") მიიღებს მონაწილეობას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ცნობით, 13-14 მაისს ყაზახეთის დედაქალაქ ალმა-ატაში ჰუმანიტარულ-იურიდიული უნივერსიტეტის კერძო სასამართლოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი აწყობს ორდღიან კონფერენციას. ღონისძიებაში მონაწილეობას რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენელი მიიღებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. სამართალდამცავებმა დააკავეს თბილისში, მე-3 მასივში მცხოვრები, მრავალჯერ ნასამართლევი, 24 წლის ირაკლი მარაქველიძე, მეტსახელად - "გიჟნოი", რომელიც დაუდგენელ პირებთან ერთად გადაჭრილი თოფით თავს დაესხა თარხნიშვილის ქუჩაზე მცხოვრებ არჩილ გაბაძის ოჯახს. მარაქველიძე ისანი-სამგორის პროკურატურის მიერ განზრახ მკვლელობისთვის იძებნებოდა. მან 5 აპრილს ურთიერთშელაპარაკებისას გადაჭრილი თოფიდან გასროლით მოკლა ვინმე მეტრეველი. ამოღებულია უნომრო გადაჭრილი თოფი. საქმეს იძიებს მთაწმინდა-კრწანისის საგამოძიებო სამსახური. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სამართალდამცავებმა დააკავეს ავტომანქანის გამტაცებელთა ორგანიზებული ჯგუფის წევრები, თბილისში ილორის ქუჩაზე მცხოვრები, 49 წლის ვალერი ჩინჩალაძე და ფონიჭალაში მცხოვრები, 38 წლის ზურაბ ფაროიანი, რომლებმაც 10 მაისს, უზნაძის ქუჩაზე, ნოდარ ქურხულს ყაჩაღურად გასტაცეს ავტომანქანა "ოპელი". ავტომანქანა ამოღებულია. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამსახური. **მედია-ნიუსი**

ქუთაისის ვიცე-მერი ნარკომანობისთვის დააკავეს?

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სამართალდამცველებმა გუშინწინ, გვიან ღამით, ქუთაისის ყოფილი ვიცე-მერი ონისე უგრეხელიძე და მერიის კომუნალური სამსახურის ყოფილი უფროსი თემურ ყურაშვილი დააკავეს. მათი აყვანა ქუთაისის ცენტრში, საფთიაქო მაღაზია "მშვილდოსანში" მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, ისინი ნარკოტიკული ნივთიერების ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. თუმცა ჯერ სამართალდამცველები ამ ფაქტს ოფიციალურად არ ადასტურებენ. ონისე უგრეხელიძე ბოლო ათი წლის მანძილზე ქუთაისის პირველი ვიცე-მერი იყო. მას პროკურატურა ერთი თვის წინაც იბარებდა. თუმცა, მაშინ მას ჯანმრთელობის გაუარესების გამო ჩვენებას ვერ ართმევდნენ. მაშინ პროკურატურა უგრუხელიძეს რამდენიმე ფინანსურ დარღვევას ედავებოდა. **ინტერ-პრესი**

ჟანდარმერია - ახალი ძალა საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების სისტემაში

პირველი გვერდიდან

ბესო გელაშვილის ფოტო

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა და მასთან ერთად სასაზღვრო ძალებმა, შინაგანმა ჯარმა და პოლიციამ ვერ შეძლეს, და მათ არც შეეძლოთ შეექმნათ სამხედრო უსაფრთხოების იმ გარანტიების მინიმუმიც კი, რომელიც უპირველესად სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას მოიცავს და რაც მათ კომპეტენციის ფუნქციებს მიეკუთვნება. ყოველივე ამას მრავალი მიზეზი ჰქონდა, მაგრამ მთავარი იყო არასწორი სისტემური მიდგომა საქართველოს სამხედრო სტრუქტურებისა და მათში ძალთა და ამოცანათა გადანაწილებისადმი.

კანონზომიერია, რომ სამხედრო უსაფრთხოების ცენტრალურ სახელმწიფოებრივ ბლოკს წარმოადგენს შეიარაღებული ძალები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, მისი მშენებლობის კონცეპტუალური და მიზნობრივი პარამეტრების, ძალებისა და საშუალებების რესურსის, რეზერვის ამოქმედების, ფუნქციონირების ინტენსივობის და ხანგრძლივობის მონაცემებისა და საკმარისობის პირობის გარეშე განუსაზღვრო საომარი მდგომარეობის და საბრძოლო მოქმედების, პრაქტიკულად, ყოვლისმომცველი დიაპაზონი.

ამდენად, საქართველოს არსებული სამხედრო უსაფრთხოების სისტემა მოუმზადებელი იყო არა მარტო საქართველოს სამხედრო სტრუქტურის ცალკეული შემადგენელი ნაწილის არასაკმარისობის ან არასწორი ფორმირების გამო, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოებრივი, ოფიციალური შეხედულებების სისტემის არასწორი განსაზღვრით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რეალურად აუმოქმედებელი, მაგრამ მაინც საქართველოს სამხედრო დოქტრინა არა მარტო არასრულფასოვანია, არამედ არამიზანდასახულიცაა და უმნიშვნელოვანეს მიმართულებებში სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევის წინააღმდეგ ბრძოლის შემაფერხებელიც კი არის.

საერთოდ, საქართველოს სამხედრო დოქტრინაში, რეალურად უგულებელყოფილი ან დაკნინებულია ყველა ის სამხედრო და ძალისმიერი ზემოქმედებების პოზიციები, რაც კონსტიტუციური მოთხოვნის დაცვას შეეხება.

დოქტრინაში არ ფიგურირებს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის სისტემა, როგორც საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების და თავდაცვის სახელმწიფოებრივად დაკანონებული კონცეფციის შემადგენელი ნაწილი, რომ არაფერი ვთქვათ ამ მიმართულებით დებულების და კანონის არსებობაზე. არადა ტერიტორიული დაცვის არა სახელდახელო, არამედ ჩამოყალიბებული სისტემური მოდელის, ფუნქციონირებადი სტრუქტურისა და უზრუნველყოფის გარეშე სრულიად მოუწესრიგებელია და ექსტრემალურ სიტუაციებში სახელმწიფოებრივი გარანტიების გარეშე რჩება არა მარტო ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების დაცვა და მათი სამხედრო წესრიგით მართვა, არამედ საქართველოში საომარი და საგანგებო მდგომარეობის კანონის შესაბამისად დამყარება და მისი რეჟიმის შენარჩუნება, რაც თავისთავად ურთულესი პროცესია. არადა, არსებული დოქტრინა, მხოლოდ "ვალის მოხდისათვის" აღნიშნავს: "... საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროულად გამოცხადება მთელ ქვეყანაში თუ ცალკეულ რაიონში, იმავდროულად, საქართველოს სამხედრო ძალების ჯეროვან დონეზე საბრძოლო მზადყოფნის უზრუნველყოფა".

სიმართლე რომ ითქვას, სამხედრო დოქტრინა კი არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, უმოქმედო, უფუნქციო და მოძველებული, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მთელი პერიოდის განმავლობაში არასწორი და არაპროფესიონალური მიდგომებია სახელმწიფო სამხედრო უსაფრთხოების სისტემური მოდელის შექმნისა და ოპტიმიზაციისადმი.

ეროვნული უშიშროების საბჭოს პოზიცია მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს ექნება ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ახალი დოკუმენტი და ასევე ეროვნული სამხედრო სტრატეგიის ან სახელმწიფოს სამხედრო სტრატეგიის თუ სახელმწიფოს სამხედრო დოქტრინის სათაურის მქონე, საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების უპირველესი დოკუმენტი, რომლის პირველი რიგის ამოცანა, ალბათ, იქნება საქართველოში ისეთი სამხედრო ორგანიზაციის ფორმირება, რომელიც დააკმაყოფილებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის სისტემის მზადყოფნის პირობას, არა მარტო საგარეო საფრთხეებისა და მუქარების მიმართ, არამედ საშინაო შეიარაღებული, ძალისმიერი და სხვა ფორმისა და შინაარსის დესტრუქციისადმი, ტერორისტული ქმედებისადმი.

ასეთი შეფასება და მოლოდინი მხოლოდ ანალიტიკურ მონაცემებსა და სურვილებს არ ეფუძნება. იგი განპირობებულია უმაღლესი მთავარსარდლის გადაწყვეტილებით, საქართველოში სათანადო რიცხოვნობის, ტერიტორიულ, რეგიონულ სტრუქტურაზე გათვლილი, თანამედროვე საბრძოლო მზადყოფნისა და უზრუნველყოფის ჟანდარმერიის შექმნის შესახებ, რაც უპირატესად შინაგანი ჯარის ტრანსფორმაციით განხორციელდება. ასეთი გადაწყვეტილების სამხედრო-პოლიტიკურ ეფექტს გააძლიერებს აღნიშნულ სამხედრო ძალებთან გვარდიის სინთეზი.

რადგან გვარდიას შევეხეთ, ერთი სახასიათო სიტუაცია უნდა აღინიშნოს, რაც საქართველოში გვარდიის არსებობას უკავშირდება. გვარდიამ, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოში ძლიერი ეროვნული იმპულსებით წარმოჩინდა, სახელმწიფო სამხედრო-პოლიტიკურ სივრცეში მაინც წინააღმდეგობრივი და არათანამიმდევრული პოზიცია დაიკავა. ამის მრავალი საშინაო და საგარეო მიზეზები არსებობდა, მაგრამ უმთავრესი მაინც იყო გვარდიისადმი გადამეტებულად მაღალპროფესიონალური დავალებების პრიორიტეტულად დაკისრება და, მეორე მხრივ, მისი სამხედრო ხელმძღვანელობის ზედმეტად პოლიტიკური ამბიციები, ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, საკუთარი პოლიტიკური ინტერესების წინა პლანზე წამოწევა. ამასთან, თანამედროვე სამხედრო გამოცდილებით, მრავალი დემოკრატიული ქვეყნის მაგალითზე, გვარდია, საწყის, სასტარტო ეტაპზე მაინც, არ უნდა იყოს "კბილებამდე" შეიარაღებული. მას სამხედრო სპეციალისტებისა და რეზერვისტების სწავლება და მომზადება ევალება და, მხოლოდ ამის შემდეგ, საომარი მდგომარეობის, საომარი მოქმედებებისა და ბრძოლების ინტენსივობის მიხედვით, მეტწილად რეზერვის მოზიდვა, ამოქმედება და ოპერაციებში მონაწილეობის მიღების ფუნქციები და დავალებები განესაზღვრება. ამასთან, ტრადიციულად, გვარდია ერთიან სისტემაში უნდა იყოს ჩაბმული სტრატეგიული ობიექტების დაცვის, სამხედრო მიმოსვლების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სარეჟიმო მოთხოვნების დაცვის ამოცანებით. ასე რომ, ჟანდარმერიასთან ერთად გვარდიის ამოქმედება სამხედრო ხელოვნების თანამედროვე პრინციპებთან სრულ თანხვედრაშია.

როდესაც საქართველოში დადგა საკითხი ძლიერი და მასშტაბური ჟანდარმერიის შექმნისა, გაჩნდა კითხვები იმის შესახებ, თუ რა თანაფარდობა იქნება შემდგომში შეიარაღებულ ძალებსა და ჟანდარმერიას შორის და ხომ არ მოხდება ფუნქციების გადაფარვა?

პასუხი ცალსახაა - შეიარაღებული ძალების არსებობა იმ პრინციპებზე, რომლის რეალიზაციაც საქართველოში ახლა უმაღლესი ხელისუფლების მიერ ხორციელდება, ჩვენი საზღვარგარეთელი პარტნიორებისა და სტრატეგიული მოკავშირეების გამოცდილების წარმატებული გამოყენებით, არათუ გამორიცხავს ძლიერი ჟანდარმერიის არსებობას, არამედ უპირობოდ მოითხოვს მის შექმნას, გაძლიერებასა და სრულყოფას.

შეიარაღებული ძალები ჩვენი სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის უმთავრესი შემადგენელია, რომელსაც კვლავაც დაეკისრება პირველადი პასუხისმგებლობა საქართველოს საშინაო საქმეებში პირდაპირი და ირიბი სამხედრო ჩარევის აღკვეთისა, იქნება ეს ომი, საომარი კონფლიქტი, შეიარაღებული აჯანყება თუ ამბოხი.

საქართველოს შეიარაღებული ძალების სტრუქტურა მობილურობისა და მოქნილობის ხარისხით, მობილიზაციის და უზრუნველყოფის ინტენსივობით, მზადყოფნის, სამხედრო მომზადების და ძლიერების პარამეტრებით ადეკვატური უნდა იყოს არა მარტო საკუთრივ საქართველოს მიმართ არსებული მუქარებისა და საფრთხეებისა, არამედ - საქართველოს სამოკავშირო და ინტერნაციონალური ფუნქციისაც. ეს უკანასკნელი პირობა ზოგჯერ განსაკუთრებულ მოთხოვნებსაც უყენებს საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობის მთელ პროცესს.

აქ შეიძლება დაისვას კითხვა - ხომ შეიძლება, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები თავისი ფორმით, შინაარსით და პოტენციალით, რესურსებით და ამოცანათა გადაწყვეტის ოპტიმიზაციით, მხოლოდ საქართველოს კონკრეტულ სახელმწიფოებრივ ამოცანებზე ყოფილიყო ორიენტირებული?

პასუხი ერთია: საქართველო, ისევე როგორც ბევრი სხვა პატარა სახელმწიფო, მის მიმართ შეიარაღებულ დაპირისპირებას, მხოლოდ სამოკავშირო სამხედრო პოლიტიკით აღუდგება, რომელიც დემოკრატიული ღირებულებებით მოცულ სახელმწიფოებთან და სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებთან ინტეგრაციაზე და მოკავშირეობაზე იქნება გათვლილი.

აღნიშნული მიზანდასახულობით მიმდინარე საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობა, ითვალისწინებს კონკრეტულ მიმართულებაზე სწრაფი რეაგირების და ოპერატიული ფუნქციის არმიის შექმნას, რომლის საშტატო რესურსი, სხვა სამხედრო ძალების და შესაბამისი რეზერვების ამოქმედების გარეშე, არ არის გათვლილი საქართველოს ტერიტორიაზე ბრძოლების არეალის გაზრდაზე და არც ხანგრძლივ დროზე, აგრეთვე - დამოუკიდებლად საომარი მოქმედებების წარმოებაზე, რაც სრულ შესაბამისობაშია სამხედრო მშენებლობის თანამედროვე კონცეპტუალურ პრინციპებთან.

უფრო მეტიც, მისი პერსპექტიული რიცხოვნობა სახელმწიფო წინაპირობებით და შეიარაღებული ძალების შერჩეული ოპტიმალური მოდელით, დამოუკიდებლად სხვა სამხედრო ძალებისაგან, არ იძლევა საომარ მდგომარეობისას არა მარტო სტრატეგიული და ოპერატიული გაშლის მრავალი სპეციფიური პირობის უზრუნველყოფას სახელმწიფოში, არამედ დიდი მასშტაბით და ინტენსივობით ვერ შეასრულებს ქვეყნის ტერიტორიული დაცვის სისტემის მიერ, სახელმწიფოს ინფრასტრუქტურის, კომუნიკაციების და ტერიტორიის მომზადებასა და დაცვას ომისა და წინასაომარ ვითარებებში.

დაკარგული ტერიტორიების პირობებში, მიუხედავად საქართველოს პოლიტიკური კურსის განსაკუთრებული მშვიდობიანი ხასიათისა, პრაქტიკულად არ გამოირიცხება არაკონტროლირებად ტერიტორიებზე შეიარაღებული ძალების მიერ, კონკრეტული ოპერაციების ჩატარების პარალელურად, "სამხედრო ადმინისტრაციის" ფორმირება, საგანგებო მდგომარეობის დამყარება და კანონშესაბამისი რეჟიმის შენარჩუნება, რაც სამხედრო მოსამსახურეთა გაზრდილ რიცხოვნობას მოითხოვს. ამასთან, მათ განსაკუთრებული ხასიათის ამოცანების გადაწყვეტა მოუწევთ, ასევე განსაკუთრებულ და სპეციფიურ გარემოში.

ამდენად, შეიარაღებული ძალების განსაკუთრებული პასუხისმგებლობისა და სამხედრო უსაფრთხოებაში პრიორიტეტული როლის მიუხედავად, მისი დღევანდელი მოდელი, სტრუქტურა, მასშტაბები და უზრუნველყოფა აუცილებლად მოითხოვს საშინაო სამხედრო ფუნქციის მატარებელი, ძლიერი და მრავალრიცხოვანი სამხედრო ძალის ფორმირებას, ამოცანათა ფართო სპექტრით და სპეციფიური მიზანდასახული ქმედებებით.

ასეთი სამხედრო ძალები ოპტიმალურად ავსებს შეიარაღებულ ძალებს რიგ ქვეყნებში და სხვადასხვა სახელწოდებით - "ნაციონალური უსაფრთხოების ჯარები", "სამხედრო ჟანდარმერია" - შედიან თვით შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში. მაგრამ ასეთი გადაწყვეტა საქართველოს საშინაო პოლიტიკის, უკონტროლო ტერიტორიების და სხვა რეალურად პროგნოზირებადი ქმედებების ხასიათებისა და მოთხოვნების მიხედვით, უპირატესობას ანიჭებს ჟანდარმერიის ფორმირებას შინაგანი ჯარისა და გვარდიის სინთეზის ბაზაზე. ყველა შემთხვევაში, ჟანდარმერიის შექმნა, რომელი ქვეყნის მოდელის მიხედვითაც არ უნდა განხორციელდეს იგი, რამოდენიმე კარდინალური მოთხოვნის დაკმაყოფილებას უნდა დაეფუძნოს, რომელთა შორის აღსანიშნავია: დისლოკაციისა და ორგანიზაციის მხრივ ტერიტორიულ-რეგიონულ პრინციპზე ფორმირება მაქსიმალური ფუნქციონალური დეცენტრალიზაციით და, ასევე, მაქსიმალური ცენტრალიზებული სახელმწიფო მართვით.

არის კიდევ მეტად სპეციფიკური მიმართულება - ჟანდარმერიის მიმართ ოპტიმალური სახელმწიფო სამხედრო-ტექნიკური პოლიტიკის განსაზღვრა და მისი რეალიზაციისათვის ქვეყნის ინტელექტუალური და საწარმო-ტექნიკური რესურსის მაქსიმალური ამოქმედება. ეს არ იქნება იოლი ამოცანა. აქ ბევრი საკითხი ნულოვან ნიშნულზეა საქართველოში, რაც იმის შედეგიც არის, რომ სახელმწიფოს სამხედრო მშენებლობა, ფაქტობრივად, არ იყო დაწყებული. ამ მხრივ მრავალი პირველხარისხოვანი მიმართულებები მოითხოვენ რეალიზებას.

უმოკლეს ვადებში, საქართველოში უნდა მოხდეს განსაზღვრა და კლასიფიკაცია ინფრასტრუქტურის და საკომუნიკაციო, სტრატეგიული და სხვა გაძლიერებული დაცვის ობიექტებისა და შეიქმნას მათი ტაქტიკურ-ტექნიკური პარამეტრების მონაცემთა ბანკი, ციფრული რუკის ბაზაზე. ასევე, აუცილებელია საქართველოს ტერიტორიის, ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების ერთიანი სამხედრო-საინჟინრო დახასიათების მონაცემთა სისტემატიზება სათანადო კლიმატო-მეტეოროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პარამეტრებით.

დაჩქარებულად უნდა დაიწყოს ჟანდარმერიის კადრების მომზადება სამხედრო-საინჟინრო დარგში, რაც აუცილებელია ინფრასტრუქტურის და კომუნიკაციების დაცვის, საომარ და საგანგებო ვითარებებში საავტომობილო, სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო გადაზიდვების სამხედრო რეჟიმზე გადაყვანისათვის და სათანადო ფუნქციონირებისთვის.

ამ მხრივ, სამხედრო-ტექნიკური პოლიტიკის მოთხოვნები სრულ შესაბამისობაშია საქართველოს შეიარაღებული ძალების ფუნქციებთან, რომელთა გადანაწილება შესაძლო საომარი მიმართულების ხასიათით, მეტწილად, საქართველოს პირობებში სამოქალაქო ინფრასტრუქტურის და მოსახლეობის გარემოში პროგნოზირდება, რაც ჟანდარმერიისა და საერთოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალების მაქსიმალურ ამოქმედებას მოითხოვს (ეფექტურობის გაზრდის წინაპირობა იქნება დღის წესრიგში მდგარი კომპლექსური რეფორმირება).

საქართველოს სამხედრო ორგანიზაციისა და სამხედრო უსაფრთხოებისადმი განსაკუთრებულმა დამოკიდებულებამ განაპირობა უმაღლესი მთავრსარდალის განცხადება იმის შესახებ, რომ ხელისუფლების უმაღლესი ეშელონის მესვეურებმა, გარკვეული ფორმით, აუცილებლად უნდა გაიაროს სამხედრო სამსახური. ამის აუცილებლობას ისიც ადასტურებს, რომ, თუ სამინისტროების, დეპარტამენტებისა და ტერიტორიული მმართველობის ხელმძღვანელები არ იქნებიან გარკვეულნი თავდაცვის სისტემაში, პროფესიონალური პოზიციებიდან არ გააცნობიერებენ სახელმწიფოს სამხედრო მშენებლობის უმთავრეს მიმართულებებს და საკუთარ როლსა და პასუხისმგებლობას ამ ეროვნულ საქმეში, მაშინ სამხედრო ძალები, საქართველოს სამხედრო ორგანიზაციის სამოქალაქო სპექტრით, არ იქნება მზად, სათანადო ვითარებებში ტერიტორიის მთლიანობის აღდგენისათვის და საქართველოს სუვერენიტეტის დაცვისათვის.

www.24hours.ge 24 B

ნაცნობი-უცნობი მანანა ჯაფარიძე

ქიამალ ალი

“თბილისში ამბობდნენ, რომ ბაქოში მანანა რძეში ბანაობს, მას საკუთარი სახლი აქვს და ერთ სიმღერაში 25 ათას დოლარს იღებს”.

ისეთი ბინძურიც არ არის შოუბიზნესი

- თქვენ ლამაზი, ჭკვიანი, ნიჭიერი და პატიოსანი ხართ. აზერბაიჯანში, ყოველგვარი ახლობლების, ფულის და გავლენის გარეშე მხოლოდ თქვენი ნიჭის ამარა, წარმატებას მიაღწიეთ. ამიტომ მე დარწმუნებული ვარ, ყველა აზერბაიჯანელ მომღერალს შორის თქვენ საუკეთესო ხართ. ყველა მათგანს თავისი მინუსი აქვს, თქვენ კი არც ერთი. ეთანხმებით თუ არა ჩემს შეფასებას?

- ყველა ქალი ლამაზია, განსაკუთრებით აქ. აზერბაიჯანში ჩამოსვლის პირველი დღიდან შევამჩნიე, როგორ უვლიან აქაური ქალები საკუთარ თავს. ისინი ლამაზები არიან, ქალაქში, ქუჩაში და სცენაზე. საკუთარ თავს ყველაზე ლამაზად არ მივიჩნევ, შესაძლებელია მე ერთ-ერთი მათგანი ვარ.

- რომ არ თქვან: აი ჩამოვიდა და ჩვენ გვაკრიტიკებსო, მგონი ამიტომ არ ხართ ბოლომდე გულწრფელი?

- არა მე ყოველთვის იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ. თუკი ოდესმე, ვინმე ჩემზე გაბრაზებულა, მხოლოდ იმიტომ, რომ მე არ ვარ რუსულენოვანი და ხანდახან არასწორად გამოვთქვამ ჩემს აზრებს. თქვენ ნიჭზე მკითხეთ. უკმაყოფილო არ ვარ, შესაძებელია, იმიტომ რომ, მე ჩემი შემოქმედებით ვცხოვრობ.

- ამბობენ, ვინც ყოველთვის სიმართლეს ამბობს, მას ბევრი მტერი ჰყავს.

- ზოგს მოსწონს ჩემი სიმართლე, ზოგს არა. ჩემი ცხოვრების პრინციპი კი სიმართლის გზით სიარულია. ტყუილი არასდროს იმალება და ყველამ ვიცით, რომ...

- იმ ქვეყნად?

- არა, მე მხედველობაში მქონდა ქართული ანდაზა, მე-40 დღეს ყველაფერს ნათელი ეფინება.

- ამბობენ, რომ შოუბიზნესი ბინძური სამყაროა. შესაძლებელია ამ სამყაროში სამართლიანი იყო?

- ჩემი მასწავლებლები ბავშვობიდან მეუბნებოდნენ, რომ შოუბიზნესში ბევრი ჭუჭყია, და მარწმუნებდნენ, რომ მე იქ გამიჭირდება. მშობლები კი პირიქით, ამბობდნენ, რომ მხოლოდ ჭუჭყი არ არის. მშობლების სიტყვები მეტად დამამახსოვრდა. შესაძლებელია აქ წარმატების მიღწევა მოკლე და მარტივი გზით არის ადვილი, მაგრამ დამიჯერეთ - ეს წარმატება მოკლევადიანია. ჩემთვის არსად და არასდროს არაფერი მოურთმევიათ, არც აქ და არც საქართველოში. და მეც ვერავის ვერაფერს ვთხოვ, თუნდაც მისთვის სიკეთე მქონდეს გაკეთებული.

- აი, ხომ ვამბობდი, თქვენ ჭკვიანი ხართ. თვქენ ალბათ, ასეთი პრინციპულობის გამო ოდნავ მძიმე ადამიანიც ხართ?

- შესაძლებელია. თუმცა, ეს სცენაზე არ იგრძნობა. სცენაზე მე ძალიან კომუნიკაბელური, გულწრფელი და სიცოცხლის მოყვარული ვარ. მე არტისტი ვარ.

- ეს თამაშია?

- თამაშზე მეტად ეს, ალბათ, ის დადებითი ენერგიაა, რომელსაც მე მაყურებლისგან ვიღებ და მათვე ვუბრუნებ. როდესაც მე ცუდად ვარ, ცუდ ხასიათზე, თუკი სცენაზე გავდივარ, ჩემს ხასიათს უკანს ვტოვებ. ეს მაყურებელმა არ უნდა იგრძნოს.

- ნათესაობაში თუ გყავდათ ვინმე მომღერალი?

- ჩვენ ოჯახში ყველა მუსიკით იყო დაკავებული. მამაჩემი დოლზე უკრავდა, დედა გიტარაზე და ფანდურზე, ძმამ კი მუსიკალური სკოლა დაამთავრა და ვიოლინოზე უკრავდა. უკვე 13 წელია, რაც ცოცხალი აღარ არის. მამა ინჟინერია, დედა ექიმი. მამაჩემი აქ ხშირად ჩამოდის. ახლა ის პენსიაზეა და ასევე ხშირად დადის სვანეთში, ჩვენ იქ ბებია-ბაბუის დატოვებული სახლი გვაქვს.

ადამიანის ხასიათს ბევრად განსაზღვრავს აღზრდა. მე ყოველთვის ვცდილობდი ადამინებისგან ყველაზე კარგი ამეღო. მადლობა ღმერთს, ჩემ გარშემო ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც სწორ რჩევას მოგცემს. შესაძლებელია მათი თანადგომით, მე არასდროს შემქმნია ადამიანებთან ურთიერთობის პრობლემა, მე ყოველთვის ვიცი რა ენაზე ვესაუბრო მათ. თუ ჭორი გაჩნდა, ასევე გაქრება. მე არ მერიდება ბოდიშის მოხდა, თუკი დამნაშავე ვარ, მაგრამ ჯერჯერობით საბოდიშოდ საქმე არ მქონია.

- როგორ უნდა გახდე ვარსკვლავი? თავდაპირველად, რა იყო ყველაზე რთული აზერბაიჯანში?

- ახლობლებთან განშორება. დასაწყისში ყველაზე მეტად ეს იგრძნობოდა. მე რთულად შევეგუე აქაურობას, შესაძლებელია იმიტომ, რომ არ მყავდა იმდენი ნაცნობი, როგორც ახლა და მე არ ვიცოდი ენა. ნელ-ნელა ყველაფერი უფრო მარტივდებოდა, ალბათ იმიტომ, რომ მე დავიწყე აქტიური მუშაობა და მოწყენის დრო აღარ მრჩებოდა.

- ასეთი სტერეოტიპი არსებობს: ესტრადის მომღერალი უნდა იყოს სულელი, ვულგარული, ილაპარაკოს ის, რაც ენაზე მოადგება, ჰქონდეს დაბერილი სექსუალური ტუჩები და გადადიოდეს ხელიდან ხელში. ამბობენ, რომ ვარსკვლავისთვის ეს საკმარისია.

- თუკი დაგეთანხმებით, არამომგებიან სიტუაციაში აღმოვჩნდები. მიუხედავად ამისა, გეტყვით, რომ ყველანაირი კარგი ყოველთვის და ყველგან ფასდება. საესტრადო ჟანრი არც ისე მარტივია, როგორც ეს ჩანს, ყველაფერი მუშაობაზეა დამოკიდებული. სელინ დიონი, მაიკლ ჯეკსონი თუ უიტნი ჰიუსტონი არ მიეკუთვნებიან იმ კატეგორიას, რომელიც თქვენ ახსენეთ. ისინი უაღრესად პროფესიონალები არიან. ვფიქრობ, ეს აზერბაიჯანსაც ეხება. და კიდევ, თქვენ ახსენეთ ბრიყვები და ვულგარულები. მაგრამ, ყველა შემსრულებელს აუცილებლად ჰყავს საკუთარი მსმენელი.

- ვიღაცას უთქვამს, ყველა ქართველი თავს ისე გრძნობს, როგორც სცენაზე.

ჩვენთან ყველა ოჯახში მღერიან. აზერბაიჯანშიც დღესასწაულებზე მღერიან ოჯახებში. ძალიან ცოტა თავისუფალი დრო მაქვს, სტუმრად თითქმის ვერ დავდივარ, მაგრამ ვამჩნევ აზერბაიჯანელი ხალხის სიმღერისადმი სიყვარულს. ჩემთან სცენაზე ყოველთვის გამოდიან ბავშვები და მშვენივრად ასრულებენ ჩემს სიმღერებს.

აზერბაიჯანული ფულისა და ქართული ეჭვიანობის შესახებ

- თქვენ სახელი გაუთქვით აზერბაიჯანს საზღვარგარეთ. საქართველო არ ეჭვიანობს ამის გამო აზერბაიჯანზე?

- ქართულ შოუბიზნესში ჩემი პედაგოგები ჩემზე ნაწყენები არიან. მათთვის მოულოდნელი იყო ჩემი გადაწყვეტილება, აზერბაიჯანში მუშაობასთან დაკავშირებით, მე ხომ საქართველოს ამომავალი ვარსკვლავი მიწოდეს, გავიმარჯვე ყველა ჰიტ-პარადში ნანი ბრეგვაძის რეპერტუარიდან სიმღერით “ვინ გაიგებს ჩემს სიმღერას”. მაგრამ, მოხდა ისე, რომ აქ ორი დღით ჩამოვედი გასტროლზე და შემომთავაზეს ბაქოში დარჩენა. დედამ დაურეკა მამას, ისიც ჩამოვიდა და მე დავრჩი აზერბაიჯანში.

საქართველოში პრობლემებს მიქმნიან, ჩემ შესახებ ვრცელდება ჭორები, თითქოს მე აქ ვიღაც მეხმარება, რომ აქ გავთხოვდი. ამბობდნენ, რომ მანანა ბაქოში რძეში ბანაობს, რომ აქვს საკუთარი სახლი და ერთ სიმღერაში 25 ათას ამერიკულ დოლარს უხდიან. ეს იყო 4-5 წლის წინათ. ახლა ყველა ქართული გაზეთი მხარს მიჭერს. შეიძლება იმიტომ, რომ აქ მე და დედა ღირსეულად ვცხოვრობთ. ჩვენთან ჩამოდის ხოლმე მამა. ჩვენ ყოველთვის მოკრძალებულები ვიყავით და ვიცოდით საკუთარი ადგილი ცხოვრებაში.

- რძეში თქვენ არ ბანაობთ და თითო სიმღერაში 25 ათას ამერიკულ დოლარს არ იღებთ. სინამდვილეში რა თანხას გიხდიან?

- ყოველ შემთხვევაში, თითო სიმღერაში არა. გამოსვლაში სხვადასხვა თანხას ვიღებ, მეგობრებისთვის ეს თანხა სხვაა, სხვებისთვის – სხვა....

- მაინც რამდენია, 5 ათასი მანათი ხომ არაა...

- გულით ნამღერი შეუფასებელია.

ევროპისკენ

- თქვენ აზერბაიჯანის ესტრადის ექსპერტად შეიძლება მიგიჩნიოთ. რა გზას ადგას ის? საით მიილტვის – ევროპისკენ, თურქეთისკენ, რუსეთისკენ თუ ადგილზე დგას?

- ადგილზე არ დგას. მომღერალთა ნაწილი ევროპისკენ ილტვის, სხვები – უფრო შორს. მაგრამ, მგონია, რომ აზერბაიჯანელი მომღერლების უმრავლესობა მაინც თურქეთისკენ არის ორიენტირებული. შეიძლება იმიტომ, რომ აზერბაიჯანისთვის და საქართველოსთვის თურქეთი ახლოსაა. ამას წინათ თბილისში მქონდა გადაღებები და შევნიშნე, იქაურ დისკოთეკებსა და სატელევიზიო არხებზე თურქულ მუსიკას უშვებენ. მე ხომ ვცდილობ გავიდე ევროპაში, გავარღვიო ევროპული შოუბიზნესი. ეს რთულია, მეგობრები მეხმარებიან.

- ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ევროპისკენ თქვენ არაფერი გამოგდით. რამდენიმეჯერ იყავით იქ, თქვენზე საუბრობდნენ, რომ გინდოდათ იქ ცხოვრება და მუშაობა. მაგრამ, დაბრუნდით. რა პრობლემებია იქ?

- ეს ყველაფერი ჭორებია. როდესაც პირველად წავედი იქ, მეკითხებოდნენ, სამუდამოდ წახვედიო? აქედან დაიწყო ყველაფერი. მე არ ვაპირებ სამუდამოდ წავიდე აქედან სადმე, იმიტომ, რომ ვერ წარმომიდგენია, როგორ დავტოვებ საქართველოს და აზერბაიჯანს. მაგრამ, თუკი ევროპული ჩარტების ათეულებში ვიქნები, ამას რა სჯობს. შეიძლება იქ დავრჩე ერთი წლით, ერთი თვით, ერთი კვირით, მნიშვნელოვანი არ აქვს რა პერიოდი იქნება.

ახლა მივიდვარ ავსტრიაში, სადაც გრანდიოზულ კონცერტზე მსოფლიო ვარსკვლავები გამოდიან. ჩემმა პროდიუსერმა ჰარი კუპერმა (იგი ავსტრიიდანაა) დამირეკა და შემპირდა, რომ ორგანიზებას უწევს ქულიოსთან ჩემს დუეტს. გაიმართება ჩვენი პრესკონფერენცია. ეს ჩემი პროდიუსერის გეგმებია.

ავსტრიაში გამოვიდა ჩემი ინგლისურენოვანი ალბომი Orientation, სადაც შესულია 13 სიმღერა, ისინი ავსტრიელებმა და გერმანელებმა საგანგებოდ ჩემთვის შექმნეს. ავსტრიიდან დავბრუნდები და მოგვიანებით ისევ წავალ – რადიო და სატელევიზიო გამოსვლებისთვის, ეს იქნება ახალი ალბომის “პრომოუშენი”. შეთანხმების მიხედვით, ალბომი მხოლოდ ავსტრიაში გავრცელდება. სიმღერები ამ ალბომიდან უკვე ჟღერს ავსტრიისა და გერმანიის რადიოების ეთერში. თუკი ჩვენი დისკების მწარმოებლები დაინტერესდებიან, გაყიდონ ალბომი აქაც, შეუძლიათ ავსტრიელებს შეუთანხმდნენ ლიცენზიაზე.

ჩაიწერეთ: ყუ-ფუ-ნი-ა

- რეპერტუარში გაქვთ სიმღერა, რომელიც დაწერილია აზერბაიჯანელი კლასიკოსის უიზერ ჰაჯიბეკოვის “არშინ მალ ალან”-ის საფუძველზე. თუ არ ვიცით, რომ ის ჰაჯიბეკოვისაა, შეიძლევბა ვიფიქროთ, რომ სიმღერა დღევანდელია. როგორ ჯდება ჩვენი კლასიკური მუსიკა თანამედროვე სტილში?

- ფილმი “არშინ მალ ალანი” ბევრჯერ ვნახე. ამ კომპოზიციის იდეა ჩემი იყო და შევთავაზე ჩემს არანჟირების ოსტატს. მინდოდა მემღერა რაიმე ამ ფილმიდან. ჩვენი კლასიკოსების კომპოზიციებს ფრთხილად უნდა მოვეპყრათ, რადგან საკმაოდ იოლია ყველაზე იდეალურის გაფუჭება. თუკი პროფესიონალურად მიუდგები საქმეს, შესაძლებელია ორიგინალზე ცუდი არ გამოგივიდეს. ასევე იყო შაფიგი ახუნდოვას სიმღერაზე “ინთიზარი”. ეს სიმღერა ჩემამდეც იმღერეს. მე არ მინდოდა გამეფუჭებინა ის, მინდოდა უკეთესად შემესრულებინა. მთავარია პასუხისმგებლობით მოეკიდო საყვარელ საქმეს.

- დიდხანს მუშაობდით სიმღერაზე ფილმიდან “არშინ მალ ალან”?

- არანჟირება თბილისში გააკეთა ჩემმა მეგობარმა ოთარ ყუფუნიამ. ჩაიწერეთ: ყუ-ფუ-ნი-ა. თორემ, ერთ გაზეთში დაწერეს კუკუნიანი, თითქოს ის სომეხი იყო, თუმცა ოთარი მეგრელია. მე მას ფილმი გავუგზავნე, მან მოუსმინა და დაიწყო მუშაობა. შემდეგ გამომიგზავნა ვარიანტები, მე ვუზიარებდი ტელეფონით ჩემს მოსაზრებებს. მოკლედ, არ ვჩქარობდით. სიტყვები ამ სიმღერაში სხვაა, კინოფილმის ვარიანტისგან განსხვავებული. ტექსტი სარვარ შახბეილმა დაწერა.

- რატომ არ გამოიყენეთ ორიგინალის სიტყვები?

- შეიძლება იმიტომ, რომ არანჟირებამ კომპოზიციის სტილი შეცვალა, თუმცა კი, ფუნდამენტი იგივე დარჩა. ჩემი პირველი ალბომი, რომელიც აქ 1999 წელს ჩავწერე, სწორედ კლასიკისგან შედგება – გერშვინი, რახმანინოვი... სულ ხუთი ალბომი მაქვს.

დედიკოს გოგო

- თქვენ იმ რანგს მიაღწიეთ, რომ თავად ირჩევთ კომპოზიტორს.

- უფრო სწორად, მე ვირჩევ სიმღერას. ლამაზი, მელოდიური სიმღერა დედაჩემსაც უნდა მოეწონოს. მის გემოვნებას ძალიან ვენდობი. თუ მეტყვის: “მანანა, ჩაწერე ეს სიმღერა”, დარწმუნებული ვარ, რომ იგი მსმენელსაც მოეწონება.

- აი, ახლა დედა გვერდით ზის და ყურადღებით გვისმენს. შემდეგ რომ გითხრათ, “მანანა, ეს არ უნდა გეთქვა..” – არ არის დრო, “დიდი გოგო” გახდე?

- მე პასუხისმგებლიანი და “დიდი გოგო” ვარ ბავშვობიდან. მე ყველაფერს თვითონ ვაკეთებდი, ცამეტი წლის ასაკში ვმღეროდი და ფულს გამოვიმუშავებდი თბილისის “ელიტ-კლუბში”. ჩემთან ერთად იქ მმობლებიც დადიოდნენ და სახლში ერთად ვბრუნდებოდით. მშობლებმა მასწავლეს ცხოვრება, რომ უნდა ვიშრომო და მხოლოდ საკუთარი თავის იმედი მქონდეს. როცა ვუყურებდი, როგორ აშენებდნენ ისინი ოჯახს, არ შემეძლო უსაქმურად ვყოფილიყავი და მათთვის ფული მეთხოვა. “ელიტ-კლუბში” დიდი გამოცდილება მივიღე, გავხდი სოლო-მომღერალი, ჩამოვაყალიბე რეპერტუარი, რომელიც სელინ დიონის, ბარბრა სტრეიზანდის, დაიანა როსის სიმღერებისგან შედგებოდა. ვასრულებდი ჯაზს, 60-იანი წლების სიმღერებს, ბლუზს, ზოგჯერ – კლასიკასაც.

- ნანი ბრეგვაძე უკვე საკმაოდ ასაკიანია, მაგრამ ჯერ კიდევ მღერის. თქვენც აპირებთ მისი გზა გაიმეოროთ, თუ ასაკთან ერთად სხვა საქმით დაკავდებით?

- არასოდეს მიცდია, ვინმესთვის მიმებაძა. როცა ამბობდნენ, რომ მანანა მღერის, როგორც ბარბრა – ცოტა ვბრაზდებოდი. თუ სიმშვიდე იქნება, ჩემს ახლობლებს არაფერი... სიმღერას მაინც არ შევწყვეტ. მე თუ გავჩუმდები, ეს ჩემს მშობლებს სიხარულს არ მოუტანს. შეიძლება მომავალში მე სხვა ბიზნესიც მქონდეს. ახლა კლუბი მაქვს, მომავალში, შეიძლება სხვა რამ გავაკეთო. ღერთმა იცის... მე ძალიან ცრუმორწმუნე ვარ და წინასწარ არ მიყვარს ლაპარაკი. შევეცდები გავაფართოვო ჩემი ასპარეზი.

- როგორ ისვენებთ – მდიდრულ რესტორანში კარაოკეს მღერიხართ, თუ სხვა რამ გაინტერესებთ?

- ძნელი წარმოსადგენია – მეგობრები, თავისუფალი დრო. მეგობრები ბევრი მყავს, მაგრამ თავისუფალი დრო რომ მქონდეს, სახლში დავრჩებოდი. ხმაურისგან თავი შორს მიჭირავს. სიამოვნებით წავიდოდი პიკნიკზე, ქალქგარეთ, ზღვაზე, მთაში, მაგრამ ახლობლებთან, ნათესავებთან და მეგობრებთან ერთად. უცხოეთში როცა ვარ, ოპერაში დავდივარ ხოლმე, საყვარელი შემსრულებლების კონცერტზე ან საინტერესო რეჟისორის ფილმზე. ოღონდ არა დისკოთეკა და რესტორანი და, მით უმეტეს, კარაოკე, გეხვეწებით... მე ვფიქრობ ყველაზე კარგი დასვენება საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაა.

“600”

- თქვენ თავდაჯერებული ადამიანი ხართ. არ ოცნებობთ, რომ იყიდოთ “ლექსუსი”, გადაიღოთ კლიპი საკუთარი ვილის ფონზე, ძვირფასი ჭაღის ქვეშ; იქნებ ამის საშუალება არ გაქვთ?

- მადლობა ღმერთს, მაქვს. შეიძლება ჩემი მამული არცთუ გრანდიოზულია. მაგრამ საკმარისია. მალე ბაქოში მოკრძალებული საკუთარი სახლი ან ბინა მექნება. ქალაქის ცენტრში ცხოვრება არ მინდა. მინდა ჩემს სახლში სიმშვიდე, სიწყნარე და სიმყუდროვე იყოს. მანქანა როცა გყავს, გადაადგილება ადვილია. ჯერჯერობით “მერსედეს 600” მაქვს, შავი ფერის, თქვენ გინახავთ ის კლიპში მატარებელთან ერთად. ზოგჯერ თავადვე ვმართავ.

- ეს ის მანქანა იყო, მძღოლის გარეშე?

- დიახ, ჩემთვის ჩემი “მერსედესი” ყველაფერს გააკეთებს.

- თქვენს გარდერობში არის “ოტ კუტიურის” ტანისამოსი?

- კარგად ჩაცმა მიყვარს. რაც მთავარია, გემოვნებით. ექსკლუზიურ ტანსაცმელს ძვირადღირებულ მაღაზიებში ვყიდულობ. თავიდან ასე არ იყო. თუმცა, ცუდად არასოდეს მეცვა. მშობლები თბილისშიც მანებივრებდნენ, ისე მაცმევდნენ, როგორც მილიონერის ქალიშვილს. რაც მთავარია, ბავშვობიდან მასწავლიდნენ, რომ ყოველთვის ლამაზად უნდა ვყოფილიყავი გამოწყობილი. საერთოდ პუნქტუალური ვარ, მაგრამ თუ 10-15 წუთით დამაგვიანდა, ეს ნიშნავს, რომ თავს ვუვლიდი. იმისთვის რომ არსად დამაგვიანდეს, დილით ადრე ვდგები. მახსოვს, ბავშვობაში ერთხელ დედა ცუდად გახდა, მამამ წამლისთვის გამაგზავნა, აფთიაქი იქვე ორ ნაბიჯში იყო, მაგრამ მე მაინც ჯერ ტანსაცმლის გამოსაცვლელად გავიქეცი – იმდენად, მიჩვეული ვიყავი საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვას.

- დღეს ბევრი ქართველი შემსრულებელი ცხოვრობს და მუშაობს მოსკოვში: ნანი ბრეგვაძე, თამრიკო გვერდწითელი, სოსო პავლიაშვილი... იქ დიდი ფული ტრიალებს. თქვენ რატომ არჩიეთ ბაქო?

- რადგან ბედმა აქ მომიყვანა, ასეთი ყოფილა ღმერთის ნება. არასოდეს არაფერს ვინანებ...

აფიშა

თეატრი

თეატრალური სარდაფი
ჟან-ჟაკ ბრიკერი
"ინსტინქტი"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ.

თავისუფალი თეატრი
ალექსანდრე ვამპილოვი
"მონადირე"
რეჟისორი: გ. შალუტაშვილი
დას: 19:00 სთ.

კინოთეატრები

“რუსთაველი”
“ვან ჰელსინგი”
დას: 12:00; 14:30; 22:00 სთ.

ამირანი
“ბინძური ცეკვები 2”
დას: 14:00; 20:00; 22:00 სთ.

“სიცოცხლის გამტაცებელი”
დას: 16:00; 18:00 სთ.

კინოს სახლი
“ნათება”
რეჟისორი: სტენლი კუბრიკი
(მთავარ როლში: ჯეკ ნიკოლსონი)
დას: 18:00 სთ.

გამოფენა

ძველი გალერეა
იაკობ ჯუღაშვილის ნამუშევრების გამოფენა

"ორიენტი"
ფოტოგამოფენა "მე და ჩემი თანატოლი"

სალონი "ხელოვნება"
XIX-XX საუკუნეების ქართველ და უცხოელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა

ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
გამოფენა “საფეხურები”

"ქარვასლა"
ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა

ბავშვთა ნახატების გალერეა
სკოლა-კოპლექს "სადუნთან" არსებული შემოქმედებითი სახელოსნოს მოსწავლეთა საქველმოქმედო გამოფენა

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

ხუთშაბათს, 13 მაისს, 17 საათზე ზაალ სამადაშვილის ციკლი “ახალი განზომილება”. სტუმარი – შოთა იათაშვილი; თემა – “80-იანელების, 90-იანელებისა და 2000-იანელების მწერლები და პოეტები (მსგავსებები და განსხვავებები)”.

პარასკევს, 14 მაისს, 17 საათზე ზაზა შათირიშვილის წიგნის - “გალაკტიონის პოეტიკა და რიტორიკა” (გამომცემლობა “ლოგოს-პრესი”) პრეზენტაცია.

მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50

23 მაისს და 6 ივნისს

გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი “რუსული კლუბი” წარმოადგენს მუსიკალურ წარმოდგენას ალექსანდრე პუშკინის ზღაპრების მოტივებზე - Превращения в Лукоморье

დამდგმელი რეჟისორები: ინგა გარუჩავა და პეტრე ხოტიანოვსკი
კომპოზიტორი თენგიზ ჯაიანი.
დას: 13:00; 15:00 სთ.

მოკლედ

დავირისპირება ზუგდიდის სახელმწიფო თეატრში

ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო მუნიციპალური დრამატული თეატრის დასი თეატრის დირექტორს, ენვერ ფაჟავასა და რეჟისორ კანდიდ გურგენიძეს კორუფციასა და არაპროფესიონალიზმში ადანაშაულებენ. თეტრის მსახიობთა განცხადებით, ორივე მათგანი თანამდებობას ბოროტად იყენებს. კერძოდ, ფაჟავამ და გურგენიძემ თეატრიდან ყველა ის მსახიობი გაათავისუფლა, რომლებმაც მათი არაპროფესიონალიზმის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა. გარდა ამისა, დირექტორმა და რეჟისორმა 2000-2003 წლებში სხვადასხვა ორგანიზაციებიდან გადმორიცხული თანხები მიითვისა. ამის გამო თეატრის შენობა დღემდე ავარიულ მდგომარეობაშია.

თეატრის დასი ხელისუფლებისაგან დახმარებას ითხოვს. მათი განცხადებით, მრავალ დანაშაულებრივ ქმედებებში ეჭვმიტანილმა ენვერ ფაჟავამ და კანდიდ გურგენიძემ კანონის წინაშე უნდა აგონ პასუხი. ***მედია-ნიუსი***

მეცნიერები კავკასიელთა კულტურულ პერსპექტივებზე

ყაბარდო-ბალყარეთის ქალაქ ნალჩიკში გაიხსნა საერთაშორისო მეცნიერულ-პრაქტიკული კონფერენცია “კავკასია ახალი ათასწლეულის დასაწყისში - კულტურის პარადიგმები”.

კონფერენციაში, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტში მიმდინარეობს, მონაწილეობენ ადგილობრივი, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის, საქართველოსა და აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოების პროფესორ-მასწავლებლები.

ორდღიანი შეხვედრების ფარგლებში მონაწილეები განიხილავენ XXI საუკუნის კავკასიის ხალხთა კულტურულ პერსპექტივებს, მოდერნიზაციის პროცესებში ეროვნულ უმცირესობათა ენისა და ნაციონალური თვითმყოფადობის შენარჩუნების საკითხებს. გარდა ამისა, იმსჯელებენ აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტისას ინტელიგენციის როლის შესახებაც.

როგორც მასპინძელი ინსტიტუტის რექტორმა ფაუდ ეფენდიევმა კონფერენციის გახსნისას განაცხადა, მსგავსი ღონისძიებები ხელს შეუწყობს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებს შორის ახალი კონტაქტების დამყარებასა და განვითარებას, რათა კავკასიის რეგიონში შენარჩუნდეს ნაციონალური კულტურები. ***მედია-ნიუსი***

კანის კინოფესტივალის დღიურები

ნესტან ნიჟარაძე
საქ. კორ. კანიდან

დაცვა ფესტივალსაც სჭირდება

ჩვენი სპონსორები რომ არა, კანის 57-ე კინოფესტივალი ისე გაიხსნებოდა და ისე დაიხურებოდა, რომ რეპორტაჟების ეს ციკლი ვერ მომზადდებოდა, ხოლო “24 საათის” სპეციალური კორესპონდენტი ვერ მოხვდებოდა იმ 4 ათასი ჟურნალისტის რიცხვში, რომლებიც 2004 წლის ფესტივალზე არიან აკრედიტირებულები. ასე რომ, პირველად ქართული პრესის ისტორიაში, ისევე როგორც ფესტივალის ისტორიაში, ქართული მედია ოფიციალურად არის წარმოდგენილი კანის კინოფესტივალზე.

12 მაისს კანის 57-ე საერთაშორისო კინოფესტივალი გახსნილად გამოცხადდა. საფესტივალო სასახლის წითელ ხალიჩაზე კინოვარსკვლავების ტრადიციული ასვლა და გახსნის ოფიციალური ცერემონიალი ესპანელი რეჟისორის პედრო ალმოდოვარის ფილმის “ცუდი აღზრდის” ჩვენებით დასრულდა. იმის გათვალისწინებით, რომ მთელი ისტორიის მანძილზე ესპანურ ფილმს პირველად ხვდა წილად ფესტივალის ოფიციალური გახსნის პატივი, ალმოდოვარი ისევე როგორც მისი ფილმი, ფავორიტებად არიან აღიარებული. ფილმის ჩვენებამ ტრიუმფით ჩაიარა ესპანეთში და არანაკლები ტრიუმფის მოლოდინში დაიგეგმა მისი პრემიერა საფრანგეთშიც.

ისევე როგორც ყოველ წელს, ამჯერადაც კანი კინოსამყაროს ყველაზე პრესტიჟული წარმომადგენლების ყველაზე პრესტიჟული თავშეყრის ადგილად იქცა. სწორედ აქ, კანში, თორმეტი დღის განმავლობაში, ისინი, ვინც თავიანთი ფილმების წყალობით თანამედროვე მსოფლიოს კუმირები ხდებიან, წარადგენენ ფილმებს; ისინი, ვინც ამ კუმირების შექმნას უწყობენ ხელს (კინომწარმოებლები), დატკბებიან მრავალმილიონიანი ინვესტიციების შედეგებით და ახალ პროექტებს დაგეგმავენ; ისინი კი, ვის გარეშეც კუმირები ვერ იარსებებდნენ (ანუ მაყურებელი და კინომოყვარულები), ფესტივალის დატვირთული და მრავალფეროვანი პროგრამის ციებ-ცხელებაში ჩაებმებიან.

კანის ფესტივალი ტრადიციულად ის ადგილიც არის, სადაც იქმნება ახალი კუმირები და ვარსკვლავები და ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ძველები არ დაივიწყონ. ფესტივალის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მისია ისიც არის, რომ თანამედროვე კინორეალობის პირობებში ერთგვარი კონკურენცია გაუწიოს ამერიკული კინოს ჰეგემონიას, რომლის გავლენაც ესოდენ მკვეთრად აისახა ევროპული კინემატოგრაფის ბედზე. ფესტივალის ორგანიზატორები და მონაწილეები მიიჩნევენ, რომ წელიწადში ერთხელ, სწორედ კანის ფესტივალის მეშვეობით სამყაროს უნდა გაიხსენოს, რომ კინემატოგრაფს, როგორც თავისუფალი აზრის და სიტყვის ორიგინალური გამოხატვის საშუალების არსებობას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვეობისთვის. ხოლო ფესტივალის მნიშვნელობის ხაზგასასმელად იმასაც ამბობენ, რომ თანამედროვე კინოს და მისი ტრადიციების გაგრძელებას სჭირდება კანიც და მისი ფესტივალიც. რთულია, ამ აზრს არ დაეთანხმო.

■ ■ ■

კანის ფესტივალის პროგრამა რამდენიმე ნაწილისგან შედგება. საკონკურსო და კონკურსგარეშე ფილმების ჩვენების გარდა ტრადიციულად იმართება კრიტიკის საერთაშორისო კვირეული, ახალგაზრდა და ევროპაში ნაკლებად ცნობილი რეჟისორების ნამუშევრების და მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსი, ისევე როგორც სპეციალურად შერჩეული იმ ფილმების ჩვენება, რომლებიც კონკურსში “ერთგვარი მზერა” არიან გაერთიანებული. ასე რომ, ფესტივალის ესოდენ გადატვირთული პროგრამა სიამოვნების გარდა, ჟურნალისტებს, კრიტიკოსებს, კინოსამყაროს პროფესიონალებს თუ უბრალოდ კინომოყვარულებს მუშაობის საკმაოდ დაძაბულ რეჟიმსაც უქმნის. თუმცა, ტრადიციისამებრ, ჯერ კიდევ ფესტივალის დაწყებამდე ვლინდება იმ ფავორიტების სახელები, რომელთა ფილმებიც ფესტივალის ყურადღების ცენტრში ექცევა და რომლებიც საბოლოო ჯამში დაჯილდოებულთა სიაშიც აღმოჩნდებიან.

2003 წლის ფესტივალის პროგრამის სისუსტემ, რომელიც კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა, ორგანიზატორებს თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებისკენ უბიძგა და წინასწარი პროგნოზებით წლევანდელი ფესტივალი საინტერესო ავტორების გამოვლენის, ახალი ვარსკვლავების აღმოჩენის და კინემატოგრაფის უკვე აღიარებული მეტრების ფილმების ჩვენების ნიშნით უნდა წარიმართოს. პედრო ალმოდოვარის “ცუდი აღზრდა”, კვენტინ ტარანტინოს “მოკალი ბილი: ნაწილი მეორე”, ჟან-ლუკ გოდარის “ჩვენი მუსიკა”, ემირ კუსტურიცას “ცხოვრება საოცრებაა”, ირანელი რეჟისორის აბას კიაროსტამის ორი ფილმი, ძმები კოენების “ქალისმკვლელები”, მაიკელ მურის დოკუმენტური ფილმი “ფარენგეიტი 911”, ოლივიე ასაიას Clean, ვოლფგანგ პეტერსენის “ტროა” ტომ ჰენკსის მონაწილეობით და მრავალი სხვა – აი, იმ ფილმების არასრული ჩამონათვალი, რომელთა ჩვენებაც კანის 57-ე კინოფესტივალის საკონკურსო თუ კონკურსგარეშე პროგრამით არის გათვალისწინებული. წლევანდელი ფესტივალი არ ღალატობს ტრადიციას და მნიშვნელოვან ადგილს უთმობს აზიელი რეჟისორების ფილმების ჩვენებას. მათ შორის არის კორეელი ჰონგ სანგსუს “ქალი მამაკაცის მომავალია”, ჩინელი ვონგ კარ-ვაის “2046”, ტაილანდელი აპიშატპონგ ვერასეტაკულის “ტროპიკული დავადება”, იაპონელი კორეედა ჰიროკაზუს “არავინ იცის” და სხვა. აზიური ფილმების სიმრავლემ და, რაც მთავარია, ორიგინალურობამ კანის ფესტივალის კრიტიკოსებს იმის შესაძლებლობაც მისცა (ჯერ კიდევ საკონკურსო ჩვენებამდე), რომ თანამედროვე კინოს ახალ კონტინენტად სწორედ აზია მოენათლათ.

კანის წლევანდელ ფესტივალზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვნად და საინტერესოდ არის წარმოდგენილი ამერიკული კინოც - მაშინ, როდესაც შარშანდელი ფესტივალის პროგრამაში ამერიკული კინოპროდუქციის მონაწილეობაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ერაყის საკითხთან დაკავშირებით ამერიკასა და საფრანგეთს შორის პოლიტიკური ურთიერთობების დაძაბვამ. თუმცა, წელს კანში ამ არცთუ ისე შორეულ წარსულს და მასთან დაკავშირებულ არასასიამოვნო გაუგებრობას აღარავინ იხსენებს. მით უმეტეს, რომ წლევანდელი ფესტივალის ჟიურის პრეზიდენტობა ფესტივალის ორგანიზატორებმა კვენტინ ტარანტინოს შეასთავაზეს, ხოლო მისი ფილმი “მოკალი ბილი: ნაწილი მეორე” ფესტივალის ერთპიროვნულ ფავორიტად არის აღიარებული. ათწლიანი ინტერვალის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც 1994 წელს მისი ფილმი Pulp Fiction ოქროს პალმით დაჯილდოვდა, ტარანტინო პირველად დაბრუნდა კანის ფესტივალზე. **“ჟიურის პრეზიდენტობა ჩემთვის დიდი პატივია, - ამბობს ტარანტინო, - გარდა ამისა, ფილმი, რომელზედაც დიდი ხნის მანძილზე ვმუშაობდი, ნაჩვენები იქნება საკონკურსო პროგრამაში. და მერე... კანის ფესტივალი ის ადგილია, სადაც ყველა ჩემი ოცნება ასრულდა. თავიდან ვოცნებობდი, რომ გრძელმეტრაჟიანი ფილმი მეჩვენებინა. მერე ვოცნებობდი, რომ ოქროს პალმა მომეპოვებინა. ესეც ამიხდა. და ბოლოს ვოცნებობდი, რომ ფესტივალის ჟიურის პრეზიდენტი გავმხდარიყავი. როგორც ხედავთ, ეს ოცნებაც ამისრულდა. მეტი რა ვისურვო?”** ხოლო როდესაც კრუაზეტზე სასტუმრო “კარლტონიდან” გამოსულ ტარანტინოს მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლები და ჟურნალისტები აღფრთოვანებით მიმართავენ Hello, Mister President (გამარჯობა, ბატონო პრეზიდენტო), იგი ვერც აღფრთოვანებას და ვერც სიხარულს ფარავს. მის უკანასკნელ ფილმთან “მოკალი ბილი: ნაწილი მეორე” დაკავშირებულ აჟიოტაჟს და ევროპული პრემიერის მოლოდინს რაც შეეხება, ფესტივალის კულისებში იმასაც კი ამბობენ, რომ ფილმის ავტორი და ჟიურის პრეზიდენტი ერთი და იგივე პიროვნება რომ არ იყოს, ფილმი ერთპიროვნული ლიდერი იქნებოდა 57-ე ფესტივალის “ოქროს პალმის” მოპოვებისთვის მებრძოლ ფილმ-კანდიდატებს შორის. თუმცა, გამარჯვებულების გამოვლენაზე ჯერ, ალბათ, ძალიან ადრეა საუბარი, რადგან კანის საერთაშორისო ფესტივალი მხოლოდ გუშინ საღამოს გაიხსნა და წინ კიდევ საფესტივალო მუშაობის 12 დაძაბული დღეა.

ფარჯიანის ტილოები და რეპროდუქციები

თეონა ჯაფარიძე

გამოფენაზე

მედეა ხარებავასთვის ფოტო

როდის იზრდება ფასები მხატვრის ტილოებზე? – როცა ის პოპულარული ხდება. ნამდვილი პოპულარობა კი, როგორც წესი, გარდაცვალების შემდეგ მოდის. ამიტომაა რთული, იყო ნამდვილი მხატვარი და არა, მაგალითად, შოუბიზნესის პოპ-ვარსკვლავი, ანდა ამ უკანასკნელის მსგავსი მხატვარი. თუმცა, პოპულარულობა მხოლოდ ტილოებზე ფასების ზრდით არ გამოიხატება, ამისთვის სხვა აუცილებელი დეტალებიცაა საჭირო, პირველ რიგში კი - ნიჭი და თვითმყოფადობა.

ირაკლი ფარჯიანის სახელმა და ნამუშევრებმა გარდაცვალების შემდეგ (ჯერ მხოლოდ 13 წელი გავიდა) თბილისური გალერეებისა და კერძო კოლექციონერების “წყნარი” ცხოვრება გამოაღვიძა, გაჩნდა და გავრცელდა მისი ნამუშევრების კოპიოებიც კი; კოპიოები, როგორც წესი, უღიმღამოდ გამოიყურება. “ძალიან ძნელია, გააკეთო ნაღდი ფარჯიანი”, – ერთხმად აღნიშნავენ დღეს ხელოვნებათმცოდნეები. მაგრამ, ამ კოპიოებმა ირაკლი ფარჯიანი კიდევ უფრო გაახვია ლეგენდარულ საბურველში.

არადა, მხატვარი უხმაუროდ გარდაიცვალა - თბილისის ომის დროს, “მხატვრის სახლი” რომ იწვოდა, სწორედ მაშინ. უკიდურესად გაჭირვებულს თან წაჰყვა გერმანიაში დარჩენილი საუკეთესო ნამუშევრების ჯავრი. ბიოგრაფიის ეს მხარეც მის ლეგენდარულობაზე მეტყველებს. მისი გარდაცვალების შემდეგ გერმანიიდან ნამუშევრებიც ჩამოიტენეს და დღეს სწორედ მისი გერმანიის პერიოდის ტილოები ითვლება საუკეთესოდ. ხელოვნებათმცოდნე და მისი უახლოესი მეგობარი ნინო ღაღანიძე გუშინ შარდენზე, “ბაიას გალერეაში” გახსნილ მის პერსონალურ გამოფენაზე ასე იხსენებდა გერმანიის პერიოდს: “მახსოვს, მწერდა, - ახლ მასალაში ვმუშაობ. ეს მასალა აკრილი იყო. საერთოდ, ფაქიზად ეპყრობოდა საღებავის ფაქტურასა და მის შესაძლებლობებს”.

“ბაიას გალერეაში” უამრავი დამთვალიერებელი და, თითქმის, ყველა თაობის მხატვარი თუ კერძო კოლექციონერი მივიდა. მათი საუბრებიდან კი ასეთი ფრაზები ისმოდა: “პირველად რომ ვნახე მის მიერ ხელით გადაწერილი და დასურათებული სახარება, გავოგნდი. იმ პერიოდში ასეთი რამ საერთოდ არ ხდებოდა”; ან კიდევ: “ხანდახან თავადაც ამზადებდა საღებავებს”; “მისი გარდაცვალების ამბავი, მახსოვს, კიევში ვიყავი, რომ გავიგე - ამერიკის ხმის რუსულმა ბიურომ გადმოსცა”.

მაისის ბოლოს თბილისური გალერეები გამოცოცხლდებიან ხოლმე: 22 მაისს მხატვრის დაბადების დღეა და, როგორც წესი, თითქმის, ყველა გალერეაში ფარჯიანის გამოფენა ეწყობა. “ბაიას გალერეაში” წელს სულ რჩეული ტილოები გამოიფინა კერძო კოლექციებიდან.

კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც, არ ვიცი, როგორ შევაფასო; მხატვრის პოპულარობის კიდევ ერთი შტრიხი ვუწოდო, თუ - გალერისტის მიერ სწორად გადადგმული ნაბიჯი; ალბათ - ორივე ერთად. “ბაიას გალერეამ” ფარჯიანის მოყვარულებს მისი ტილოების კარგად შესრულებული რეპროდუქციებიც შესთავაზა. დღეს მხატვრის ტილოებზე ფასი 1000-იდან 5000 დოლარამდე მერყეობს (თბილისური არტ-ბაზრისათვის, თანაც თანამედროვე მხატვრისათვის, ეს სოლიდური ფასია) 20- ლარიანი რეპროდუქცია კი შარდენის ქუჩაზე გუშინ ბევრს ეკავა ხელში.

ცნობილ ხარების სცენებზე, ნატურმორტებსა და პეიზაჟებზე კი არაფერს ვიტყვი – ჯობს, ორიგინალები თავად ნახოთ “ბაიას გალერეაში”.

თუ რეალობა მოსაწყენია

თეა პაიჭაძე

დრო, "ეპოქის სული", - აუცილებლად, ადგილი, სადაც ქმნი, თავისი ტრადიციებით, გარემო პირობები, პიროვნული თვისებები და მრავალი სხვა მიზეზი გავლენას ახდენს ხელოვნების ნაწარმოების რაგვარობაზე. ამიტომ ვამბობთ, რომ ხელოვნება ყოფიერების სარკეა, რომ მასში ცხადად ირეკლება არსებული რეალობა. XX საუკუნემ, ხელოვნების ასახვის უმთავრეს საგანს და ალბათ, მისი წარმოშობის მთავარ, თუ არა - ერთადერთ მიზეზს, რელიგიას რომ "დააღწია" თავი, წარმოუდგენლად გაამდიდრა ხელოვნების ნაწარმოებთა თემატიკა. გამოსახვის საშუალებებიც მნიშვნელოვნად გამრავალფეროვნდა. ძირითადად, სწორედ გამოსახულების გადმოცემის ეს ახალი ხერხები, საშუალებები განსაზღვრავს სტილებს, მიმდინარეობებს. ხშირად რეალობას, - "შინაარსისთვის" - ობიექტურად არსებულ საგნებს ან მოვლენებს, "ფორმისთვის" კი - შესრულების რეალისტურ ან ნატურალისტურ მანერას, ერთდროულად გაურბის თანამედროვე შემოქმედი და ეძებს, მოუსვენრად, სულ უფრო ახალს, სულ უფრო განსხვავებულს, ხელოვანთა სულ უფრო ვიწრო ჯგუფისთვის საერთოს, ან, სულაც, მხოლოდ მისთვის, ერთისთვის დამახასიათებელ ხერხს, მანერას. მაგრამ ამავე, XX საუკუნეში, გაჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც არარეალურის, ირეალურის თუ ზერეალურის გადმოცემა მაქსიმალურად რეალისტური ხერხებით ინებეს და თავს სიურეალისტები (ზერეალისტები) უწოდეს. მისი ყველაზე ცნობილი (ამ ეპითეტს იგი ძალინაც იცოტავებდა), ყველაზე კაშკაშა წარმომადგენელი სალვადორ დალი იმდენად არაორდინალური, ექსცენტრული პიროვნება იყო და ყურადღებას არა მხოლოდ შემოქმედებით, არამედ საქციელითაც იპყრობდა, მრავალთათვის გახდა ამ მიმდინარეობასთან ასოცირებული ლამის ერთადერთი მხატვარი. მაგრამ ის, რაც სიურეალისტებს ამოძრავებდა, ის, რაც იყო მათი მიზანი, მისი ერთ-ერთი ფუძემდებლის, ბრეტონის სიტყვებით რომ ვთქვათ, "მოაქციოს აბსოლუტურ რეალობაში, ზერეალობაში (სიურეალიზმში) წინააღმდეგობრივი, ურთიერთგამომრიცხავი სამყარო სიზმრებისა, ოცნებისა და, მეორეს მხრივ, რეალობისა," დღესაც აღელვებს ზოგიერთ შემოქმედს.

ამ დღეებში გალერეა "კოპალამ" ქართველი სიურეალისტი მხატვრის რამაზ რაზმაძის პერსონალურ გამოფენას დაუთმო თავისი მყუდრო და ორიგინალური სივრცე. აქ შეგიძლიათ იხილოთ ზეთში თუ აკვარელით, გუაშით თუ ტუშით შესრულებული, ზომით საკმაოდ დიდი თუ მომცრო, რეალისტური მანერით, მოდელირების, პროპორციების, პერსპექტივის კანონების დაცვით შექმნილი ტილოები, საიდანაც ნაცნობ ადგილებში - ძირითადად ეს ძველი თბილისის ქუჩებია - ან თუნდაც უცნობ, მაგრამ ძალიან დამაჯერებელ გარემოში სრულიად მოულოდნელად შემოჭრილი, მხატვრის ფანტაზიით შობილი უცნაური არსებები იმზირებიან. სურათები მნახველში სხვადასხვა ემოციას იწვევს და დამოკიდებულებაც მათდამი, მათი შეფასებაც დამთვარიელებლების მხრიდან განსხვავებულია, მაგრამ უჩვეულოსთან შეხების შეგრძნებას ისინი ყოველ მათგანში ბადებს და თუნდაც გაუხსნელი (ან - თავისებურად ახსნილი), მაგრამ საიდუმლოსთან ზიარების უცნაურ სიამოვნებასაც ანიჭებს. აქ იხილავ იმას, რაც რეალურ ცხოვრებაში არ შეგხვედრია, მაგრამ ისე დამაჯერებლად მორგებულს ნაცნობ გარემოსთან, მისი რეალურობაც შეიძლება ირწმუნო. "ერთხელ ძველ თბილისში, ვერცხლის ქუჩაზე დავხეტიალობდი," - ჰყვება მხატვარი "- ძველი, დაზიანებული სახლის ფანჯარასთან გავჩერდი, ლამაზი ორნამენტებით შემკული, რკინის ძველებულრი გისოსი რომ ჰქონდა სანახევროდ მიკრული. მის აქეთ-იქით, ჩამოცვენილი ნალესობით დახატული, მართლაც თითქოს საგანგებოდ დახატული ყინულოვანი მწვერვალები ცხადად დავინახე." "მირაჟი," ასე ჰქვია სურათს, რომელზეც ეს ფანჯარა ფოტოგრაფიული სიზუსტითაა მოცემული, მის გარშემო, კედელზე დიდებული მწვერვალები მოჩანს, თოვლით დაფარული, ღრუბლებში გახვეული, ბათქაშშეყრილ კედელთან კი მთასვლელები შეჩერებულან, წერაქვებით, წრიაპებით... სრული აღჭურვილობით. თუ მხატვარმა შენიშნა კედელზე მთაგრეხილები, მერე ისე დახატა, რომ იქ მათ არსებობაში ჩვენც დაგვაჯერა, ალპინისტებს ხომ მით უმეტეს სულ თვალწინ ედგებათ! სად მთავრდება რეალობა და იწყება არარეალური? მხოლოდ წარმოსახვა მიუშვი ნებაზე, კარი (პატარა სარკმელი მაინც) გაუღე ფანტაზიას და შეიძლება დაინახო კიდეც, მგონი სწორედ შენი სახლის კიბესთან ჩამომჯდარი დაღლილი მარტორქა ("იძულებითი ემიგრაცია"), ან - როგორ გამოეზრდება კბილები დიდ, წითელ, მწიფე, გემრიელ ნაყოფს და თავად ჩაგკბეჭს ("განხეთქილების ვაშლი").

ზოგისთვის ერთია მისაღები, სხვათათვის - მეორე. გემოვნებაზე არ დაობენ. მაგრამ უთუოდ საინტერესოა, რომ ქართულ ART-სივრცეში

იქმნება ასეთი ნამუშევრებიც. მით უმეტეს, რამაზ რაზმაძე, ალბათ, ერთადერთია საქართველოში და ერთერთი იმ, პრინციპში, მცირერიცხოვან, თუ გავითვალისწინებთ მასშტაბებს, მხატვართაგან მთელს მსოფლიოში სიურეალისტურ ნამუშევრებს რომ ქმნის. საინტერესოა, რა განაპირობებს დღეს, რომ გასაოცარი სისწრაფით ცვლადი "იზმების" ეპოქაში, აკადემიური ნახატის უგულვებელყოფის პირობებში და გამოსახვის სულ უფრო ახალ-ახალი და უცნაურ-უჩვეულო საშუალებების ძიების ბუმის დროს ქმნიდე ასე? რამაზი ამბობს, რომ ბავშვობიდან ძალიან მოსწონდა რეალიზმი და გულმოდგინედ დაეუფლა ფერწერის რეალისტურ ტექნიკას, მაგრამ დროთა განმავლობაში შიშველი რეალიზმი მოსაწყენი გამხდარა მისთვის. მდიდარი წარმოსახვის, ხილვების, სიზმრების და ქვეცნობიერში მიძინებული მისი მეორე (თუ - ნამდვილი?) "მეს" განთავისუფლება მისთვის აუცილებელი გახდა. ასე დასახლდნენ საყვარელ და ბავშვობიდან შეთვისებულ რეალისტური მანერით დაწერილ სურათებში გამოგონილი, თუ სხვა, მხოლოდ მისთვის ცნობილ რეალობაში არსებული პერსონაჟები. კომპოზიციები თემატურად განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ მათ მაინც აერთიანებს განწყობა, ძირითადად მშვიდი, რამდენადმე სევდიანი; სიჩუმის, გარინდებულობის და, რაც მთავარია, საიდუმლოს განცდა; ფერადოვანი გამა, რომელშიც მოცისფრო და მოყვითალო-ჩალისფერი ტონები ჭარბობს; საღამოს, თუ მსუბუქად ღრუბლიანი დღის შეგრძნება და სითბო, დასაკარგად განწირული საყვარელი "ძველისადმი" რომ გაგიჩნდება ადამიანს.

რამაზ რაზმაძე

რამაზ რაზმაძის ფერწერის რეალისტურ ტექნიკას, მაგრამ დროთა განმავლობაში შიშველი რეალიზმი მოსაწყენი გამხდარა მისთვის. მდიდარი წარმოსახვის, ხილვების, სიზმრების და ქვეცნობიერში მიძინებული მისი მეორე (თუ - ნამდვილი?) "მეს" განთავისუფლება მისთვის აუცილებელი გახდა. ასე დასახლდნენ საყვარელ და ბავშვობიდან შეთვისებულ რეალისტური მანერით დაწერილ სურათებში გამოგონილი, თუ სხვა, მხოლოდ მისთვის ცნობილ რეალობაში არსებული პერსონაჟები. კომპოზიციები თემატურად განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ მათ მაინც აერთიანებს განწყობა, ძირითადად მშვიდი, რამდენადმე სევდიანი; სიჩუმის, გარინდებულობის და, რაც მთავარია, საიდუმლოს განცდა; ფერადოვანი გამა, რომელშიც მოცისფრო და მოყვითალო-ჩალისფერი ტონები ჭარბობს; საღამოს, თუ მსუბუქად ღრუბლიანი დღის შეგრძნება და სითბო, დასაკარგად განწირული საყვარელი "ძველისადმი" რომ გაგიჩნდება ადამიანს.

რამაზ რაზმაძეს, გარდა იმისა, რომ იგი მისდევს მიმდინარეობას, რომელიც საქართველოში, თავისი პირვანდელი სახით, პრაქტიკულად არ გავრცელებულა, კიდევ ერთი რამ გამოარჩევს სხვა ქართველი მხატვრებისგან: ერთმნიშვნელოვნად იგია ყველაზე უხვად და სრულად წარმოდგენილი ინტერნეტ-სივრცეში. ტექნიკა, სტილი შეგიძლია ძველიც მოგწონდეს, მაგრამ თანამედროვე რეალობა მნახველამდე შენი ნაღვაწის მიტანის ახლებურ, თანაც გაცილებით სწრაფ და იოლ ხერხებს გვთავაზობს, რომელსაც, სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ქართველ შემოქმედთა ერთობ მცირე ნაწილი მიმართავს. ცხადია, როცა საქმე ხელოვნების ნაწარმოებს შეეხება, ორიგინალის ხილვით მიღებული შთაბეჭდილება სრულიად შეუცვლელია. უბრალოდ, სხვაგვარად შეუძლებელია მასი ჯეროვნად აღქმა და შეფასება. მაგრამ ახლა ჩვენ ინფორმაციის გავრცელების ეფექტურობაზე ვსაუბრობთ, "ფრომოუშენზე", რომლის გარეშეც დღეს აღარაფერი ხდება არც ერთ სფეროში. რამაზი, შეიძლება ითქვას, ამგვარი საქმიანობის ავანგარდშია. უბრალოდ, მაგალითად, Yahoo-ს საძიებელში რამაზის სახელი და გვარი რომ აკრიფო, 90-მდე საიტის მისამართს "ამოგიგდებთ." საკუთარი ვებ-გვერდების და ქართული ინტერნეტ-გალერეის გარდა, მისი ნამუშევრების ხილვა მრავალი სხვადასხვა online გამოფენის ვირტუალურ ექსპონატებს შორისაც არის შესაძლებელი. ერთ-ერთი ასეთი ყველაზე დიდი მოცულობის ვებ-გვერდის, რომელზეც 6300-მდე მხატვრის დაახლოებით 50 ათასი ნამუშევარია ერთდროულად "დაკიდებული," საუკეთესო ათეულში შევიდა რამაზის ერთ-ერთი ახალი ქმნილება. ასეთი ვირტუალური გამოფენები საშუალებას იძლევა რეალურ დროში გაეცნო სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე პარალელურ პროცესებს, თვითონ მხატვრებსაც, გაუზიარო მათ აზრები, შეხედულებები, შთაბეჭდილებები; გვერდის მნახველთაგანაც მოისმინო შეფასება, კომენტარები; მიიღო მიწვევები სხვადასხვა გამოფენაზე; ბოლოს, გაყიდო შენი ნამუშევარი. ინტერნეტ სივრცეში ასე ფართოდ წარმოჩენის დამსახურებაა, რომ რამაზ რაზმაძეს მონაწილეობა აქვს მიღებული დიდ ბრიტანეთში, კანადაში, აშშ-ში გამართულ ვერნისაჟებზე, მისი ნამუშევრები კი მრავალი ქვეყნის კერძო კოლექციაში ინახება.

ასეთი შედეგები მოაქვს ვირტუალურ რეალობაში მოხვედრილ *სიუ*-რეალობას.

ასეთი, სხვადასხვა, მრავალი "რეალობით" ცხოვრობს და ძალიან ნაყოფიერად მოღვაწეობს თბილისში პროფესიით - არამხატვარი მხატვარი, რომლისთვისაც "უბრალო" რეალობა ძალიან მოსაწყენია.

რასელ მალიფანტი - თანამედროვე ბალეტის შუბერტი

რასელ მალიფანტი

თეორია

პარქტიკა

ნათია ვადაჭკორია

ბრიტანეთის საბჭოს 70 წლის იუბილესთან და ევროკავშირის გაფართოების თარიღთან დაკავშირებით, ბრიტანეთის საბჭომ საქართველოში თბილისელ მაყურებელს კიდევ ერთი საჩუქარი უძღვნა. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს ორი დღის განმავლობაში დიდი ბრიტანეთიდან თანამედროვე ბალეტი სტუმრობდა.

ქორეოგრაფ რასელ მალიფანტის კომპანია 1996 წელს დაარსდა და ხუთი მოცეკვავისგან შედგება. ანა უილიამსი, ფლორა ბურდეროი, მარი გუდო, მიქელ დე ჟონგი და მაიკლ პომერო ბრიტანელმა ქორეოგრაფმა თავის კომპანიაში 4 You Opera Ballet-დან წამოიყვანა. ახლა რაც შეეხება თბილისის წარმოდგენას, რომელიც დადგმულია Festival de Danse de Cannes, Dance Umbrella და 4 aban-თვის.

სპექტაკლის დასაწყისში, სოლო ბახის მუსიკაზე თავად რასელ მალიფანტმა იცეკვა, მას შემდეგ ანა უილიამსის სოლო მოჰყვა ენდი ქოუთონის მუსიკაზე, ხოლო წარმოდგენა მოცეკვავეთა კვინტეტმა კომპოზიტორ მუკულის აღმოსავლურ მოტივებზე შესრულებულმა ცეკვამ დაასრულა.

სიმართლე რომ გითხრათ, საკმაოდ მრავალი ქორეოგრაფის მიერ დადგმული სხვადასხვა ტიპის თანამედროვე ცეკვა მინახავს და არცთუ ურიგო, ამჯერად ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თავად რასელ მალიფანტზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომელიც ისე ფლობს საკუთარ სხეულს, რომ გეგონება რაიმეს გამოსახატად სხვა არც არაფერია საჭიროო, ანა უილიამსის სოლო მაიკლ ჰალსის განათებით, იმპროვიზაციებით, ფილიგრანული და დახვეწილი მოძრაობებით ნამდვილ სრულყოფილებას წარმოადგენდა და წარმოდგენის ბოლო აკორდი - მუკულის აღმოსავლურ მუსიკაზე მოცეკვავეთა კვინტეტი ტაილანდური აკრობატიკისა და იოგის ელემენტებით, წყვილთა მოძრაობის ასეთი უბადლო სინქრონიზაციით ნამდვილად დიდ იშვიათობას წარმოადგენს. ალბათ ამაზეა ნათქვამი - სხეულისა და სულის ერთობლიობაო. გაზეთ Observer-ის თქმით - "სხვა ქორეოგრაფებს ალბათ მხოლოდ შეუძლიათ იოცნებონ ასეთ მოძრაობებზე", Daily Telegraph-ის შედარებით კი, - "მალიფანტი ალბათ თანამედროვე ბალეტის შუბერტია".

გთავაზობთ საუბარს თანამედროვე ბალეტის შუბერტთან, რომელიც განუწყვეტლივ გაოცებას იწვევს და საკმაოდ დინჯი მოსაუბრეა.

- ათი წლის ასაკში ფოლკლორული ცეკვებით დავინტერესდი, უკრაინული ცეკვის ელემენტებს ვსწავლობდი, მოკლედ ცეკვამ გამიტაცა. 14 წლისამ პირველად ვნახე ნურიევის რუსული ბალეტი, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და გადავწყვიტე ლონდონის სამეფო ბალეტის აკადემიაში გამეგრძელებინა სწავლა. მისი დამთავრების შემდეგ, "დანს ედვანსის" კომპანიაში შვიდი წელი ვცეკვავდი. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ექვსმა მოცეკვავემ განვიზრახეთ დაგვეტოვებინა კომპანია და თავად ჩამოგვეყალიბებინა დასი. ქორეოგრაფად ლოიდ ნიუსონის მოწვევა გვინდოდა, რომელიც ცნობილი DV8-ს ხელმძღვანელია. ფიზიკური თეატრისა და საბალეტო დასის ქორეოგრაფი ნიუსონი იშვიათად თანხმდება სხვა კომპანიებთან თანამშრომლობაზე და ამიტომაც, მასთან მოლაპარაკებების დროს, ლოიდმა ჩათვალა, რომ ჩვენ მივიდოდით მასთან სათანამშრომლოდ, რაც შემდეგ ასეც მოხდა. ნიუსონმა მაჩვენა თავისი დადგმების ვიდეოჩანაწერები, ნამუშევრები, რამაც გადამადგმევინა ასეთი ნაბიჯი. უნდა გითხრათ, რომ საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა კლასიკური ბალეტიდან ფიზიკურ თეატრში გადართვა. კარგა ხანი დამჭირდა, რომ კლასიკური ბალეტის მანერები მომეშორებინა და თანამედროვე ცეკვებზე გადავრთულიყავი.

- როგორც ქორეოგრაფი და მოცეკვავე, როგორ თვლით, კლასიკა უფრო რთული შესასრულებელია თუ ის, რასაც თქვენ ქმნით?

- შედარება ძალიან ძნელია. მთავარია, ქორეოგრაფმა კარგი ნამუშევარი შექმნას. ისევე, როგორც მნიშვნელობა არა აქვს კარგი ნახატი აკვარელში თუ ზეთის საღებავში იქნება დახატული. თავად ტექნიკა და მოძრაობები ყველგან რთულია. კარგი ნამუშევრის შექმნას ბევრი ენერგია და შრომა სჭირდება. თბილისის წარმოდგენაზე მუშაობას სამი თვე დასჭირდა.

- რა დადგმები აქვს რასელ მალიფანტის კომპანიას?

- საკმაოდ ბევრი დადგმა განვახორციელეთ: "შიტკი", "თხევადი რეფლექსი", "კრიტიკული მასა", "ორი", 2002 წელს ჟურნალ Time Out-ის ჯილდო მივიღეთ საუკეთესო ერთობლივი პროექტისთვის Sheer და მაყურებლის სიმპათიის პრიზი festival de la Nouvella Danse-ზე მონრეალში.

- თქვენს დადგმებში გამოყენებულია იოგას ელემენტები, საიდან წარმოიშვა იოგასადმი ლტოლვა?

- 1994 წლიდან იოგათი ვარ დაინტერესებული, რაც შეეხება დადგმებს, სადაც იოგას ელემენტები სჭარბობს, ორივე თვალსაზრისით - სულიერად და ფიზიკურადაც გამართლებულია. ძალიან მსიამოვნებს ბუნებრიობა, იოგა მეხმარება სხეულთან ენის მოძებნაში, სხეულის ბოლომდე გამოყენებაში. ძალიან ძნელია სიტყვებით ახსნა ის მოძრაობები, რომლებიც სცენაზეა, მაგრამ ეს არის პირდაპირი კავშირი ადამიანებთან. აღმოსავლური მოძრაობები მარტივი კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალებაა. აღმოსავლური მუსიკაც საინტერესოდ ჯდება თანამედროვე ბალეტში.

- თქვენ ლიონის ოპერასთან ქორეოგრაფად თანამშრომლობთ, მოცეკვავეებიც ამავე ოპერის დასიდან წამოიყვანეთ. რას იტყვით ფრანგულ ბალეტზე?

- ლიონის ოპერაში ამჟამადაც ვარ მიწვეული ახალი დადგმის განსახორციელებლად. თანამედროვე ბალეტი საფრანგეთში დიდად განვითარებულია, ჩვენი კომპანიის გასტროლების უდიდესი ნაწილიც საფრანგეთზე მოდის.

P.S. რასელ მალიფანტის დასს თბილისის შემდეგ მაყურებელი მოსკოვში, სანკტ პეტერბურგში, ერევანში, ბაქოში, ალმა-ათაში, ლონდონსა და ვენეციის ბიენალეზე იხილავს.

დღეს 13 მაისია!

ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდი გამარჯვება 23 წლის წინათ მოხდა

TV-სპორტი

ხუთშაბათი. 13 მაისი

НТВ + ФУТБОЛ
07:00 NBA TV. დღიური
07:30 NBA TV. კონფერენციის ნახევარფინალი. მე-4 თამაში. პირდაპირი ტრანსლაცია
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 "ფეხბურთის მსახური". იური მოროზოვის იუბილე
13:30 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. "სან-პაულუ" (ბრაზილია) – "როსარიო სენტრალი" (არგენტინა). საპასუხო მატჩი
15:15 რუსეთის თასი. ნახევარფინალი. "შინიკი" – "ტერეკი". საპასუხო მატჩი
17:00 თავისუფალი დარტყმა
17:15 "პოსტსკრიპტუმი"
17:45 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი – ინგლისის ჩემპიონატი. "ბირმინჰემი" - "ლივერპული"
19:30 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
20:00 რუსეთის ჩემპიონატი. ნახევარფინალი. "კრილია სოვეტოვ" – "ტორპედო მეტალურგი". საპასუხო მატჩი. შესვენებისას (20:45) – თავისუფალი დარტყმა
21:55 "FUTBOL MUNDIAL"
22:25 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 საუიკენდო მატჩების ანონსი
22:35 "ფეხბურთის მსახური". იური მოროზოვის იუბილე
22:50 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. "სან-პაულუ" (ბრაზილია) – "როსარიო სენტრალი" (არგენტინა). საპასუხო მატჩი. შესვენებისას (23:40) – თავისუფალი დარტყმა
00:45 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

НТВ + СПОРТ
11:00, 14:00, 17:10, 20:00, 22:30 პრესცენტრი
10:20, 22:45 "ოლიმპის შვილები"
11:25, 14:15 "ფორმულის ჰარმონია"
11:45 "Power week - NHL-ის კვირა"
12:15 ჩოგბურთი. "Masters Series" ჰამბურგში
14:40 სპორტული ცეკვები. "სიყვარულის ცეკვები". საგაზაფხულო გრან-პრი
15:45 მსოფლიო თასი ტყვიით სროლაში
16:15 ბრძოლა წესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship"
17:25 კარატე. ევროპის ჩემპიონატი. დღე მესამე
19:00 "ათენის გზაზე"
20:15 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
20:45 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
21:15 "მოტოვებული კვირა"
22:00 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
22:50 სახვალიო ტელეპროგრამა
23:00 ბრძოლა წესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship"
00:00 ბოულინგი. PBA Tour რინოში, აშშ

EUROSPORT
13:00 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი ესპანეთში
14:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
14:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი იუნიორთა შორის საფრანგეთში
16:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი იტალიაში
17:30 ჩოგბურთი. საჩოგბურთო ისტორიები
17:45 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი ესპანეთში
18:30 ველორბოლები. იტალიის ტური
20:30 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი ესპანეთში
22:30 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი ესპანეთში
23:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა

ფეხბურთი

მოლდოვური რევანში

მიხეილ აბაიშვილი

"დინამომ" "თბილისს" კი მოუგო, მაგრამ "შერიფის" წინააღმდეგ ვერაფერს გახდა

გუშინ კიევში დაიწყო ვალერი ლობანოვსკის მემორიალი ფეხბურთში, რომელშიც კიევის "დინამოსთან", ტირასპოლის "შერიფთან" და რიგის "სკონტოსთან" ერთად თბილისის "დინამოც" მონაწილეობს. ეს ოთხთა ტურნირი მსგავსი ტიპის ასპარეზობების შესაბამისი რეგლამენტით იმართება. გუშინ ჩატარდა ნახევარფინალები, რომელშიც ჩვენს "დინამოს" "შერიფი", ხოლო კიევისას "სკონტო" დაუპირისპირდა. ხვალ გაიმართება მატჩი მესამე ადგილისთვის და ფინალი.

წლეულს თბილისის "დინამო" და "შერიფი" უკვე შეხვდნენ ერთმანეთს. ეს მოსკოვში, დსთ-ს ქვეყნების თანამეგობრობის თასის ნახევარფინალში მოხდა. მართალია, მაშინ ტურნირის მომავალმა ტრიუმფატორმა, "დინამომ" მინიმალური ანგარიშით, 2:1 გაიმარჯვა, მაგრამ თამაშის ხასიათის მიხედვით, საქართველოს ჩემპიონის უპირატესობა ყველა ასპექტში აშკარა იყო. იმ მატჩში დინამოელთაგან გოლები გაიტანეს ვიტალი დარასელიამ და ალექსანდრე გოგობერიშვილმა. დღეს გუნდში არც ერთი მათგანი აღარ ირიცხება. არც მოსკოვში მოგებული ტურნირის მთავარი შემოქმედი, ივო შუშაკი წვრთნის გუნდს.

სულაც არ მინდა, "დინამოს" გუშინდელი წარუმატებლობა გუნდში ბოლო დროს განხორციელებულ ცვლილებებს დავუკავშირო. ახალმა მთავარმა მწვრთნელმა, გია გეგუჩაძემ უკრაინის დედაქალაქში გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე გამართულ პრესკონფერენციაზე არ დამალა, რომ მისთვის ამ ტურნირის შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, რაც სულაც არ არის გასაკვირი. საქართველოს ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტური დარჩა, "დინამოს" კი თბილისში დაბრუნებიდან ორ დღეში პრინციპული და, ალბათ, ჩემპიონის ბედის გადამწყვეტი მატჩი ელის უშუალო კონკურენტთან, "ვიტ ჯორჯიასთან".

"შერიფთან" მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე, რომელიც "დინამომ" მინიმალური ანგარიშით, 0:1 დათმო, გეგუჩაძემ სწორედ ამ ფაქტზე გაამახვილა ყურადღება.

"დაგვიპირისპირდა საკმაოდ სიმპათიური გუნდი, რომელმაც თამაშში დიდი მონდომება ჩააქსოვა. არ იფიქროთ, თითქოს ჩვენ არ გვსურდა მოგება, თუმცა, მოწოდების სიმაღლეზე ვერ აღმოვჩნდით, რასაც ობიექტური მიზეზები აქვს. ჯერ ერთი, ახლა "დინამო" ჩამოყალიბების პროცესშია და ეს ერთორ დღეში არ ხდება. ამას გარდა, საქართველოს ჩემპიონატში გადამწყვეტი მატჩები გველის და, მართალი გითხრათ, დღევანდელ შეხვედრაში გამარჯვებაზე მეტად ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანი იყო, რომ ფეხბურთელებს ტრავმები არ მიეღოთ. სამწუხაროდ, ვერც ამისგან დავიზღვიეთ თავი", - განაცხადა "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა.

ტრავმა კი მატჩის მიწურულს კაშიამ მიიღო. როგორც "დინამოს" პრესატაშემ, ლევან სალუქვაძემ გვამცნო, მას ფეხი გადაუბრუნდა და კოჭთან შეუსივდა.

რაც შეეხება თამაშს, ქართულ-მოლდოვურმა მეორე მატჩმა უშეღავათო ბრძოლაში ჩაიარა. შეგახსენებთ, რომ მოსკოვში, ნახევარფინალური მატჩის შემდეგ, ორი გუნდის ფეხბურთელები ერთმანეთს წაეკიდნენ და საქმე ხელჩართულ დაპირისპირებამდეც კი მივიდა. "შერიფის" რამდენიმე ფეხბურთელი მაშინ გაილახა კიდეც და, როგორც ჩანს, ეს კარგად ახსოვდათ ტირასპოლელებს. ამჯერად მატჩი სპორტულ ორთაბრძოლას არ გასცდენია, თუმცა, შედეგი შეიცვალა: "შერიფმა" შეძლო რევანშის აღება. ერთადერთი გოლი 69-ე წუთზე სტანისლავ ივანოვმა მიითვალა.

"დინამომ" ასეთი შემადგენლობით დაიწყო მატჩი: გვარამაძე, სილაგაძე, კანდელაკი, გიგაური, კანკავა, რომერო, ბურდული, ხმალაძე, ახალაია, იაშვილი, მელქაძე. მეორე ტაიმში გეგუჩაძემ ერთბაშად 6 ფეხბურთელი შეცვალა და თამაშში ჩართო: შაშიაშვილი, ანჩაბაძე, დვალი, გრიგალაშვილი, კაშია, კაკალაძე. "დინამოს" ვერ დაეხმარნენ კვირკველია, ზოიძე, ნემსაძე და კარლოსი. მათ მცირე ტრავმები აწუხებთ.

ტურნირს ესწრება კახა კალაძე. იგი კიევში თანაგუნდელ ანდრეი შევჩენკოსთან ერთად ჩავიდა. მოგეხსენებათ, ლობანოვსკის უდიდესი წვლილი მიუძღვის კალაძის უმაღლესი კლასის ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში. ქართველმა ლეგიონერმა თბილისის "დინამოს" ფეხბურთელებთან ერთად ვალერი ლობანოვსკის საფლავი ყვავილებით შეამკო.

გაქურდავენ თუ არა მადრიდელები „რომას„?

"რეალის" მორიგი ტრანსფერი, შესაძლოა, ორ კვირაში განხორციელდეს

აკა ტონია

"რეალს" ვალტერ სამუელი, ტოტი და ემერსონი მოუნდა

წლევანდელი სეზონი მადრიდის "რეალისთვის" უკვე დასრულდა. მართალია, ჩემპიონატის ცხრილში მეორე ადგილის შენარჩუნებაც უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ სამეფო კლუბის ხელმძღვანელობის ძირითადი ამოცანა ახლა ზაფხულის სატრანსფერო სეზონში კარგი და საჭირო შენაძენების გაკეთებაა. "რეალი" დარწმუნდა, რომ მხოლოდ მაისურების გასაღებისთვის ვარსკვლავების ყიდვა არ გამოვა და მცველების შეძენაზე დაფიქრდა. მადრიდელთა სპორტულმა დირექტორმა ხორხე ვალდანომ განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში კლუბი ერთბაშად ოთხი ფეხბურთელის გადაბირებას გეგმავს. მათი ეს გადაწყვეტილება დღესავით ნათელია: "რეალი" ორ ან სამ დაცვითი სტილის ფეხბურთელს შეიძენს და მაინც არ იტყვის უარს ერთი ან ორი შემტევი სუპერვარსკვლავის შეძენაზე.

მართლა ოთხი იქნება თუ ნაკლები, ჯერ უცნობია, მაგრამ "რეალმა" უკვე დაასახელა იმ სამი ფეხბურთელის ვინაობა, ვისი გადაბირებითაც არის დაინტერესებული. უფრო სწორად, "რეალმა" კი არა, გაზეთმა "მარკამ" დაასახელა, ავტორიტეტულმა ესპანურმა გამოცემამ, რომელიც მრავალი სხვა გაზეთისგან განსხვავებით, თითქმის არ ტყუის და ჭორებს არ ავრცელებს.

მაშ ასე, "მარკამ" გაავრცელა ინფორმაცია, რომ "რეალს" გადაწყვეტილი აქვს იტალიური "რომას" ფეხბურთელების: არგენტინელი მცველის, ვალტერ სამუელის და საყრდენი ნახევარმცველის, ბრაზილიელი ემერსონის შეძენა. აქვეა ჩვენს მიერ ნავარაუდევი სუპერვარსკვლავიც, რომაელი ფრანჩესკო ტოტი.

სურვილი ერთია და მისი განხორციელება - მეორე. ფრანჩესკო ტოტიზე ამბობენ, რომ მას საერთოდ არ სურს "რომადან" წასვლა, ვალტერ სამუელის შეძენა აბრამოვიჩის "ჩელსის" სურს და მის სანაცვლოდ ბევრად უფრო დიდ თანხას გადაიხდის, ვიდრე ამას "რეალი" შეძლებს, ემერსონის გადაბირებით კი ტურინის "იუვენტუსია" დაინტერესებული და ამ სურვილს არც თავად ბრაზილიელი ეწინააღმდეგება.

მაშ, რა გამოვიდა? ჩვენ მიერ ზემოხსენებული ინფორმაცია მტკნარი სიცრუე იყო? არამც და არამც. ყოველივე ეს ძალიან რეალურია. დავიწყოთ ფრანჩესკო ტოტით. რომაელთა საუკეთესო ვარსკვლავმა კვლავაც გაიმეორა, რომ მშობლიური კლუბის მიტოვება არ სურს, მაგრამ ისიც დასძინა, რომ "რომას" მხოლოდ მადრიდის მიმართულებით აქცევს ზურგს. ვალტერ სამუელის "რეალში" გადასვლის საკითხი კი თითქმის გადაწყვეტილია. ფინანსურად გაჭირვებულ "რომას", ცხადია, "ჩელსის" წინადადების მიღება სურს, მაგრამ თავად ფეხბურთელი ლონდონში გადასვლას დიდად უარობს და რომაელებს ულტიმატუმიც კი წაუყენა, აუცილებლად "რეალში" უნდა გამყიდოთო. მადრიდელები 12 მილიონ ევროს იხდიან სამუელის სანაცვლოდ და, სულ უგროშოდ დარჩენას, "რომა", ალბათ, ამ თანხის აღებას ამჯობინებს. ესპანეთის ზოგიერთი საინფორმაციო წყარო იმასაც კი ამტკიცებს, რომ სამუელი უკვე ორ კვირაში, სატრანსფერო ფანჯრის გახსნის პირველივე დღეს მოირგებს "რეალის" ფორმას. შედარებით ნაკლებად სავარაუდოა ემერსონის ტრანსფერის საკითხი. ეს ფეხბურთელი უახლოეს დღეებში დაიწყებს "იუვენტუსთან" მოლაპარაკებას. ტურინელები თანახმა არიან, მის სანაცვლოდ 15 მილიონი ევრო გადაიხადონ, "რეალს" კი ამდენის გაღება არ სურს. არადა, რომაელთა დამრიგებელმა ფაბიო კაპელომ მხოლოდ იმიტომ განაცხადა ამ ფეხბურთელის გაყიდვაზე თანხმობა, რომ ემერსონის გასხვისებით "რომამ" ფინანსური პრობლემები მოაგვაროს. ცხადია, ემერსონი მას დარჩება, ვინც ყველაზე მეტს გადაიხდის. დღესდღეობით კი "რეალი" არც ისე განებივრებულია ბევრი ფულით. და აქვე გაისმის კითხვაც: მაშ, როგორ აპირებს ეს კლუბი ერთბაშად ამდენი ფეხბურთელის შეძენას? - არ არის აუცილებელი, ზემოთ ჩამოთვლილი მოთამაშეების სანაცვლოდ "რომამ" მხოლოდ ფული მიიღოს "რეალისგან". არ დაგავიწყდეთ, რომ მადრიდელები სწორედ ამ ზაფხულს აპირებენ ფერნანდო მორიენტესის გაყიდვას. სავსებით შესაძლებელია, რომ ფულს მორიენტესიც დაემატოს, მით უმეტეს, რომ "რომა" დაინტერესებულია ამ ფეხბურთელით. სამაგიეროდ არ იყიდება ბექჰემი. ამ ბოლო დროს ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, თითქოს ბექჰემის მადრიდიდან წასვლა გადაწყვეტილი საქმეა. ნურას უკაცრავად! ხორხე ვალდანომ კატეგორიულად განაცხადა, რომ ბექჰემის გაშვებაზე "რეალს" არც კი უფიქრია და მასზე ისინი დიდ იმედს ამყარებენ.

ტოტი იქნება თუ რომელიმე სხვა ვარსკვლავი, ასეთი კალიბრის ფეხბურთელი "რეალის" რიგებს ამ ზაფხულს ნამდვილად დაემატება. ამის შესახებ პრეზიდენტმა პერესმა კიდევ ერთხელ განაცხადა გუშინ, სამეფო კლუბის ახალი საწვრთნელი ბაზის მშენებლობის საზეიმო გახსნაზე.

ჰო, მართლა, სატრანსფერო ამბების გარდა, "რეალის" ცხოვრებაში სხვა ამბებიც ხდება და, გარწმუნებთ, არანაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე ფეხბურთელების ყიდვა-გაყიდვა.

მადრიდის "რეალის" საწვრთნელი ბაზა, სახელად "სუედად დეპორტივა" (სპორტის ქალაქი) შორეულ 1963 წელს აშენდა მაშინდელი პრეზიდენტის, სანტიაგო ბერნაბეუს ძალისხმევით. აღსანიშნავია, რომ დღემდე "რეალი" სწორედ ამ ბაზაზე ბინადრობდა. ბაზა დაძველდა, დღევანდელი საზომებით მეტისმეტად პატარაა და ფლორენტინო პერესმაც გადაწყვიტა, ის ახლით შეცვალოს. "სუედად დეპორტივას" მემკვიდრეს "სუედად დელ რეალ მადრიდ" ერქმევა, რაც "მადრიდის რეალის ქალაქს" ნიშნავს. ბაზა 120 ჰექტარ მიწაზე გაშენდება და მსოფლიოში საუკეთესო საწვრთნელი არენა იქნება. ეს გახლავთ ფლორენტინო პერესის ერთერთი ყველაზე გრანდიოზული პროექტი "რეალის" პრეზიდენტის პოსტზე მოსვლის შემდეგ.

მშენებლობის საზეიმო გახსნა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გუშინ შედგა. მშენებლობის ადგილზე მისულმა საპატიო სტუმრებმა ერთად ჩადეს მომავალი ბაზის პირველი აგური, რომელიც "სუედად დეპორტივას" კედლიდან იყო აღებული.

ვის მოუწევს ამ ბაზაზე ვარჯიში? - ტოტის თუ რომელიმე სხვა ვარსკვლავს?

ინფოთეკა

ფეხბურთი. ევროპარლამენტის წევრმა ოირიგ ვინმა მხარი დაუჭირა უელსის ნაკრების აპელაციას, რომელიც ცდილობს, მიაღწიოს რუსეთის ნაკრების დისკვალიფიკაციას და ევროპის ჩემპიონატზე მის ნაცვლად თვითონ გაემგზავროს. "უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ლოზანის სპორტულმა საარბიტრაჟო სასამართლომ დაუშვას დოპინგთან ბრძოლის პრეცედენტი სპორტის გუნდურ სახეობებში. რასაკვირველია, თუ სასამართლო უელსის ნაკრების აპელაციას დააკმაყოფილებს, რუსებისთვის ამის ჩაყლაპვა ძნელი იქნება, მაგრამ დოპინგის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა უნდა გაიმართოს", - განაცხადა ვინმა.

■ ■ ■

ფეხბურთი. "მანჩესტერ სიტის" მცველი მიხაელ ტარნატი სეზონის ბოლოს კლუბს დატოვებს. გერმანელი იმედოვნებდა, რომ გუნდში დარჩებოდა, მაგრამ "სიტის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ფეხბურთელს ახალი კონტრაქტი აღარ შესთავაზოს. ტარნატმა, რომელიც მანჩესტერში მიუნხენის "ბაიერნიდან" თავისუფალი ტრანსფერის სტატუსით გადავიდა, განაცხადა, რომ ინგლისში დარჩენა სურს.

■ ■ ■

ფეხბურთი. "ბოლონიის" მწვრთნელმა კარლო მაცონემ კლუბთან კონტრაქტი გააგრძელა. კლუბის პრეზიდენტმა რენატო ჩიპოლინიმ განაცხადა, რომ მაცონე კლუბში, სულ ცოტა, კიდევ ერთი წლით დარჩება. ადრე ვარაუდობდნენ, რომ მაცონე სამწვრთნელო საქმიანობას საერთოდ თავს დაანებებდა.

■ ■ ■

ფეხბურთი. "რეინჯერსის" მცველი ფრანკ დე ბური მომავალი სეზონიდან დატოვებს შოტლანდიურ კლუბს და გადაბარგდება კატარში, სადაც მას ტყუპისცალი რონალდიც შეუერთდება. "ჩემს ძმას შევპირდი, რომ კატარში მის გვერდით ვითამაშებ. შეიძლება დარჩენაც მსურდა, მაგრამ ჩვენ შევთანხმდით, შეთანხმება კი ფულზე უმტკიცესია", - განაცხადა ფრანკ დე ბურმა.

■ ■ ■

ფეხბურთი. ლა კორუნიას "დეპორტივოს" მწვრთნელმა ხავიერ ირურეტამ კლუბთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გააგრძელა. ირურეტამ გუნდი 1998 წელს ჩაიბარა და ორ სეზონში, პირველად კლუბის ისტორიაში, ესპანეთის ჩემპიონატი მოაგებინა. 2002 წელს "დეპორმა" ესპანეთის თასი მოიპოვა, წლეულს კი კლუბი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავიდა.

■ ■ ■

ფეხბურთი. ლონდონის "ჩელსის" მაცდური წინადადების მიუხედავად, მადრიდის "რეალის" მცველი რობერტო კარლოსი აპირებს, ესპანურ კლუბთან კონტრაქტი გააგრძელოს. "მე "რეალს" ყველაფერი მივეცი, რაც შემეძლო და მინდა, გუნდში კიდევ დავრჩე. მადრიდი ჩემი მეორე სახლია. მე არ მსურს "ჩელსიზე" ვილაპარაკო და ვაპირებ, "რეალთან" კონტრაქტი გავაგრძელო", - განაცხადა ბრაზილიელმა მცველმა. მადრიდული კლუბის ხელმძღვანელობა აპირებს, 31 წლის ფეხბურთელს 2-წლიანი კონტრაქტი გაუფორმოს. რობერტო კარლოსს კი იმედი აქვს, რომ კლუბთან 4-წლიან კონტრაქტს გააფორმებს.

■ ■ ■

ფეხბურთი. პორტუგალიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა უმბერტო კოელიუმ განაცხადა, რომ სკოლარის გუნდს ევროპის ჩემპიონატის მოგების არცთუ ცუდი შანსი აქვს. "მე გუნდის მჯერა და იმედი მაქვს, მას შეუძლია, ევროპის ჩემპიონატი მოიგოს. გუნდს განსაკუთრებით უნდა დაეხმაროს გულშემატკივარი, რომელიც, რა თქმა უნდა, მას დიდ მხარდაჭერას გამოუცხადებს. მიუხედავად იმისა, რომ გუნდი ამხანაგურ მატჩებში არც ისე შთამბეჭდავად გამოიყურებოდა, მან ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირი ძლიერად უნდა დაიწყოს", - განაცხადა კოელიუმ.

■ ■ ■

ოლიმპიზმი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მთავარმა ინსპექტორმა დენის ოსვალდმა, რომელმაც ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი უკანასკნელად შეამოწმა, განაცხადა, რომ ტურნირის ორგანიზატორები ოლიმპიადის დაწყებამდე ქალაქის მომზადებას მოასწრებენ. "რაღაც დროის განმავლობაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ეჭვობდა, რომ ტურნირის ორგანიზატორები ათენის მომზადებას მოასწრებდნენ. ბედნიერი ვარ, გაცნობოთ, რომ ყველა ეჭვი გაქარწყლდა", - განაცხადა ოსვალდმა.

■ ■ ■

ოლიმპიზმი. ოლიმპიადის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების აღსანიშნავად საბერძნეთში გამოუშვეს მონეტა, რომლის ღირებულება 2 ევროს უდრის. მონეტა, რომლის ტირაჟიც 50 მილიონი ეგზემპლარია, დღეს გამოვა ბრუნვაში და ევროკავშირის 12 ქვეყანაში იმოძრავებს.

■ ■ ■

კრივი. დღეს ძმები, ვიტალი და ვლადიმირ კლიჩკოები იქნებიან საპატიო სტუმრები საქველმოქმედო აქციაზე Brot gegen Not. როგორც უკრაინელი მოკრივეების ოფიციალური საიტი იუწყება, ვიტალი საქველმოქმედო აუქციონზე გაიტანს კრივის ტრუსებს, რომლითაც მან WBC-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიგო. შეგახსენებთ, რომ 24 აპრილს ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში ვიტალი კლიჩკომ კორი სანდერსი დაამარცხა.

ქალათბურთი

სერია გრძელდება

საქართველოს ჩემპიონატი. ფინალი. მეორე მატჩი

ბასკო (გათუმი) – დინამო (თბილისი) 74:83 (ანგარიში სერიაში 1:1)

ელენე ხერხეულიძის ფოტო

"დინამომ" სერიაში ანგარიში გაათანაბრა

ჰაატა თოთაძე

ნახევარფინალებიდან მოყოლებული ტრადიცია, რომლის მიხედვითაც საშინაო მატჩებს უთუოდ მასპინძლები იგებდნენ, გუშინ დაირღვა – "დინამომ", მართალია, პირობით, მაგრამ მაინც მასპინძელ "ბასკოს" მოუგო და საერთო ანგარიში გაათანაბრა.

"წინა მატჩში მრავალი შეცდომა დავუშვით, რის გამოც დავისაჯეთ და დავმარცხდით. დღეს ეს შეცდომები გამოვასწორეთ და შედეგიც საკადრისი მივიღეთ. მართალია, ჩვენს თამაშში კვლავაც არაერთი ხარვეზია, მაგრამ დღევანდელი მატჩი გაცილებით მაღალ დონეზე ჩავატარეთ და ამიტომაც მოვიგეთ დამაჯერებლად", - განაცხადა დინამოელმა აჩიკო ჟღენტმა, რომელმაც ვაკო ბეჟანიშვილთან ერთად საკუთარ ანგარიშზე 17 ქულა მიითვალა. გამარჯვებულთა შორის საუკეთესო იყო ხოშტარია (19 ქულა).

"დინამო" გუშინ, მართლაც, გაცილებით უკეთ თამაშობდა, ვიდრე გუშინწინ, სერიის პირველ მატჩში. შესაძლოა, ამას ბათუმელებმაც შეუწყვეს ხელი. მატჩის შემდეგ არაერთხელ ითქვა, უვარჯიშებელი "ბასკო" ფიზიკურად სათანადოდ მზად არ არისო, თუმცა, ეს სრულებით არ აკნინებს თბილისელთა გამარჯვებას. თანაბარი ბრძოლა წარიმართა მხოლოდ პირველ მეოთხედში, რომელიც ჩემპიონმა ერთი ქულის სხვაობით მოიგო. დარჩენილ მეოთხედებში თბილისელები უდავო უპირატესობას ფლობდნენ, რაც, ბუნებრივია, ანგარიშზეც აისახებოდა. მეორე მეოთხედში ერთხანს სხვაობამ ანგარიშში 14 ქულას მიაღწია. დროის ამ მოანკვეთში დინამოელთა ლიდერების გარდა გამყრელიძე გამოირჩა – ახალგაზრდა კალათბურთელმა ჩინებულად ითამაშა დაცვაში, მეტოქის შეტევისას არაერთხელ მოახერხა ბურთის ჩაჭრა. საბოლოოდ დიდ შესვენებაზე "დინამო" 12-ქულიანი უპირატესობით წავიდა.

მესამე მეოთხედში ეს სხვაობა კიდევ უფრო გაიზარდა. ათწუთიანი მონაკვეთი "დინამომ" ექვსი ქულით მოიგო, რასაც მანამდე არსებული სხვაობაც დაემატა და ბოლო მეოთხედის წინ ჩემპიონი უკვე 18 ქულით იგებდა. აშკარა იყო, "ბასკო" შეხვედრის გადარჩენას ვეღარ შეძლებდა. ამას დინამოელებიც ხვდებოდნენ და, ალბათ, ამიტომაც ცოტა ნაადრევად მოეშვნენ. მართალია, მათთვის საგანგაშო არაფერი მომხდარა, მაგრამ ბათუმელებმა ბოლო მეოთხედში 23-ქულიანი ჩამორჩენა ორჯერ ათ ქულამდე შეამცირეს, მატჩი კი საბოლოოდ ცხრა ქულის სხვაობით დათმეს.

მოკლედ

როსკივი თვალებით იცნობა

გიგა გურასაშვილი

- მადლობა ღმერთს! – თქვეს და ხელები აღმართეს, – ინგლისურ ფეხბურთს სამი მოძალადით ნაკლები ეყოლებაო. "ლესტერის" მოთამაშეები პოლ დიკოვი, ფრენკ სინკლერი და კიტ გილესპი გამართლებულები არიან. ალბათ, იკითხავთ, რა დანაშაული მიუძღოდათ, ან რისთვის გაამართლესო. საქმე ისაა, რომ დიკოვს, სინკლერსა და გილესპს ესპანეთის ლაჟვარდოვან კურორტ ლა-მანგაზე ნებივრობისას სამი შავკანიანი მანდილოსნისკენ გაექცათ თვალი და მერე... მერე, როგორც ხდება ხოლმე, შემოეუპატიურათ. ასეთ დროს არაერთი ვერსია სახელდება, ოფიციალურად კი ერთადერთი ინფორმაცია ითვლება. თურმე ფეხბურთელებმა ის ქალბატონები ბარში გაიცნეს, მერე, რასაკვირველია, წაქეიფეს, მერე კი, კარგად შეზარხოშებულებმა, სასტუმროს ნომერში მიიპატიჟეს.

მერე რაც მოხდა, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. ცუდი მხოლოდ ის არის, რომ მოგვიანებით სამივე ქალბატონმა პოლიციის განყოფილებას მიმართა, ვიღაც ინგლისელებმა გაგვაუპატიურეს. თქვენს შევარდენივით თვალს ეგეთი არამზადები როგორ გამოეპარათ. ჩვენ კდემამოსილი ქალბატონები ვართ, ეგენი კი ვინ ყოფილანო!

ერთ-ერთი კდემამოსილი რუტ ლოურენცო ირწმუნებოდა, ბიზნეს-ქალბატონი ვარო. მისი ბედის გამზიარებელი მეორე ქალბატონი კი ბრძანებდა, ცხოვრებისგან სიამტკბილობის მიღება ვის არ უნდა, მაგრამ უცნობ მამაკაცებთან საქმის დაჭერას სჯობს, ისევ შოკოლადის ფილები ჩამოვასხაო. უფრო სწორად, ჩვენების მიცემისას უთქვამს, შოკოლადის ფაბრიკაში ვმუშაობ, წესიერ მშრომელ ადამიანად მიცნობენ, გადასახადებსაც თავის დროზე ვიხდი და ეს რა დამმართესო! აი, მესამის შესახებ კი ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

მაგრამ, თურმე ყველაფერი სხვაგვარად ყოფილა. თანამემამულეთა ბედით შეჭირვებულმა, ერთერთი ბრიტანული გაზეთის რეპორტიორმა გადაწყვიტა, სიმართლისთვის ფარდა აეხადა. მისმა მცდელობამ კი ის დეიდები სიმართლის წინაშეც გააშიშვლა. ეს ქალბატონები აღმოჩნდნენ ისინი, ვინც თქვენ გგონიათ - ჩვეულებრივი როსკიპები. ჭეშმარიტების ძიებაში მამაცმა ჟურნალისტმა აღმოაჩინა, რომ სამივე ქალბატონს ღამის განმავლობაში საკუთარი მომსახურებისთვის ჯენტლებისთვის 700 ფუნტი სტერლინგი მოუთხოვია, ხოლო უიკ-ენდისთვის - 10 ათასი ფუნტი, ამასთან, პროგრამის სრული დაცვით. ერთი სიტყვით, არ მოგაწყენთო, უთქვამთ. იმ ჟურნალისტის გამჭრიახობა რომ არა, "ლესტერის" მოთამაშეებს სატუსაღოში 12-წლიანი ყურყუტი ელოდათ.

"ფლეიბოის" მოწოდება აულეს

კითხულობენ, სპორტის რომელი სახეობა ითვლება ყველაზე სექსუალურად, ოღონდ სუმოს ნუ დაასახელებთო, - ესეც შემოუთვლიათ. ვიდრე ამას გაარკვევდეთ, ჩვენვე ვუპასუხებთ – რა თქმა უნდა, პლაჟის ფრენბურთი და, რა თქმა უნდა, ქალთა, ამასთან, წყვილთაო. ძნელია, არ დაეთანხმო. წარმოიდგინეთ ოქროსფერი ქვიშა, მცხუნვარე მზე და ბიკინებში გამოწყობილი კარგი აღნაგობის გარუჯული გოგონების კუნტრუში. აქედან გამომდინარე, რა გასაკვირია, რომ პლაჟის ფრენბურთელი, ადრე თუ გვიან, ყურადღების ცენტრში მოხვდება? მით უფრო, თუ ის კონტინენტის ან პლანეტის ჩემპიონია?

გერმანელმა შტეფან პოლმა ყველაფერი იგემა. მისით მოიხიბლნენ "ფლეიბოის" სარედაქციო კოლეგიის მუშაკებიც და გადაწყვიტეს, სახელოვანი სპორტსმენი 30 ათას დოლარად საკუთარ ჟურნალში გაეშიშვლებინათ. მაგრამ ფრენბურთელმა "ფლეიბოის" უარი სტკიცა: ეგ ჩემი საქმე არ არის. თავი უხერხულად უნდა ვიგრძნო. რა სასიამოვნოა, როდესაც შენი შიშველი სხეულის შეძენა, რა თქმა უნდა, თუნდაც, ფოტოს სახით, ნებისმიერ ჯიხურში იქნება შესაძლებელიო. ერთი სიტყვით, სარფიან წინადადებაზე გერმანელმა - არაო!

შტეფან პოლს კაცთა გულების დაპყრობა კვლავაც ნაცადი ხერხით სურს, თუმცა, ეს ხერხი არცთუ იოლია. პოლი ოცნებობს, ათენის ოლიმპიურ ქვიშაზე გამოადნოს "ოქრო", მანამდე კი იგივეს გაკეთებას იტალიაში, ევროპის ჩემპიონატზე აპირებს.

"შუმის" პირველობა გაუფერულდა

"შუმის" გამო რბოლები უფერული გახდა

"წითელი ბარონისა" და მისი ლიდერის, მიხაელ შუმახერის მიზეზით, ფორმულა 1 მოსაწყენ სახეობად იქცა. საბუკმეიკერო კანტორებიც უხალისოდ იღებენ ფსონებს მიხაელის მოგებაზე და ასე გრძელდება რა ხანია. ყველა დიდი პრიზი ერთმანეთს ჰგავს. გამარჯვებულის კვარცხლბეკზე შამპანურით წუწაობის პატივი მხოლოდ მიხაელს ეკუთვნის...

საგონებელში ჩავარდნილმა ბუკმეიკერებმაც, ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, გადაწყვიტეს, სამეფო რბოლები თავად გაეხადათ ოდნავ მაინც ხალისიანი და ფსონების მისაღებად სიახლეები დაენერგეს. კერძოდ, ფორმულა 1-ის გულშემატკივრებს საშუალება ეძლევათ, გადაწყვიტონ, როდის გაინაღდებს "შუმი" მსოფლიო ჩემპიონის მეშვიდე ტიტულს. და საერთოდ, შეძლებს თუ არა, რომ სეზონის ყველა რბოლა მოიგოს.

სამეფო რბოლების მხცოვან იმპრესარიოს, ბერნი ეკლსტოუნს გერმანელის გამარჯვებებზე ალერგია აქვს და მასზე საუბარში უკვე სარკაზმი ერევა. დე, ყველა რბოლა მოიგოსო. ქართულ ვარიანტში ეს დაახლოებით ასე ჟღერს: ჯანდაბას მაგის თავიო!

ოფიციოზი

სამართლიანი თამაშის წესი

ჩვენმა ახალმა ხელისუფლებამ სერიოზული რეფორმები წამოიწყო და, ცხადია, ამ პროცესებს მილმა ვერც სპორტი დარჩება. მით უმეტეს, ამ სფეროში ბევრი რამ, მართლაც, შესაცვლელია. რეფორმების გზაზე პირველი ნაბიჯი გამოდგა კულტურისა და სპორტის სტრუქტურების ერთ სამინისტროში გაერთიანება. მინისტრის მოადგილის სტატუსით სპორტში მთავარ სახელმწიფო მოხელედ დაინიშნა თამაზ თევზაძე, რომელსაც საქართველოს სპორტულ უწყებებში მუშაობისა და ევროპულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. ჩვენს სპორტში მიმდინარე და მოსალოდნელი ზოგიერთი ცვლილების თაობაზე ბატონმა თამაზმა "24 საათს" განუცხადა:

- მოგეხსენებათ, საქართველო ევროპული ორიენტაციის ქვეყანაა. ეს იმას ნიშნავს, რომ სპორტშიც ამ გზით უნდა ვიაროთ. "ევროპის სპორტის ქარტია და სპორტული ეთიკის კოდექსი" გახლავთ ის ძირითადი პოლიტიკური დოკუმენტი, რომლის პრინციპებსაც ეფუძნება სპორტის განვითარება ევროპის უმეტეს ქვეყანაში. ევროპის სპორტის ქარტია აღიარებს სპორტის სოციალური ფუნქციის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების მთავრობებს მოუწოდებს, უზრუნველყონ სპორტში ახალგაზრდობის ფართოდ ჩართვა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, როცა შესაძლებელია სპორტის თავისუფალი განვითარება, არასამთავრობო სპორტულ ორგანიზაციათა სტიმულირება, სპორტის მატერიალურ-ფინანსური ბაზის გაფართოება. სპორტის საზოგადოებრივი ფასეულობა, მართლაც, ძალიან წონადია, სპორტი ავსებს და აჯანსაღებს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას, ხელს უწყობს სოციალურ ინტეგრაციას, დემოკრატიული ღირებულებებისა და სამართლიანი თამაშის წესების დამკვიდრებას. სამწუხარო ის არის, რომ ჩვენ მეტწილად არ ვიცავთ ამ წესებს და დამატებით პრობლემებს ვაწყდებით. მაგალითად, წესდების თანახმად, სპორტულ ორგანიზაციათა მუშაობა უნდა წარიმართებოდეს ამ ორგანიზაციების ყრილობებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე. სინამდვილეში ასე არ ხდება. ამ დღეებში რამდენიმე სპორტული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობას დავესწარი და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ფედერაციათა მმართველი ორგანოები ანგარიშვალდებულად არ გრძნობენ თავს საკუთარი წევრების, ანუ ზოგადად საზოგადოების წინაშე. მეორე მხრივ, პასიურობენ თავად ამ ორგანიზაციების რიგითი წევრები. მოკლედ, ერთნი ანგარიშს არ აბარებენ, მეორენი ამ ანგარიშს არ ითხოვენ, საქმე კი არ კეთდება. ჩვენ უნდა დავძლიოთ ეს სტერეოტიპი და შევეცადოთ, ვიმოქმედოთ დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით. ზოგადად, კანონის უზენაესობა, საპარლამენტო დემოკრატია და ადამიანთა უფლებები ის ფასეულობებია, რომელსაც ცივილიზებულ ქვეყნებთან ერთად საქართველოც აღიარებს. სპორტთან მიმართებაში ეს გახლავთ სპორტულ ორგანიზაციათა წესდების უზენაესობა, არჩევნების დემოკრატიულობა და წევრთა უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობა. ჩვენს სინამდვილეში ყველა ეს პრინციპი მეტ-ნაკლებად დარღვეულია.

ამ ეტაპზე ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად მიმაჩნია სპორტის საკანონმდებლო ბაზის განახლება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა. ქართული სპორტის განვითარების საკანონმდებლო საფუძვლები თავს მოიყრის ახალ კანონპროექტში, რომელსაც, იმედია, შემოდგომაზე განსახილველად წარვუდგენთ პარლამენტს. ჩვენი ერთერთი მთავარი პრიორიტეტი იქნება მასობრივი სპორტის განვითარება. ეს იმას ნიშნავს, რომ აუცილებლად მოგვიწევს საკლუბო სისტემაზე გადასვლა. სპორტული კლუბი არის იმ პირამიდის საძირკველი, რომელზეც დაფუძნებულია ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობა და ეგრეთ წოდებული მაღალი მიღწევების სპორტი. ჩვენ მჭიდროდ ვითანამშრომლებთ არასამთავრობო სპორტულ ორგანიზაციებთან და, საჭიროების შემთხვევაში, მათთან ერთად შევქმნით კოორდინაციისა და განვითარების მექანიზმებს. ევროპული გამოცდილების შესაბამისად, კლუბები წევრიანდებიან ასოციაციებში, კავშირებში, ფედერაციებში. თავის მხრივ, სასურველია, ფედერაციებმა შექმნან კონფედერაცია, ერთგვარი წარმომადგენლობითი ინსტიტუტი, რომელიც უშუალოდ ითანამშრომლებს სახელმწიფო სტრუქტურებთან. არასამთავრობო კონფედერაცია, მასში შემავალი ორგანიზაციების მსგავსად, უნდა იყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად.

ვფიქრობთ, ქართული სპორტული საზოგადოებრიობა გაგებით მოეკიდება დღევანდელი და ხვალინდელი რეფორმების აუცილებლობას და გადმოდგამს კონკრეტულ შემხვედრ ნაბიჯებს. საქართველო დიდი სპორტული პოტენციის ქვეყანაა და ჩვენი შესაძლებლობები მაქსიმალურად უნდა ავამოქმედოთ. რეფორმის უპირველესი მიზანი სწორედ ეს გახლავთ.

მარტო პორტუგალიაში

კარს მომდგარ ევროპის ჩემპიონატზე დევიდ ბექჰემს შეუძლია, თანამეცხედრის, ვიქტორია ადამსის იმედი არ ჰქონდეს. ირკვევა, რომ "სფაის გოგოს" პირენეებზე გამგზავრება და ხასხასა საფეხბურთო მოედანზე ქმრისა და მისი კოლეგების ცქერის პერსპექტივა დიდად არ ხიბლავს. მადრიდის "რეალის" ნახევარმცველი მეუღლის შეძახილებს მხოლოდ მაშინ გაიგებს, თუ ინგლისის ნაკრები ფინალში თამაშის უფლებას მოიპოვებს. თუმცა, როგორც ბოროტი ენები ამბობენ, "ინგლისელ ლომებს" ამის იმედი ნაკლებად უნდა ჰქონდეთ. ასე რომ, ბექჰემს პორტუგალიაში ეულად ყოფნა გარანტირებული აქვს. თუმცა, ამბობენ, მეუღლისთვის ასეთი მნიშვნელოვანი ასპარეზობის წინ ვიქტორიას ამგვარი გულგრილობის მიზეზი დევიდის ამასწინანდელ ღალატში არ უნდა ეძებოთო. უბრალოდ, როგორც ვიქტორია ამბობს, ევროპის ჩემპიონატის განრიგი არაფრით არ ჯდება მისი სოლო გამოსვლებისთვის გათვალისწინებულ გრაფიკში. ეგაა და ეგო!

პირველი მობილური ტელეფონიდან დღევანდელ "მოტოროლამდე"

ანდრე კარბელაშვილი

კომპანია "მოტოროლა" 1928 წელს ძმებმა პოლ და ჯოზეფ გალვინებმა დააფუძნეს. 1930 წელს კომპანიამ დაიწყო მანქანებისთვის რადიომიმღებების გამოშვება და სწორედ ამავე წელს იღებს კომპანია "მოტოროლას" სახელწოდებას. ამ სათაურში გაერთიანებულია ორი სიტყვა - მოძრაობა და რადიო.

გადიოდა წლები და აი, 1973 წლის 3 აპრილს შედგა პირველი საუბარი მობილური ტელეფონით. ამერიკული სატელეკომუნიკაციო კომპანია "მოტოროლას" ვიცე-პრეზიდენტმა მარტინ კუპერმა აკრიფა ფირმა "ბელ ლაბორატორის" ტელეფონის ნომერი და დაუკავშირდა კოლეგას:

"ჯოელ, წარმოიდგინე, რომ მე შენ გირეკავ მსოფლიოში პირველი მობილური ტელეფონიდან. ეს ტელეფონი ხელში მიჭირავს, ხოლო მე მივდივარ ნიუ იორკის ქუჩაზე".

10 წლის შემდეგ, 1983 წელს, "მოტოროლამ" გამოუშვა პირველი კომერციული მობილური ტელეფონი Duna TAS 8000X. ტელეფონის წონა თითქმის ერთი კილოგრამი იყო და 3 500 დოლარი ღირდა.

"ირიდიუმი"

"ირიდიუმის" პროექტის შექმნა ერთ ამბავთან არის დაკავშირებული. უფრო კონკრეტულად, ერთი ქალბატონის ჭირვეულობასთან.

ერთ დღეს "მოტოროლას" წამყვანმა ინჟინერმა ბერი ბერტიჟერმა თავის მეუღლეს, მისის ბერტიჟერს შესთავაზა შვებულება ერთად გაეტარებინათ ბოგამის არქიპელაგის ერთ განცალკევებულ კუნძულზე. იქ მყუდროდ და მშვიდად გავატარებთ დღეებსო.

- რას იტყვი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ტელეფონით ვერავინ შეგვაწუხებს.

მისის ბერტიჟერმა გაკვირვებით შეხედა მეუღლეს:

- მე არ მინდა იქ წავიდეთ, სადაც მეგობრები და ნაცნობები არ დამირეკავენ და საიდანაც მე მათ ვერ დავურეკავ და ტელეფონით ვერ ვესაუბრები.

- ძალიან ჭირვეული ბრძანდებით, ძვირფასო!

- დიახ, დიახ ასეთი ვარ. აი, ისეთი ტელეფონი რომ მქონდეს, რომლითაც ამერიკის ქალაქებში დავრეკავ და სხვათა შორის ევროპის ქალაქებშიც, მაშინ მსოფლიოს ნებისმიერ კუნძულზე დავისვენებდი შენთან ერთად.

ბერი ბერტიჟერი ფანჯარასთან მივიდა და გაიხედა. ცაზე ღრუბლები ნელ-ნელა მიემართებოდნენ სადღაც დასავლეთისაკენ. უცბად იგი შეტრიალდა მეუღლისაკენ და უთხრა:

- გამოდის, რომ ტელეფონში შენმა ნათქვამმა სიტყვებმა უნდა "იმოგზაურონ" დედამიწის გარშემო, არა?

- რატომაც არა, - გაიცინა მეუღლემ.

რამდენიმე დღის შემდეგ "მოტოროლას" უფროსმა ინჟინერმა კომპანიის ხელმძღვანელებს შესთავაზა წინადადება - შექმნილიყო ახალი სისტემა სახელწოდებით "ირიდიუმი".

1987 წელს კომპანიამ დაიწყო გრანდიოზული პროექტის დამუშავება, რომლის პრაქტიკული განხორციელება დაახლოებით 5 მილიარდი დოლარი დაჯდებოდა.

■ ■ ■

1991 წელს ჩიკაგოში კომპანია "მოტოროლას" სპონსორობით ჩატარდა კონფერენცია "ტელეკომუნიკაციები მსოფლიოს თავისუფალ ბაზარზე", რომლის მუშაობაში მონაწილეობა მივიღე, როგორც მაშინ საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილემ.

კონფერენციაზე დამსწრეთა დიდი ყურადღება მიიქცია "მოტოროლას" წამყვანი სპეციალისტების გამოსვლებმა. მათ დამსწრეებს გააცნეს "ირიდიუმის" პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა მსოფლიოს ერთიანი რადიოსატელეფონო სისტემის შექმნას დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გამოყენებით. ისინი იმოძრავებდნენ ორბიტაზე 760 კილომეტრის დაცილებით დედამიწიდან. შედარებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ გეოსტაციონალური თანამგზავრების ორბიტის სიმაღლე 41 200 კილომეტრია.

"ირიდიუმის" თანამგზავრების დედამიწასთან მცირე მანძილის გამო რადიოტელეფონებს მხოლოდ 15 სანტიმეტრი სიგრძის ანტენები ექნებოდათ.

როცა აბონენტი რადიოტელეფონს ჩართავდა, კავშირი მყარდებოდა უახლეს სახმელეთო რადიოსადგურთან და შემდეგ სიგნალი მოხვდებოდა უახლოეს თანამგზავრდე და აქედან გადაეცემოდა თანამგზავრიდან შემდგომ თანამგზავრებს, სანამ არ მოხვდებოდა გამოძახებულ თანამგზავრამდე. აქედან კი აღწევდა სახმელეთო რადიოსადგურს, რომელიც გამოძახებას მიაწვდიდა უშუალოდ სატელეფონო ქსელში ჩართულ სასურველ ტელეფონს.

როცა "მოტოროლას" სპეციალისტებმა ილაპარაკეს "ირიდიუმის" პროექტზე, სიტყვა აიღო "მოტოროლას" ვიცე-პრეზიდენტმა ჟენის ვებბიმ.

- მე მინდა ამერიკაში ყოფნის დროს თქვენ ისარგებლოთ რადიოტელეფონებით. ვერ მიმიხვდით?

ვიღაცამ დარბაზიდან უპასუხა:

- როგორ არა, ჩვენ შეგვეძლება დავრეკოთ ამერიკის ნებისმიერ ტელეფონთან.

ვიცე-პრეზიდენტმა გაიღიმა:

- არა, მარტო ამერიკის ქალაქებში დადგმულ ტელეფონებთან არა. დღეს ყოველ თქვენგანს კონფერენციის დამთავრების შემდეგ შეგეძლებათ დარეკოთ თქვენს ოჯახებში. დიახ, თუნდაც პრაღაში, სოფიაში, ბუქარესტში, თბილისში. რასაკვირველია უფასოდ. ალბათ ოჯახის წევრებს ძალიან აინტერესებთ, როგორ გრძნობთ თავს ამერიკაში.

მერე ვიცე-პრეზიდენტმა რადიოტელეფონი ხელში აიღო და ღიმილით ნოხიან იატაკზე მოისროლა.

- ნუ შეშინდებით, თუ რადიოტელეფონი შემთხვევით დაგივარდებათ.

მაშინ, 1991 წელს, არა მარტო სასტუმროდან, არამედ ქუჩაში მიმავალმაც რამდენჯერმე დავრეკე თბილისში.

ჩიკაგოდან ლაპარაკი ტრანსატლანტიკური კაბელით და მერე მოსკოვამდე და აქედან თბილისამდე ჩადებული კაბელებით აღწევდა, რადგან მაშინ ჯერ არ იყო განხორციელებული "ირიდიუმის" გრანდიოზული პროექტი.

1993 წელს დაიწყო "ირიდიუმის" თანამგზავრების თანდათან გაშვება და სახმელეთო რადიოსადგურების მოწყობა. სადღეისოდ ეს სისტემა სრული სიმძლავრით მუშაობს, რაზეც 5 მილიარდი დოლარი დაიხარჯა.

P.S. მობილური კავშირის მომხმარებელთა რაოდენობა დღეისთვის ერთ მილიარდ ადამიანს აჭარბებს. მარტო 2003 წელს 400 მილიონამდე მობილური ტელეფონი გაიყიდა. ანალიტიკოსთა ვარაუდით, 2004 წელს მსოფლიოში 500 მილიონამდე ტელეფონი გაიყიდება.

დღეს მსოფლიო ბაზარზე გაყიდული მობილური ტელეფონებით პირველ ადგილზეა ფინური კომპანია "ნოკია", ხოლო მეორეზე - "მოტოროლა".

ვის ახსოვს დღეს ერთი კილოგრამი წონის და 3 500 დოლარის ღირებულების "მოტოროლას" მობილური ტელეფონი...

თებერვლიდან "24 საათი" ინგლისურად.
English newspaper 24 Hours, coming out from February
გამოწერით.
on subscription basis
e-mail: public@24hours.ge
Tel: 20 24 24 Fax:20 24 25



ყველაზე პრესტიჟული ფესტივალი

პედრო ალმადოვარი

კანის საერთაშორისო კინოფესტივალი გუშინ "ნათელი" ვარსკვლევებით და "ბნელი" ესპანური ფილმით გაიხსნა

კინოფესტივალი ესპანელი კინორეჟისორის პედრო ალმადოვარის ფილმით, "ცუდი განთლება" გაიხსნა. ფილმი პედოფილიასა და ჰომოსექსუალიზმზე – ასე ახასიათებენ მას. უამრავი კინემატოგრაფიული პრემიის ლაურეატი და მათ შორის რამდენიმე საუკეთესო სცენარისათვის, როგორც თავად რეჟისორი აღნიშნავს, ამ ფილმის სცენარის წერას ზუსტად 10 წელიწადს მოუნდა. ფილმში რეჟისორი მისი დიდი ხნის მეგობართან ურთიერთობის შესახებ ფილმს იღებს, რომელთანაც ერთადაც ბავშვობაში სასულიერო სკოლაში სწავლობდა. მთავარ როლებს გარსია ბერნალი და ფილ მარტინესი ასრულებენ.

ფესტივალის საკონკურსო ჩვენებაში 18-ზე მეტი ფილმი იქნება წარმოდგენილი, რომელთა უმეტესობა პირველად სწორედ კანში იქნება ნაჩვენები. მათ შორის არის ამერიკული ფილმი "ფარენგეიტი 911". რომლის მოქმედება 2001 წლის 11 სექტემბერს, ნიუ იორკსა და ვაშინგტონში ხდება. როგორც აღნიშნავენ, ფილმში ამერიკული მთავრობა ცალსახად გაკრიტიკებულია. ასევე წარმოდგენილი იქნება "შრეკი 2", ანიმაციური ფილმის გაგრძელება, დიდი მწვანე ცხოველის შესახებ.

კვენტინ ტარანტინო, 1994 წლის "ოქროს პალმის` ლაურეატი, წელს კანის ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარეა და საკუთარ ფილმს "მოკალი ბილი 2"-ს, არასაკონკურსო ჩვენებაში წარმოადგენს. "მე ვეცდები ჟიურის სხვა წარმომადგენლები დავარწმუნო ფილმების შეფასებისას, კინო უპირველეს ყოვლისა და არა ფილმებისა თუ რეჟისორის პოლიტიკური თუ ნაციონალური წარმომავლობა" განაცხადა ჟიურის თავმჯდომარემ. მისი და ჟიურის წევრთა ფავორიტი 22 მაისს გამოვლინდება.

2004 წლის საკონკურსო ფილმები

"2046" - ვონგ კარ-ვაი.

Clean - ოლივერ ესეიასი

Consequences of love – პაოლო სორენტინო.

Exils – ტონი გეტლიფი

Fahrenhait 911 – მიშელ მური

Ghost in the shell 2. innocence – ოში მამორუ

Life is a miracle – ემირ კუსტურიცა

Look at me – ეგნის ჯაკი

Mondovino – ჯონათან ნოსიტერი

Nobody knows – კორე-ედა ჰიროკაზუ

Old boy – პარკ ჩან ვუკი

Shrek 2 - ენდრიუ ადამსონი, კელი ეშბური, კონრად ვერნონი.

SUd pralad - ეპიჩეთფონგ ვირასეტჰაკული

The edukators - ჰასნ ვაინგართნერი

The Holly girl - ლუკრეცია მარტელი

The ladykillers – ითან და ჯოელ კოენები.

The life and death of Peter Sellers –სტეფან ჰოპკინსი

The motorcicle diaries – ვოლტერ სალესი

Woman is the future of man – ჰონგ სანგსუ.

ახალი სახეების, სექსისა და "მეგობრების" შესახებ

სალომე კიკალეიშვილი

ჰიუ ჯეკმენი

ბენ აფლეკი

14 წლიანი შესვენების შემდეგ, 66 წლის ამერიკელი მსახიობი ჯეინ ფონდა კინოში ბრუნდება - ეს განცხადება 60-70 წლების ვარსკვლავმა თავად გააკეთა შტატ ჯორჯიაში გამართულ ერთ-ერთ საქველმოქმედო საღამოზე. "ფილმში გადაღება, თამაში, ეს ხომ იგივეა, რაც სექსი; სადაც საჭიროა, უბრალოდ მიუბრუნდე ამ საქმეს და მეტი არაფერი," – განაცხადა მსახიობმა, რომელიც ჯეინიფერ ლოპესის აუტანელ დედას განასახიერებს ახალ პროექტში "კანონით მონსტრი". ზოგიერთისთვის თამაში ეს იგივე სექსია, ვიღაცისთვის კი... საჭიროა პოპულარულ, სიმპათიურ მსახიობს შეხვდე, თუნდაც ქუჩაში და ... ასეთ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ამერიკული კინოს მსახიობი ბენ აფლეკი, რომელიც საკუთარი გარეგნობის (დიდი მსახიობური ნიჭისა რა მოგახსენოთ) თუ მომღერალ ჯენიფერ ლოპესთან სკანდალური თავგადასავლებით, არაერთხელ მოქცეულა პრესის ყურადღების ცენტრში. ამჯერად კი მსახიობი საკმაოდ პიკანტურ სიტუაციაში აღმოჩნდა. მაშინ როდესაც ბენი, საყვარელ გოგონა ვანესა ქერისთან (პრეზიდენტობის კანდიდატის ჯონ ქერის ქალიშვილი) ერთად ვაშინგტონის ერთ-ერთ რესტორანში სადილობდა, შუა ხნის ქალბატონი მიუახლოვდა და ხმამაღალი შეძახილით - "შენ გასაგიჟებლად ლამაზი ხარო", ელვის სისწრაფით შემოიგლიჯა მაისური და მანამდე იდგა შიშველი, გაოგნებული ბენისა და ვანესას წინაშე, ვიდრე ამ უკანასკნელმა თავად არ დატოვა რესტორანი.

არანაკლებ პოპულარული ავსტრალიელი მსახიობი ჰიუ ჯეკმენი, რომელიც მაყურებელმა ფილმებით - "ადამიანი იქსი" და "ხმალ-თევზა" გაიცნო, ახლახანს სტივენ სომერსის (ფილმ "მუმიის" რეჟისორი) ახალ პროექტში - "ვან ჰელსინგში" მიიღო მონაწილეობა. ფილმში სომერსის შექმნილი მაქცია ვან ჰელსინგი (ჰიუ ჯეკმენი), გრაფი დრაკულა და ფრანკენშტეინის მონსტრი ერთად მიდიან შორეულ ქვეყნებში, ბორონტებასთან შესაბრძოლებლად. ფილმმა მაისის უიკ ენდებზე შემქმნელებს 107 მილიონი დოლარი, ჰიუ ჯეკმენს კი ყველაზე სექსუალური მამაკაცის ტიტული მოუტანა (ჟურნალ "ფიფლის" გამოკითხვაში ჯეკმენი ყველაზე სექსუალურ მამაკაცად დასახელდა და უკან ჩამოიტოვა ბრედ პიტი და ორლანდო ბლუმი).

დაახლოებით 51 მილიონი ამერიკელი მაყურებელი ემშვიდობებოდა ტელეკომპანია NBC-ის სერიალ "მეგობრებს", რომლის ბოლო სერიაც 6 მაისს გავიდა ეკრანებზე. 10 წლის განმავლობაში NBC-ის ამ პროექტს დატყვევებული ჰყავდა მაყურებელი და იმდენად შეაყვარა თავი, რომ სერიალის დასრულებით შეწუხებულმა ამერიკელებმა სხვადასხვა შტატში "მეგობრების გამოსამშვიდობებელი" საღამოები მოაწყვეს, ხოლო ნიუ იორკში ათასობით მაყურებელს მიეცა საშუალება, ქუჩაში გამოტანილ უზარმაზარ ეკრანზე უკანასკნელად ეხილა სერიალის ბოლო ნაწილი, სადაც ყველაფერი ამერიკული კინოს ერთგული "ჰეფი ენდით" დასრულდა. "ასე რომ ახლა ალბათ ელირსებათ ანისტონ-პიტის შთამომავლებს ქვეყნად მოვლენა, რადგან ჯენიფერი ყოველთვის მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორად სერიალზე მუშაობას და დატვირთულ გრაფიკს ასახელებდა" – აცხადებს ცნობისმოყვარე "ვოგი".

როგორც ჩანს, ახალგაზრდა 19 წლის მსახიობ სკარლეტ იოჰანსონისთვის, მართლაც ძალიან წარმატებული გამოდგა სოფია კოპოლას ფილმი "თარგმანში დაკარგულნი", სადაც მთავარ როლს ასრულებდა. "სარეკლამო მოდელი თუ მსახიობი? არჩევანი მასზეა," – აცხადებს "ვოგი" მსახიობზე, რომელიც ახლახანს ქელვინ ქლაინის ახალი სახე გახდა და წლების განმავლობაში ქლაინის ერთგული მოდელი კრისტი ტარლინგტონი შეცვალა. იგი ამჟამად პარტნიორობას უწევს ტომ კრუზს ფილმში "შეუსრულებელი მისია 3" და სულ მალე კიდევ ერთი ცნობილი მარკის სარეკლამო სახეც გახდება; კერძოდ კი, ლუის ვიტონის ახალი მუზა. როგორც ჩანს, ლოპესს არც სიყვარულში უმართლებს და არც კარიერაში, რადგან სწორედ მას შეცვლის ვიტონთან 19 წლის სკარლეტი.

სკანვორდი



TV პროგრამა

13 მაისი

რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **22.50** ღამის კურიერი **23.50** მხ. ფილმი "დროის მანქანა". მთ. რ-ში: გაი პირსი, სამანტა მამბა.

07.00, 09.00, 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.45(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** დ დიზაინი. **09.30** ტელედილა. 11. 05 ზიგზაგ კაფე. რეინის ბრძოლა ალპებში. **13.15** კროსვორდი. არლეტ შაბო გადაცემის სტუმრებთან ერთად სამეცნიერო, კულტურული, სოციალური და პოლიტიკური თემების შესახებ. **01.25** დინების საწინააღმდეგოდ. 1957 წელი. 7 მაისი. ვიეტნამი. **02.25** არტ რეპორტაჟი. რამადანი.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** დოკ. ფილმი "იოანე-პავლე მე-2" **15.15** სერიალი "რვაფეხა" **16.20** დოკ. ფილმი "მინორკის ცხენები" **17.00** მულტსერიალი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **17.30** ჯანმრთელობა **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "ჩვენი ყველაზე ლამაზი არდადეგები" **18.45** დოკ. სერიალი "მოდი ვიცეკვოთ" **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტიბუბუ **21.00** სერიალი "სოლედადი" **22.05** სერიალი "ფსიქ-ფაქტორი" **23.20** "მუსიკალური არჩევნები" **00.00** მხ. ფილმი "ვნებათა ორომტრიალი" (12)

პირველი სტერეო

07.20 პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" "გამტაცებლები" **03.00** პაუზის გარეშე

202

10.00 დებატები 202-ზე **11.30** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "შეყვარებული ექიმები" **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "ძარცვა" (ჯინ ჰეკმანი) **17.00** მულტფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **19.30** ანიმ. ფილმი "დარდუბალა" **20.00** მხ. ფილმი "ნიკიტა" (ჩეკი კარო) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **22.45** ანიმ. ფილმი "დარდუბალა 2" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "არ თქვა არაფერი" (მაიკლ დუგლასი)

მზე

09.00 არჩევანის ზღვარზე **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "კლიფორდი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **21.00** მხ. ფილმი "ბიგლზი" (ნეილ დიკისონი) **22.45** არჩევანის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი "ანტუან ფიშერის ისტორია" (დერენ ლუკი)

მეორე არხი

19.00 მულტფილმი "სიმბა ფეხბურთელი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა" **21.00** "მაიმუნის ნიშნის ქვეშ" **21.30** "ჩემი მშვენიერი ლედი" **22.00** მხ. ფილმი "სისი"

კავკასია

12.00 მხ. ფილმი **15.00** მხ. ფილმი "ცხელი ზაფხული" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მუსიკა **19.20, 21.00** სპექტრი **23.00, 00.30** მუსიკა

იმედი

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 ქრონიკა **07.15, 13.15, 16.50, 17.20, 01.55** იმედის მელოდიები **07.30** "იმედის" დილა **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.05** ჩ -კლუზივი **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.25** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "ნირო ვულფის საიდუმლოება" **15.15** კალათბურთი. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი. ფინალური სერია. **16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.05** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი: "სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "ცხელი ძაღლი" **21.30** საქმე ! **23.00** "ესტაფეტა" **23.30** მხ. ფილმი "ახალგაზრდა ეკატერინა-2"

იბერია

08.00 ახალი ამბები **08.40** დოკ. ფილმი **10.30** კონცერტი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 01.40** ახალი ამბები **13.15** სერიალი "ხაბაზები" **14.10** დოკ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი "მძაფრი მოგონება" (15) **17.30** კონცერტი **20.00** დოკ. ფილმი **21.00** სერიალი "ხაბაზები" **22.45** კონცერტი **23.00** მხ. ფილმი "ცდომილი ალი" (15)

ОРТ

07.00 "Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20 Сериал "Улицы разбитых фонарей" 11.20, 19.50 Сериал "Клон" 12.20** "Ералаш" **12.40** Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" **13.20 Худ.фильм "Золото МакКенны", 1 с. 14.30** Док.детектив "Охота на "крокодилов" **15.15** Город женщин **16.20 Сериал "Берег мечты" 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.20** Памяти Никиты Богословского **20.50** "Стирка на миллион" **21.00 Худ.фильм "Другая жизнь" 22.00, 00.30** Время **22.35 Сериал "Улицы разбитых фонарей" 23.35** "Человек и закон" **00.50** "Фабрика звезд" **01.10** Ударная сила. "Личное оружие Макарова" **01.40** Сканер. "Танкодром" **02.10** "Голливудские преступления", часть 4 **02.40 Комедия "Один ворчливее другого". 04.20** "Что? Где? Когда?"

НТВ

07.00 Утро на НТВ **09.55 Сериал "Любовь вдовца". 3 с. 11.00** Сегодня утром **11.25** Квартирный вопрос **12.20** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.30** "Сегодня" **13.30 Комедия "Игра воображения" 15.15** Время есть **15.35** Протокол **16.35** Ток-шоу "Принцип "домино" **18.30** "Дикий мир: борьба за выживание". "Тигры за дверью" **19.35** Протокол **20.40 Худ.фильм "Смертельные мысли" 23.00** "Страна и мир" **23.35** "К барьеру!" Ток-шоу В.Соловьева **00.45** Тайны разведки: иракская головоломка **01.20 Худ.фильм "Кровавый прилив"**

"ქართველების" პირველი ნაბიჯები

ანსამბლი "ქართველები"

ნინო ჯორჯაძე

ზოგიერთებს მიაჩნიათ, რომ 21-ე საუკუნის "პოპ"-სივრცეში ქართული ხალხური სიმღერის ადგილი სუფრაზეა, შეზარხოშებული მამაკაცების საზოგადოებაში, ან ფოლკლორული ანსამბლების კონცერტებზე, სადაც დამსწრეთ მონაწილეთა ნათესავ-ახლობლები შეადგენენ. ვინც ამ სფეროში ცოტა მეტად გაცნობიერებულია, ეცოდინება, რომ დღეს ახალგაზრდები ხალხურ სიმღერებს და საგალობლებს ხალისით მღერიან, როგორც საკუთარი სიამოვნებისათვის, ასევე სცენაზეც. სწორედ ამ კატეგორიის ახალგაზრდებისაგან შედგება ვაჟთა ანსამბლი "ქართველები".

ანსამბლის იდეა სახელდახელოდ, დაახლოებით, ორი წლის წინ დაიბადა ბაქოში გამართულ ინტერნაციონალურ კონცერტზე, როცა იქაურმა ორგანიზატორმა ჯაზის მომღერალ ქალბატონს ქეთი თოფურიას სთხოვა, ფოლკლორული ანსამბლი, თუნდაც მოყვარული დონის, მოეძებნა. აქ შეიკრიბა ეს ანსამბლი, რომელიც დღემდე წარმატებით დგამს ნაბიჯებს ფოლკლორის სფეროში. ანსამბლის წევრების ასაკი 19-დან 23 წლამდეა და ისინი, ძირითადად, ეკლესიებში გალობენ. "ქართველების" პრეზენტაცია "კომპოზიტორთა სახლში" 2002 წლის ოქტომბერში შედგა. შექმნის დღიდან მათ მრავალი წარმატებული გამოსვლა ჰქონდათ: 2003 წლის საახალწლო გალა-კონცერტზე ფილარმონიაში, 2004 წელს პარლამენტის წინ გამართულ საახალწლო ფოლკლორულ კონცერტზე ანსამბლ "რუსთავთან" და "ლაშართან" ერთად, გარდა ამისა, იუბილეებზე, ოპერის სცენაზე..

"ქველმოქმედება რომ არა, არაფერი გამოვიდოდა, – ამბობს ანსამბლის "ნათლია" ქეთი თოფურია, - ბადრი გრუზინსკი სრულიად უსასყიდლოდ გვითმობს ქარვასლის დარბაზს კომპაქტ-დისკის პრეზენტაციისათვის".

კომპაქტ-დისკის ჩაწერა კი ფირმა "მელოდიაში" გუშინ დასრულდა. ეს ქართველების პირველი კომპაქტია და იგი ორ კვირაში გამოვა მუსიკალურ ბაზარზე.

ანსამბლი კულტურული ურთიერთობების ფონდის ბაზაზე არსებობს, რომელიც მისი შემქმნელის, ქეთი თოფურიას თქმით, მოღვაწეობს, რათა ხელი შეუწყოს "პოპ"-კულტურის ჩრდილქვეშ მოქცეული მუსიკალური მიმდინარეობების, ჯაზის და ხელოვნების სხვა სფეროების აღორძინებასა და განვითარებას.

რაც შეეხება "ქართველებს", დღეს, ჩვენთან ინტერვიუს ჩაწერისას, მათ მოწვევა მიიღეს ბულგარეთის ბულგასის ფოლკლორული ფესტივალიდან. იმედია, ბიჭები ფესტივალზე დიდ წარმატებას მიაღწევენ და ქართული ფოლკლორის ისტორიაში ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებენ.

მკვდარი მუსიკოსების საზოგადოება

დევიდ ბოუი

გვენ სტეფანი

დევიდ ბოუის, მერლინ მენსონს, ოზი ოსბორნსა და გვენ სტეფანის ერთერთი როკ-ჯგუფის გარდაცვლილი წევრების როლების შესრულება შესთავაზეს. საშინელებათა ამ ფილმში ჩამოთვლილი მუსიკოსების პარტნიორი მსახიობი ჯონი დეპი იქნება.

ფილმის - Diamond Dead ("ბრილიანტის მიცვალებული") გადასაღებად ემზადება რეჟისორი ჯორჯ რომერო. როგორც ჩანს, ფილმის სიუჟეტისთვის გაწყობილი შრომა მას არ მოუწევს, რადგანაც რომერო იდეებს გულშემატკივრებისგან ვებ-საიტიდან მიიღებს.

სიუჟეტის ძირითადი ხაზი არცთუ ორიგინალურია. კარიერის პიკზე დაშლილი ჯგუფი მოლაპარაკებებს დაიწყებს ეშმაკთან, ბრუნდება სცენაზე და ისევ პოპულარული ხდება. რასაკვირველია, არავინ იცის, რომ ჯგუფის წევრები საფლავიდან ახალი დაბრუნებულები არიან...

თემურ ყვითელაშვილი ლოს ანჯელესში

ცნობილმა ქართველმა ინსტრუმენტალისტმა თემურ ყვითელაშვილმა სოლო-კონცერტი ლოს ანჯელესის პრესტიჟულ ჯაზ-კლუბში - La Ve Lee-ში გამართა. ყვითელაშვილი პირველი გიტარისტია ყოფილი საბჭოური ქვეყნებიდან, რომელმაც ლოს ანჯელესში ამერიკელებისათვის კონცერტი მოაწყო. კლუბში ისეთი ცნობილი მუსიკოსები გამოდიან, როგორებიც არიან სკოტ ჰენდერსონი, მარკო მენდოზა, ალან კარონი და სხვები.

მუსიკოსი იანვარში მიწვეული იყო ლოს ანჯელესში გამოფენა-ფორუმზე Namm Show, რომელიც მსოფლიოს ცნობილ ვარსკვლავებს მასპინძლობდა. თემურ ყვითელაშვილი ამ ფორუმზე სამი კომპანიის სახელით იყო მიწვეული.

გამოფენის შემდეგ, ყვითელაშვილის სოლო-კონცერტი ლოს ანჯელესის ყველაზე პრესტიჟულ ჯაზ-კლუბში La Ve Lee-ში გიტარისტმა ამერიკელ მსმენელს ორგანყოფილებიანი კონცერტი შესთავაზა. საკუთარი შემოქმედებიდან ყვითელაშვილმა ქართველი მსმენელისათვის ჯერ უცნობი კომპოზიციები და იაკობ ბობოხიძის "ფიქრები 11 სექტემბერზე" შეასრულა.

კონცერტის შემდეგ ყვითელაშვილი სკოტ ჰენდერსონმა პრესტიჟულ გიტარის ინსტიტუტში მიიწვია, სადაც მუსიკოსმა ლექციები წაიკითხა და სტუდენტებისათვის მასტერკლასი გამართა.

2005 წლის დასაწყისში, თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში თემურ ყვითელაშვილის მესამე სოლო კონცერტი და მეხუთე ალბომის პრეზენტაცია მოეწყობა. მომავალ წელს მუსიკოსს 45 წელი უსრულდება. ამ დროისათვის ყვითელაშვილი თბილისში ავტორიტეტულ და საინტერესო სტუმართან ერთად აპირებს ჩამოსვლას. სტუმრის ვინაობას კი ჯერჯერობით არ ამხელს.

ინტერ-პრესი

ავადმყოფობით შთაგონებული

"ტრევისი"

ცნობილი შოტლანდიური ჯგუფის, "ტრევისის" ლიდერის ფრენსის ჰილის ავადმყოფობას, რომელმაც მუსიკოსი აპრილის ბოლოს ავადმყოფის საწოლამდე მიიყვანა, შემოქმედებითად აქტიური მუხტი აღმოაჩნდა. ავადმყოფობიდან მეოთხე დღეს ჰილმა საწოლში დაწერა სიმღერა, რომლის სამუშაო სახელწოდებაა "ექიმი". რასაკვირველია, სიმღერის თემატიკა სამედიცინოა. "ეს სიმღერა პაციენტზეა, რომელიც ექიმს ეკითხება, რა დაავადებაა სიყვარული", - ამბობს მუსიკოსი.

შეგახსენებთ, ჰილის ავადმყოფობის გამო გადაიდო "ტრევისის" ტურნე იაპონიაში. მართალია, ექიმები კარგა ხანს ვერ უსვამდნენ ავადმყოფს დიაგნოზს, მაგრამ ამჟამად ისინი მუსიკოსის მდგომარეობას ნორმალურს უწოდებენ.

პრინცის დაბრუნება

ათწლიანი გაუჩინარების შემდეგ მსოფლიო მუსიკალურ არენაზე ახალი ალბომით დაბრუნდა ერთ-ერთი ნათელი ნოვატორი – პრინცი.

მელომანების უმეტესობას უკვე გადაეწურა იმედი, რომ ამ მუსიკოსისგან ოდესმე კიდევ მიიღებდა რაიმე ღირებულს. პრინცი დროდადრო ინტერნეტით ავრცელებდა ხოლმე ახალ ნამუშევრებს, მაგრამ ძირითადად ეს იყო მელომანებისთვის ყოვლად უინტერესო სიახლეები; რის შესახებ საუბარს პრინცის ერთგული მსმენელებიც კი ერიდებოდნენ. ხოლო, პრინცის გადაწყვეტილება, უარი ეთქვა საკუთარ ფსევდონიმზე, კიდევ ერთხელ მიუთითებდა იმაზე, რომ მუსიკოსი სამუდამოდ ჩაიკეტა საკუთარ განსაკუთრებულ სამყაროში. როგორც ჩანს, მას ასეთი ცხოვრებაც მობეზრდა და ირწმუნა განახლების.

Musicology - ესაა პრინცის ნამდვილი ალბომი უკანასკნელი წლების განმავლობაში. ალბომს ხსნის ტიტულოვანი ფანკი სახელწოდებით – Musicology, რომელსაც მიჰყვება ელექტრონული Illusion, Coma, Pimp & Circumstance. არანაკლებ მხიარულად ჟღერს ჰიპ-ჰოპი Life o' the Party, ხოლო კომპოზიციები Cinnamon Girl და A Million Days შეახსენებს მსმენელს, რომ პრინცმა კარგად იცის ნამდვილი როკის წერა 70-იანების სტილში.

ყველაფრის მიუხედავად, ამ ალბომს არ შეიძლება დაერქვას სრულყოფილი, მით უმეტეს, თუკი გავიხსენებთ, რომ ერთ დროს პრინცის ყოველი ახალი ალბომი მთლიანად თანამედროვე მუსიკის ერთი ნაბიჯით წინსვლა იყო.

საინფორმაციო ტექნოლოგიების
ცენტრი „მზიური“
გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ე.უხნაძის N70 ტელ:29-48-61

ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.